

როლანდ თოფჩიშვილი

კავკასიელთა თანამედროვე
ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია
და საქართველოს სახელმწიფოს
უსათვრთხოების პრობლემები



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
გელათის მეცნიერებათა აკადემია

როლანდ თოფჩიშვილი

კავკასიელთა თანამედროვე
ეთნოცენტრისტული
ისტორიოგრაფია და
საქართველოს სახელმწიფოს
უსაფრთხოების პრობლემები



გამომცემლობა „მნიგობარი“
თბილისი 2019

Roland Topchishvili

**Modern Ethnocentric Historiography of Caucasian People
and Security Problems of the State of Georgia**

Роланд Топчишвили

**Современная кавказская этноцентрическая историография и
проблемы государственной безопасности Грузии**

კარგა ხანია საქართველოს თითქმის ყველა მეზობელი ისტორიის გაყალბებითაა დაკავებული, რასაც ისინი საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დამახინჯების ხარჯზე ახდენენ. ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენელთა მიერ ისტორიის მიზამნიმართულ დამახინჯებას მეცნიერებაში ეთნოცენტრიზმს უწოდებენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაწყებულმა ამ ეთნოცენტრისტულმა ქმედებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ქართველებისათვის საქართველოში ადგილი აღარ რჩება. ცრუისტორიის შემქმნელები ფაქტობრივად ქართულ მიწა-წყალზე აცხადებენ პრეტენზიას, რაც თანამედროვე საქართველოს უსაფრთხოებას პრობლემებს უქმნის. წინამდებარე წიგნში სწორედ კავკასიელი მეზობლების ასეთ ეთნოცენტრისტულ ისტორიოგრაფიაზეა ყურადღება გამახვილებული.

რედაქტორები

**მამუკა არეშიძე
ელდარ ბუბულაშვილი
აპოლონ თაბუაშვილი**

© როლანდ თოფჩიშვილი

ISBN 978-9941-485-28-2

„ქართველი ერი და მისი მთავრობა
შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა
თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი
საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება
მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც
ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას
დაუშლის იმათთან, ვინც მართლა ძმობაზე და
მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც
ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან
გადაარჩენს“.

ივანე ჯავახიშვილი

„მეცნიერება სინდისის გარეშე კლავს სულს,
ანადგურებს კულტურას და შეიძლება
მიგვიყვანოს საყოველთაო კატასტროფამდე“
ფრანსუა რაბლე

„არცერთი სერიოზულ ისტორიკოსი არ შეიძლება
იყოს პოლიტიკური ნაციონალისტი“
ე. ხოსბაუმი

„ხალხი, რომელიც თავის უფლების შელახვას დუმილით
პასუხობს, ამ გულგრილობით თავს დასაღუპად წირავს.
ერი, რომელიც ნებას აძლევს მეზობელს, დაუსჯელად
მიიტაცოს თუნდაც ერთი გოჯი კუთვნილი
სამფლობელოსი, მის დანარჩენ ნაწილსაც დაკარგავს,
ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი მას აღარაფერი
დარჩება და, როგორც სახელმწიფო, შეწყვეტს არსებობას;
თუმცაღა სხვაგარ ხვედრს ასეთი ერი არც იმსახურებს“
რუდოლფ ფონ იერინგი

შესავალი

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ჩრდილოეთ კავკასია კი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა და მას ამ ქვეყანაში ხშირად „რუსეთის კავკასიას“ («Российский Кавказ»¹) უწოდებენ. მას შემდეგ კავკასიის ბევრი ხალხისათვის ისტორია თვითიდენტიფიკაციის გარკვეულ ინსტრუმენტად იქცა - ეს განსაკუთრებით იმ ხალხების შესახებ ითქმის, რომლებსაც დამწერლობა არ გააჩნდათ და, მითუმეტეს - საისტორიო წყაროები და დოკუმენტები. იქმნება არაერთი მითოლოგემა, თუმცა, ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მითოლოგემებს, ყალბ ისტორიას ქმნის საისტორიო წყაროებისა და დიდი კულტურის მქონე ხალხიც. რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია მითოლოგემების შემქმნელ ხალხთა „მეცნიერ-ისტორიკოსებს“ მეზობელი ქართველი ხალხის ისტორიასა და კულტურაზე გააჩნიათ პრეტენზია.

ისტორიკოსთა ასეთ ქმედებას მეცნიერებაში *ეთნოცენტრიზმს* უწოდებენ. ეს ტერმინი, რომელიც 1907 წელს ვილიამ გრაჰამ სამნერმა შემოიღო, მიკერძოებასა და მრუდე ხედვას გულისხმობს. ეთნოცენტრისტები ცდილობენ საკუთარი კულტურისა და ისტორიის უპირატესობის „წარმოჩენას“ სხვათა კულტურისა და ისტორიის მითვისებისა და მიჩქმალვის ხარჯზე. ეს მოვლენა კი ხშირად ქმნის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობებში დაბრკოლებას. ისტორიკოსთა ასეთი მიზანმი-

¹ამ სახელწოდებითაა მაგალითად გამოცემული წიგნი «Российский Кавказ. Книга для политиков, М., 2007, რომელიც პოლიტიკოსებისთვისაა განკუთვნილი.

მართული ქმედება გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს აძლევს საფუძველს უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენონ მეზობელ ხალხებს. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ დღეს ქართველები/ქართული სახელმწიფო მეზობელთაგან სწორედ ასეთ თავდაცვით მდგომარეობაშია ჩაყენებული.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქართველთა მიმართ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ პოსტსაბჭოთა ეპოქაში არ გაჩენილა. მეზობელი სომხეთის მეცნიერებსა და კალმოსნებს ქართველების მიმართ სხვადასხვა პრეტენზიები და საქართველო-სომხეთის ურთიერთობების დამახინჯების სურვილი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაუჩნდათ, რაც რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურების ქმედებითაც იყო გამოწვეული და ეგოისტური გრძნობებითაც - მათ სახელმწიფოებრიობა XI საუკუნეში მოესპოთ, ქართველებმა კი ის XIX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნეს. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საეკლესიო დაპირისპირებასაც. ისევე როგორც სხვა სფეროებში, აქაც ერის ინტერესები დიდმა ილია ჭავჭავაძემ დაიცვა, რომელმაც 1899 წელს შექმნა ბრწყინვალე პოლემიკური და ღრმად მეცნიერული ნაშრომი „ქვათა ღაღადი“. ის წერდა: „მთელი სამოცი წელიწადია, რაც ერთი და იგივე ჭექა-ქუხილი ერთისა და იმავე ტენდენციისა ჩვენს ვინაობას ერჩის და დღედაღამ უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით, მეტის სილალით ტყავს აძრობს და წარღვნას უქადის“². ილია იმასაც აღნიშნავდა, რომ „ეს სამოცი წლის მთელი ხანა რუსის მწერლისაგან იწყება და

² ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი V, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987, გვ. 29.

რუსის მწერლითვე მთავრდება³-ო. დიახ, თურმე, ქართველებს მატიანე ვახტანგ VI-მდე არ გვექონია, ქართველები მეთორმეტე საუკუნემდე არც კი არსებობდნენ, მტკვრის იქით მთელი ქვეყანა და თბილისი ყოველთთვის სომხეთს ეკუთვნოდათ და აქ გარდა სომხებისა მოსახლეობდნენ მიდიელები, მასაგეთები, ოსმალნი და რამდენიმე შტო ალბანელებისა. მიზანი მაშინაც ის იყო, რომ „რაც შეიძლება მეტი წილი ჩამოათალონ და თვით მითთვისონ, რაც შეიძლება გაუუქმონ წარსულიც, შეუბღალონ აწმყოც“⁴. საამისოდ სომხებმა ფრანგი კულტივი გამოიყენეს, რომელიც წინასწარმეტყველებდა, რომ „მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნით და მისს მეზობლებს - ქართველებსა და თათრებს - სხვა არა დარჩენიათ-რა, რომ უნდა გასომხდნენო“. აი სად არის დასასრული დასაწყისისა⁵. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, საქარველოსი და ქართველების კულტურის დაკნინების მიზეზი ტერიტორიების/ქართველთა განსახლების არეალისათვის სხვადასხვა ნაწილების ჩამოთლა იყო. წინასწარ უნდა ითქვას, რომ მეზობელთა მიერ საქართველოს ისტორიის დამახინჯება და ქართული კულტურის დაკნინება დღესაც ამ ჩამოთლის სურვილით არის განპირობებული. სომეხ მეცნიერებს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით. თავიდან კი უპრიანია იმ გამყალბებლების შესახებ ვისაუბროთ, რომლებიც ქვეყნის შიგნით გვეყანან.

³ ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები... ტომი V, თბ., 1987, გვ. 29.

⁴ ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები... ტომი V, თბ., 1987, გვ. 31.

⁵ ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები... ტომი V, თბ., 1987, გვ. 53.

ნაკვეთი I

საქართველოში ორივე სეპარატისტულ მოძრაობას, როგორც აფხაზებისას, ისე ოსებისას თან ისტორიის გაყალბება ახლდა. ისინი თავიანთ დამოუკიდებლობას სწორედ გაყალბებულ ისტორიაზე აფუძნებდნენ და აფუძნებენ. ჩვენი საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილია აფხაზთა ყალბი ისტორიები, რომ მთლიანად დასავლეთი საქართველო თავდაპირველად აფხაზთა (და ადიღეელთა) განსახლების არეალი იყო და რომ აქ ქართველები გვიან სამხრეთიდან მოვიდნენ. სამწუხაროდ, ამაში მათ ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმაც შეუწყო ხელი. მათთვის ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ორი-სამი ტოპონიმი გახლდათ. მაგალითად, შეიძლება ერთი ამონარიდი მოვიყვანოთ: «Адыгейские элементы в топонимике Западной Грузии, как-то სუფსა, აჭყვა, მალთაყვა, აკამფსის (древнее название Чороха) явление не случайное; имеются серьезные основания предполагать, что на территории Западной Грузии картвельским племенам предшествовали абхазско-адыгейские племена»⁶. საამისოდ ამ მკვლევარების წყროს რამდენიმე ტოპონიმი წარმოადგენდა, რომლებსაც ჩრდილოეთ კავკასიური ენებით ხსნიდნენ; ისინი ამ ტოპონიმებს სუბსტრატულ ტოპონიმებად აცხადებდნენ. მაგრამ არავინ არ ფიქრობდა იმის შესახებ, რომ გარდა სუბსტრატული ტოპონიმებისა, სუპერსტრატული და ადსტრატული ტოპონიმებიც არსებობდა, რო-

⁶Арн. Чикобава. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ., 1948, გვ. 263.

მლებიც ამა თუ ეთნოსის გარკვეული ჯგუფის საკუთარი ტერიტორიიდან სხვათა ტერიტორიაზე გადასახლების შემდეგ ჩნდება. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წინარეაფხაზურ-ადიღური ეთნიკური ჯგუფების მკვიდრობის ფაქტი საერთოდ გამოირიცხა თანამედროვე ლინგვისტთა გამოკვლევებით: „აფხაზური მოსახლეობა არასოდეს ბინადრობდა გურიაში და აკად. ნ. მარის „თეორიას“ მთელ დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად აფხაზთა წინაპრების ცხოვრების შესახებ არა აქვს არც ლინგვისტური და არც ისტორიული საფუძვლები“. „იგივე ითქმის დასავლეთ საქართველოში ფს(ა), ყვა, რა ელემენტებიანი და ზოგი სხვა ტიპის ტოპონიმის, ჰიდრონიმისა და სატომო სახელების მცდარი ანალიზის საფუძველზე შექმნილი შეხედულებების შესახებ, თითქოს ასეთი ენობრივი ფაქტები ადასტურებენ დასავლეთ საქართველოში წინარეაფხაზურ-ადიღურ ტომთა ცხოვრებასა და მათ შემდგომ ასიმილაციას გვიან მოსული ქართველური მოსახლეობის მიერ. თანამედროვე მკვლევარები უკვე აღარ იზიარებენ ამ დაუსაბუთებულ „თეორიებს“ და ახლებურად ხსნიან ამგვარ ფაქტებს (იხ.: ა. ონიანის, ტ. ფუტკარაძის. მ. ჩუხუას და სხვათა ახალი გამოკვლევები)⁷.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური ელემენტის განსახლებაზე არაერთი ტოპონიმიც მიუთითებს. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ „ცხუმი“ ქართული ტოპონიმია. გარდა ცხუმისა, სვანური მეტყველებით იხსნება აფხაზეთის ტოპონიმები: ტამიში, ღუმურიში, გაგ-

⁷ თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. - ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2007, გვ. 180.

რა/გაკრა, დიოსკურია, წიბელიუსი (ამ უკანასკნელში გამოიყოფა ქართული ძირი წიფ-), მისიმიანეთის მხარეში ფუსტა (სვანურ ქრისტიანობამდელ ღვთაებათა პანთეონში ფუსტას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა) და სხვ.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ `ქართული სიტყვის ფონეტიკური იერის ელემენტს წარმოადგენს არა მხოლოდ ცხ კომპლექსი, არამედ ქართულში მოქმედი მთელი სისტემა თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსებისა, რომელი სისტემის მხოლოდ 1/12 (რა თქმა უნდა, არა ზუსტად) ნაწილია ცხ კომპლექსი. სახელდობრ: ბღ-ფხ-ჰყ, დღ-თხ-ტყ, ძღ-ცხ-წყ, ჯყ-ჩხ-ჭყ და მათი ფონეტიკური შესატყვისები ზანურში (მეგრულ-ჭანურში). სხვა ენებში თანხმოვანთა ასეთი სისტემა არა გვაქვს. სრულიად ცხადია, რომ ამ სისტემის ილუსტრაციას წარმოადგენს პავლე ინგოროყვას `სპეციალურ ექსკურსში~ დამოწმებული სახელწოდებები: სობღისი - სობისი, დღვანა - დვანა, ტყაურუ, ტყუბუნი, იგივე ცხომი-ცხუმი, წყუზამელა, წყურგილი, წყვიბენი, ჩხარი, ჩხალთა. თუ გავითვალისწინებთ ქართული ბგერათსისტემის გამძლეობას, სრულიად მართებული იქნება, რომ ამ ნიმუშებს დაემატოს მრავალი დღეს მოქმედი ტოპონიმიკური სახელწოდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც აღნიშნულია სხვადასხვა მასშტაბის რუკებზეც კი. მაგ.: დღამშ (მდინ.), კინდღა (სოფ.), იაშთხვა-იაშტუხი (სოფ. ცხადია, რომ ეს ერთი და იგივე სახელწოდებაა, მხოლოდ იაშტუხ-ში დარღვეულია თხ კომპლექსი; როგორც ჩანს, ძველია იაშთხვა), აითხა (მთა), თხინა (სოფ.), ამტყელი (სოფ.), ტყუარჩელი, ფრცხა (მთა), აცხუ (მთა), რეჩხუწა (სოფ., მთა), ანჩხა

(მთა), ჩხორთოლი (სოფ.) და სხვ.~ `კარგი ნიმუშია ზემოგამოთქმული მოსაზრებისა იმის შესახებ, რომ ფონეტიკური იერის მიხედვით სიტყვის მიკუთვნება აადვილებს მის ეტიმოლოგიზაციას, მაგ., პავლე ინგოროყვას მიერ 146-7 გვ. განხილული სახელწოდება ტყუბუნი: ტყ კომპლექსი მიუთითებს მის ქართულობაზე, ხოლო მისი მნიშვნელობა ემთხვევა `დიოსკურიო~ს მნიშვნელობას და ამგვარად იხსნება მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა. როგორც ჩანს, ტყუბუნი, resp. ტყუბუნი წარმოადგენს ძველი ბერძნული `დიოსკურიო~ს (ლეგენდით – ტყუპი ძმები~) შესატყვისს.

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების სისტემის არსებობა აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმიკაში ისეთი ურყევი მოწმობაა ქართულობისა, რომ არ შეიძლება მისი გვერდის ავლა (მხოლოდ ცხუმ-ცხომით და თუნდაც რამდენიმე ცალკეული ტერმინის დასახელებით) ან მისი ჩათვლა მეორეულ ფონეტიკურ მოვლენად, თუ არ გვინდა, რომ გზა მიეცეს ნებისმიერ დასკვნებს~. გ. ახვლედიანის ამ ლინგვისტურ ლოგიკურ მსჯელობას ძნელია ვინმემ რაიმე დაუპირისპიროს⁸.

საამისო თანხმოვანკომპლექსიანი ტოპონიმების დიდი რაოდენობა, რომელთა დათარიღება ხერხდება და რომლებიც ქართულ და უცხოურ წყაროებშია მოხსენიებული, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (136 ერთეული) და აფხაზეთს გარეთ⁹ - დანარჩენი საქარ-

⁸ გ. ახვლედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. - მნათობი, 1957, #2, გვ. 108-109.

⁹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., თბ., 1954, გვ. 146-189.

თველოს ტერიტორიაზე მათი შესატყვისები დადას-
ტურებული აქვს პავლე ინგოროყვას. მართლაც, როდე-
საც აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნოგენეტიკური პრო-
ცესებისა და ეთნიკური ისტორიის შესახებ საუბრობენ
მეცნიერები, ამ ტოპონიმების გვერდის ავლა წარ-
მოუდგენლად მიგვაჩნია. აქ ამ ტოპონიმების მხოლოდ
ნაწილს მოვიხმობთ, რომლებიც საკმაოდ გამჭვირვალე
ქართველური ტოპონიმებია: ტყუბუნი, ბიჭვინთა,
ბზიბი, უღალი (ძველ ქართულ ენაში ძნელად სავალი
(მთის) აღმნიშვნელი იყო. XIV საუკუნის წარწერაში
მოხსენიებულია გაგართან ერთად), ლიხნი/ლუხუნი
(საბა: `ლიხი - ფრიად მაღალი შამბი~), ხოფი (ხოფ-
ძირზე ტოპონიმები არაერთი გვხვდება როგორც
აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში), ცანთა -
ცანიტი, წიბელი, წიბელთა, გუმა/გუმისთა, ჩხა-
რი/ჩხალი, ჩხალთა, ბოკერი, დალი, ქÁითასი (ჯიქეთის
ტერიტორიაზე), ბაგა, აშელალი (ევლია ჩელების
მიხედვით, აშელალი ჯიქეთის ოთხი თემიდან ერთ-
ერთი იყო. ზანურად ღალი ღელეა), ღალიძგა, სუბეში,
წყÁბუნი, წყუზამელა, წყურგილი (სოფელი, რომელიც
წყუზამელზე მდებარეობდა. `წყუ~ წყალს, წყაროს
ნიშნავს), მოქვი (შავშეთში იყო სოფელი მოქვთა), გუბი,
დღვანა, ტყვაჯა, ტყვარჩელი, ტყაურუ, მარმარისკარი,
ფშია/ფშა (საბა: `ფშა - მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლოს
გამოდენილი~), თილითი/თლითი (შდრ.: ლიახვის
ხეობის ტოპონიმს თლია), ილორი... თ. გვანცელაძე
დამატებით კიდევ ორ ათეულ ქართველურ ტოპონიმს
ჩამოთვლის აფხაზეთის ტერიტორიაზე: ზიგანა, მოხორა,

ჯიხა-ხორა, ხოირი, კორცხერი, კოპიტი, აითარნე, (ა)რუხა, (ა)მტყელი, გენწვიმ...¹⁰

მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიძებნება ქართული სუბსტრატული ტოპონიმები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და თანამედროვე კრასნოდარის მხარის შავი-ზღვიპირეთში. აქ მკვლევარებს გამოვლენილი აქვთ შემდეგი ტოპონიმები: სონთა XIX საუკუნის 60-იანი წლების დოკუმენტში დაფიქსირებულია უღელტეხილი); სონჩხა (სოჭიდან 20 კილომეტრში მდინარე შახეს აუზის ქედის სახელწოდება. `სონე~ იგივე სვანია, ხოლო `ჩხ~ - ქედი); ბაზისი (V საუკუნის ანონიმი ავტორის მიხედვით, მდ. ბაზისი მიედინება ზიხებსა (ჯიქებსა) და სანიგებს შორის. ესაა ფაზისის ფონეტიკური ვარიანტი); სუბაში (ნავსადგური და მდინარე შახესთან ახლოს. ტოპონიმის სუფიქსი -ში ქართულია. შდრ.: ცანაში, სასაში, ჭკადლუაში... სუბგ- ძირზე საქართველოში რამდენიმე ტოპონიმია); ბაგა (V საუკუნეში შახედან 160 სტადიონზე. ქართულად საქონლის სადგომს ნიშნავს); კურჯიპსი (მდ. ბელაიას მარცხენა შენაკადი მაიკოპთან ახლოს. ნიშნავს ქართველთა წყალს); გელენჯიკი (იგივე გელენჯიხა. `გელენ~ მეგრულად გარეს, გარეთას ნიშნავს. `ჯიხა~ ციხეს, ე. ი. გარეთა ციხე. შდრ.: წალენჯიხა, ჯიხაისკარი, ნოჯიხევი, ჯიხურები...); გუჯეურიუ (ქედი. გვიჯერი სვანურად წაბლია); კოცხური ('კაცხ~ სვანურად სიმალლეს, მწვერვალს ნიშნავს. მაღალი ქედი); სონე იმეზ (კრასნოდარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ას კილომეტრში. ნიშნავს

¹⁰ თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. გვ. 180.

სვანთა ტყეს). ეს ტოპონიმები ზ. რატიანმა გამოავლინა, რომელიც ბოლოს ასეთ დასკვნას გთავაზობს: 'ამრიგად, ადიღეური ტოპონიმია სრულიად უქველად ასაბუთებს, რომ მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირის მხარეში და შავი ზღვის სანაპიროზე, ქ. სოჭიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე ადიღეურ მოსახლეობაზე უწინ ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა~¹¹.

ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მის ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მეოტების/პროტოადიღეელების გადმოსახლებამდე ქართველური ეთნიკური ელემენტი ცხოვრობდა. აქ მიგრირებულმა ადიღეელების წინაპრებმა ქართველური ეთნიკური ჯგუფების ასიმილაცია მოახდინეს. აფხაზეთა შემადგენლობაში ქართველური ელემენტი უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობით შევიდა, ვიდრე ადიღეელებში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ვარაუდი, ჩვენ მაინც არ ვამტკიცებთ იმას, რომ ქართველური ეთნიკური ერთობები აფხაზეთიდან ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში ოდითგანვე ცხოვრობდნენ და რომ აღნიშნული ტერიტორია ქართველური ერთობების ეთნოგენეზის გეოგრაფიული არეალი იყო. აქ ქართველური ეთნიკური ჯგუფები გადანაცვლებული იყვნენ როგორც ზღვის სანაპირო ზოლით, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. ბუნებრივია, კითხვა გაჩნდება: როდის უნდა მომხდარიყო ეს მიგრაცია? - იმ დროიდან, როდესაც ყოზანური

¹¹ ზ. რატიანი. წყაროთა ღალადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995, გვ. 17-28.

კულტურა წარმოიქმნა (II ათასწლეულის დასასრული - I ათასწლეულის დასაწყისი), რომელიც, როგორც მეცნიერთა მიერ აღიარებულია კოლხური კულტურის ერთ-ერთი ნაირსახეობა იყო.

ამჯერად ჩვენ არაფხაზ ავტორს უნდა მივმართოთ - ესაა *ვიქტორ შნირელმანი*, რომელიც „მომრიგებელ მოსამართლედ“ და აფხაზური სეპარატიზმის არამხოლოდ დამცველად, არამედ წამქეზებლადაც მოგვევლინა. მისი დასკვნით, ქართველებმა აფხაზების მიმართ 1937-1938 წლებში ეთნოციდის პოლიტიკას მიმართეს და რომ მიმდინარეობდა აფხაზების ძალადობრივი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში¹². თურმე 1950-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა აფხაზეთიდან ყველა აფხაზის გასახლებისათვის სამზადისი. ქართველებს გაუსახლებიათ 1949 წელს აფხაზეთიდან ბერძნები ყაზახეთში, რომლებსაც 1954 წელს ქართველი სტალინის სიკვდილის შემდეგ მოუხერხებიათ უკან დაბრუნება¹³. უბრალო კითხვა უნდა დაესვას ვ. შნირელმანს, იმ დროს ვინმე რამეს აკითხებდა საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებას? ყირიმელი თათრები, ჩაჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები და ბალყარელებიც საქართველოს ხელისუფლებამ გაასახლა? კიდევ ერთი კითხვა: ბერძნები საბჭოთა შავიზღვისპირეთიდან მასობრივად გაასახლეს ტამანიდან ბათუმამდე - ეს გადასახლებაც ქართველებმა განახორციელეს? რეალურ მიზეზად დასახელებულია ყირიმში გერმანელთა საოკუპაციო რეჟიმთან „სამეურნეო“ კოლაბორაციონიზმი.

¹² В. А. Шнирельман. Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье. - М., 2003, с. 309.....

¹³ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 309....

ვ. შნირელმანი ირონიულია საქართველოს ისტორიის, მაგალითად, 1948 წელს მოსკოვში გამოსული ბროშურის მიმართ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იბერიისა და კოლხეთის სამეფოების მთელი მოსახლეობა, რომლებიც ძვ. წ. VI საუკუნეში წარმოიქმნა, გაიგივებული იყო მხოლოდ/მარტოოდენ ქართველთა წინაპრებთან. ვ. შნირელმანი განაგრძობს, რომ ქართველები გამოცხადებული იყვნენ „ნიჭიერ ხალხად“, რომლებიც არა მხოლოდ საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ და წარმატებით იბრძოდნენ სხვადასხვაგვარი დამპყრობლების წინააღმდეგ, არამედ გამოზარდეს მთელი პლეადა დიდი პოეტების, ფილოსოფოსების, ხუროთმოძღვრების. ხოლო აფხაზმა ხალხმა ამ დიდებულ ისტორიაში ადგილი ვერ მოიპოვა¹⁴. ისტორია წყაროებს ეყრდნობა და ქართული სახელმწიფოებრიობის შესახებ ქართულ წყაროებთან ერთად, უცხოური წყაროებიც მიუთითებენ. დასახელებულმა ავტორმა ისიც უნდა იცოდეს, რომ ამ წყაროებში არცერთ ეთნიკურ აფხაზზე საუბარი არაა. ხომ არ უნდა გამოეგონებინათ ავტორებს ასეთი აფხაზები, რომლებიც ქართულ სახელმწიფოებრიობასა და კულტურას ქმნიდნენ? ვ. შნირელმანის საყვედურს ვერ ასცდნენ 1950 წელს რუსულად გამოცემული საქართველოს ისტორიის ავტორებიც (*ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი*), რომლებმაც თურმე შეგნებულად აუარეს გვერდი ქართველ მეფეთა ტიტულატურის პირველ სიტყვას „მეფე აფხაზთა“ და მეფე თამარის ვაჟის მეტსახელს ლაშას, რომლის მნიშვნელობაც არ ახსნეს. უფრო მეტი: «Ст-оит ли говорить о том, что во всех последующих главах

¹⁴ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 309.

учебника абхазы уже ни разу не упоминались, а для южных осетин на его страницах не нашлось места»¹⁵. ამ სტორიქონების ავტორმა წყაროები და საბუთები რომ იცოდეს, ბუნებრივია, ასეთ ბრალდებას ქართველ ავტორებს ვერ წამოუყენებდა. შეიძლება ვუთხრათ, რომ აფხაზეთის ზედაფენა ქართველ ფეოდალებად მიიჩნევდა თავს. გვიან შუა საუკუნეებში აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში პოზიტიურს ნეგატიური სჭარბობდა. საამისოდ თარეშებისა და მეკობრეობის გახსენებაც საკმარისია, რის შედეგადაც კოდორის სამხრეთით მცხოვრები ეთნიკური ქართველები ენგურსგამოღმა გადმოიხვეწნენ. ქართველი ავტორები კი ამ ნეგატიური ფაქტების გადმოცემას მოერიდნენ. ოსების გულშემატკივარ ავტორს კი უნდა შევახსენოთ, რომ ამ მხრივაც მხოლოდ ნეგატიური მასალა უნდა მოეხმოთ საკმაოდ კომპეტენტურ მეცნიერებს, რადგან XVII საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოში მიგრირებული ოსებიც ძალით, თარეშებით მოიკვლევდნენ გზას.

ვ. შწირელმანის რისხვა დაატყდა აკადემიკოსს გიორგი მელიქიშვილს, რომელმაც ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით საქართველოს ძველი ისტორია დაწერა, კერძოდ, მუშკების (მოსხების) მიერ ქართული ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილების შესახებ, აფხაზთა წინაპრების კავკასიონის ქედის ჩრდილოეთის იქითა ტერიტორიიდან ახალი წ. II საუკუნეში გადმოსახლების შესახებ, რომლებმაც აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოდევნეს ძველი ქართული ტომები. გიორგი მელიქიშვილი საყვედურს იმაზედაც იღებს, რომ ქართველი ხა-

¹⁵В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 307.

ლხი მოიცავდა მხოლოდ ქართველს, მეგრელებსა და სვანებს, აფხაზებს ამ ჩამონათვალში კი არ ჩანანო.

ვ. შნირელმანი უაპელაციოდ იმეორებს „მთელ რიგ სპეციალისტთა“ ბრალდებას *კავლე ინგოროყვას* მიმართ, რომ მან თავისი გამოკვლევა დაწერა სპეცსამსახურების დაკვეთით, რათა შეექმნა სამეცნიერო საფუძველი აფხაზების აფხაზეთიდან გასახლებისა¹⁶. რუსი ავტორის წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავი, რომელსაც „კოლხური მირაჟი“ ჰქვია, რომელშიც აკრიტიკებს ქართველ ავტორებს, რომ მათ არა აქვთ საფუძველი ამტკიცონ მდინარეების რიონისა და ჭოროხის აუზებში მდინარე მტკვრის ზემო წელამდე ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობის არსებობა ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. მას არც ის მოსწონს, რომ ეს მოსახლეობა დასავლეთქართველები - კოლხები იყვნენ. ის იმასაც „ამტკიცებს“, რომ ანტიკურ პერიოდში VI-III საუკუნეებში კოლხეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი სახელმწიფო არ არსებობდა და მხოლოდ პატარა პოლიტიკური წარმონაქმნის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ მდინარე რიონის დაბლობში. „მომრიგებელ მოსამართლეს“ ქართველი ავტორების იმ მოსაზრებაშიც შეაქვს ეჭვი, რომ მომავალი ბერძნული ქალაქების ადგილზე ბერ-

¹⁶ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 314. აქ გვახსენდება ერთ-ერთი ყარაჩაელი ავტორის წიგნი, რომელშიც ცნობილ რუს ეთნოლოგს ბრალდება აქვს წაყენებული მისი სტატის შესახებ, რომელიც ყარაჩაის ტერიტორიაზე სვანთა განსახლებას ეხება XVIII საუკუნის II ნახევარამდე. ლ. ლავროვის ნაშრომში სვანთა ყარაჩაიში მკვიდრობის ფაქტები არგუმენტირებულია, მაგრამ თურმე ის იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების შეკვეთითაა დაწერილი, რათა გაემართლებინათ 1943 წელს მათი შუა აზიაში გადასახლება და საქართველოს მეზობელ რაიონში სვანების ჩასახლება.

მენტა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე მჭიდროდ მკვიდრობდა ადგილობრივი მოსახლეობა¹⁷. ეჭვი შეაქვს იმაშიც, რომ დიოსკურია თავდაპირველად ადგილობრივი ქალაქი იყო და რომ მასში კოლხები ცხოვრობდნენ. მისთვის არაფერს ნიშნავს პლინიუსის ცნობა, რომ დიოსკურია „კოლხთა ქალაქი“ იყო, რადგან ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ბერძნული იერსახე დაკარგაო. იმეორებს და ეთანხმება *ი. ვორონოვს*, რომ კოლხეთის სამეფოს შესახებ ძლიერი ბიძგი *ლავრენტი ბერიას* ეპოქამ მისცა. შემდეგ აღნიშნავს, რომ უფრო კომპენტენტური ანტიკური ავტორების სიტყვებით, სინამდვილეში არც მდინარე ფაზისის ხეობაში, მის არც ჩრდილოეთით არავითარი კოლხები არ ცხოვრობდნენ¹⁸. ქვეტექსტი ნათელია - ის აფხაზთა ცრუისტორიას აქეზებს და მხარს უჭერს. ქართველ მეცნიერებს კი „ნაციონალური მითის“ შემქმნელად მოიხსენიებს. უფრო მეტი, კოლხეთის სამეფოს არსებობა ბევრ ავტორს საეჭვოდ მიაჩნია, თუმცა ვ. შნირელმანი ასეთ ავტორებს არ ასახელებს.

მეცნიერულ კამათში მეცნიერები მხოლოდ წყაროებით უნდა ეპაექრობოდნენ ერთმანათს, არასიმპატიურად განწყობილთა მიმართ ცინიზმი მეცნიერების სფეროდან გამოდის და უდავოდ დიდი სუბიექტურობის გამომხატველია. ქართველებს არასდროს გამოუყენებიათ სიტყვათა შეთანხმება „დიდი საქართველო“, ამ ტერმინს ცინიკურად აფხაზი ავტორები გამოიყენებენ, რაშიც ვ. შნირელმანიც კვერს უკრავს. ფინეთში გამართულ სიმპოზიუმზე უნახავთ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის

¹⁷ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 343.

¹⁸ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 346.

დროინდელი საქართველოს რუკა, რომელზედაც ახლანდელ თურქეთში, რუსეთში, სომხეთში და აზერბაიჯანში შემავალი ტერიტორიები მაშინდელი საქართველოს შემადგენლობაში იყო მოქცეული: «Следует заметить, что Великая Грузия» - это вовсе не домыслы абхазских авторов. На проведенном в Турку (Финляндия) симпозиуме Руставели фигурировала карта исторической Грузии (т. е. Объединенного государства Давида Строителя и царицы Тамары), включавшая некоторые районы, входившие ныне в Турцию, Россию, Армению и Азербайджан. Начиная с осени 1988 г. эта карта оказалась весьма популярной среди грузинских политиков и интеллектуалов. Она получила широкое хождение в Грузии, и летом 1989 г. Звиад Гамсахурдия демонстрировал ее иностранным корреспондентам (см., напр., Hewitt, 1996. 196, note 16). Она сохраняет свою популярность и в постсоветской Грузии¹⁹. ამ ციზის საპასუხოდ რა უნდა ითქვას? ვინ არ ხაზავს თავის ისტორიულ რუკებს? რა ისტორიის სწავლება უნდა ამოვიღოთ? არ უნდა დავწეროთ რეალური ისტორია? აღნიშნული რუკები ეყრდნობა რეალურ საისტორიო ფაქტებს და არა მხოლოდ ქართულ წყაროებს. ქართველმა ხალხმა, რა, უნდა დამალოს ჭეშმარიტი ისტორია? სხვათა მიერ მითვისებულ ძირძველ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებზე არ უნდა ვთქვათ, რომ ისინი ქართველთა განსახლების უძველესი არეალები იყო? ვ. შნირელმანი არაპირდაპირ ყველა მეზობელს უპირისპირებს ქართველებს. არ უნდა დაიტანონ ქართველმა მეცნიერებმა სამხრეთ საქართველოს ისტორიული მხარეები

¹⁹ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 390.

რუკაზე საქართველოს შემადგენლობაში, რადგან ისინი დღეს სხვა ქვეყნების შემადგენლობაშია? რა, მათ გაღიზიანებას მოვერიდით? მაღლობა ღმერთს, ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის, არტაანის, კოლის, ერუშეთის, პალაკაციოს (ჩრდილის) ტერიტორიებზე ბევრი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლი გადარჩა, რომლებზედაც უამრავი ქართული წარწერაა, რომლებიც ღაღადებენ, რომ ჩამოთვლილი ტერიტორიული ერთეულები ქართველთა განსახლების არაეალი იყო და რომ ისინი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. იქნებ ისიც ტყუილია, რომ საქართველოს ტერიტორია აფხაზეთის ნაწილში ნიკოფსიამდე გრძელდებოდა? იქნებ ისიც ტყუილია, რომ დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რომელიც ქართლ-კახეთთან ერთად შეერთა რუსეთმა, მხოლოდ 1858 წელს ჩამოაჭრეს თბილისის გუბერნიის გორის მაზრას? რუსეთის სახელმწიფოს და ოსების მორიდების გამო, აღნიშული ტერიტორიები არ უნდა შეეტანათ რუკის შემქმნელებს? რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალი ისტორიული აღმოსავლეთ კახეთი (საინგილო) საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და რომ ის ქართველთა განსახლების არეალი იყო? დავმალოთ ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ სომხეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა? იქნებ ვ. შნირელმანი ჩასულიყო დღევანდელ თურქეთის სახელმწიფოში და ანისის ნაქალაქარი ენახა, სადაც ქართული მართლადიდებლური ეკლესიებიც იდგა და დგას. არ დაეფიქსირებინათ რუკის შემქმნელებს, რომ ლორე და ტაშირი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილები იყო? და რომ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამდე სამე-

ფოს ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა? დაემაღათ, რომ ეს მხარეები რუსეთის იმპერიის დროსაც თბილისის გუბერნიაში შედიოდა? რუკებზე, ბუნებრივია, დატანილია კავკასიის ის ტერიტორიები, რომლებიც მაშინდელი საქართველოს გავლენის სფეროში შედიოდა, აგრეთვე ვასალური (ყმადნაფიცვი) და მოხარკე ქვეყნები.

ვ. შნირელმანი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსები იყენებენ კოლხეთის სამეფოს იდეას ქართველთა თანამედროვე ეთნიკური იდენტობის ფორმირებისათვის²⁰. რა უნდა უპასუხო ასეთ მიზანმიმართულ ნიჭილისტურ დამოკიდებულებას? ქართველებს ეთნიკური იდენტობა საუკუნეების მიღმა ჰქონდათ ჩამოყალიბებული და ამ იდენტობას უფრო კრავდა სხვა ფაქტორი და ეს სხვა ფაქტორი არა სახელმწიფოებრიობის არსებობა, არამედ საგარეო ფაქტორი იყო. პირიქით, სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი პირობა სწორედ საგარეო ფაქტორი, სხვათა მიერ ქვეყნის დაპყრობის სურვილი იყო. ქართველთა პრეტენზიები აფხაზეთზე არა რაიმე წარმოსახვას, არამედ რეალურ საისტორიო წყაროებს ეყდრნობოდა და ეყრდნობა. ამ წყაროებთან ერთად, როგორც ილია აღნიშნავდა, ქვანიც ღაღადებენ, ის ქვები, რომელზედაც ქართული წარწერებია და რომელთა აშენებაც ქართველ მეფეებს უკავშირდება. რუსეთ-საქართველოს ომამდე, ლიხნის ტამარში დაცული იყო ჩვიდმეტზე მეტი ქართული ფრესკული წარწერა, ასევე ბიბლიური სიუჟეტები, წმინდანთა გამოსახულებები ქართულ-ბერძნული განმარტებითი წარწე-

²⁰ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 348

რებით, მათში მოიხსენიებდნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს: ბაგრატ IV-ს, გიორგი II-ს და სასულიერო პირებს. აფხაზეთში ქართული ქრისტიანული არქიტექტურა ქართული ეპიგრაფიკით IX-XVI საუკუნეებით თარიღდება და ის დღევანდელი აფხაზეთის ყველა რაიონს მოიცავს, მათ შორის, გუდაუთის რაიონშია ქართულწარწერიანი *მსიხგუას, ხუაფის, ანუხვას* ეკლესიები. ილორის წმიდა გიორგის ტაძარში ძველი ქართული წარწერიანი ხუთი ქვაა შემორჩენილი ნუსხური, ასომთავრული და მხედრული წარწერებით²¹. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია ქართველი მღვდელი *გიორგი ქოჩოლავა* (XI საუკუნე). წებელის XIV საუკუნის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი წარწერების მიხედვით, ირკვევა, რომ მისი მაშენებელი ყოფილა ასევე ეთნიკური ქართველი *ლუკა მარტინავა*. ვ. შნირელმანი კი ასეთი საისტორიო ფაქტების შესახებ არსებულ ლიტერატურაზე თვალს ხუჭავს. მოსკოველი მეცნიერისათვის უცხო შეიძლება აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ქართველობის შესახებ, მხატვრული ლიტერატურაც მეტყველებს, არა ქართული, არამედ XII საუკუნის სპარსული პოეზია. აი, რას წერდა პოეტი *ხაყან შირვანელი* (შირვანი დღევანდელი აზერბაიჯანის ერთი ნაწილია): „ტრფობით შენი თეთრი სახის // და კავების, მას რომ ამკობს // აფხაზეთში დავესახლე და // ქართულად ვლაპარაკობ. // იმდენჯერ და ისეთი ხმით // გიხმობ: მოი, მოი აქო, // ენა ცისებრ დამიწვრილდა // და ქართულად ვლაპარაკობ... (მაგალი თოდუას თარგმანი).

²¹ ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. - თბ., 2005

აფხაზებს კი მაინცდამაინც კოლხეთის სამეფოში აფხაზური კომპონენტის დანახვა უნდათ. ვ. შნირელმანი საერთოდ პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის მკვლევარია და კალამი ეთნოსთა შორის დაპირისპირების სფეროშიც მოსინჯა. უნდა ითქვას, რომ მან დაამუშავა ზღვა ლიტერატურა, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეხება, როგორც ქართველი, ისე აფხაზი ავტორებისა. ვნახეთ, რომ ქართველი ავტორების მიმართ სუპერკრიტიკულადაა განწყობილი, ხოლო აფხაზ ავტორების მოსაზრებებს ფაქტობრივად ყველაფერში იზიარებს. უფრო მეტი, ხშირად აჭარბებს კიდევაც მათ ანტიქართული ქმედებებით. ამიტომაც იყო, რომ ამ შემთხვევაში აქცენტი მასზე ავიღეთ და არა აფხაზ ავტორთა ტენდენციურ ნაშრომებზე. არსად არ წერს იმის შესახებ, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კვლევა, საქართველოს მხარის - აფხაზეთის ისტორიის დაწერა ძირითადად ქართულ წყაროებსა და დოკუმენტებს ეყრდნობა, რომ ისინი ღაღადებენ იმას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდნენ ქართული ეთნოსის წარმომადგენლები და რომ აქ აგებული ქრისტიანული და საერო კულტურის ძეგლები ქართული ძეგლებია, რომლებზედაც ქართული წარწერებია ამოკვეთილი - ამას ის მკითხველს უმაღავს.

როდესაც ეთნიკური ისტორიის პრობლემას ეხება ესა თუ ის მეცნიერი, ბუნებრივია, მან ყველანაირი წყარო უნდა გაითვალიწინოს. თეორიულად ეს ვ. შნირელმანმა კარგად იცის, მაგრამ, ამ შემთხვევაში ასეთი წყაროების გამოყენებით თავს არ იწუხებს, ის მხოლოდ აფხაზ მკვლევართა გამართლებითაა დაკავებული. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის გასარკვევად კი მკვლევარებისათ-

ვის შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს ნართების ეპოსი. სალომე ბახია-ოქრუაშვილმა ნათლად აჩვენა, რომ ნართების ეპოსის შემქმნელთა თავდაპირველი განსახლების არეალი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია არ იყო; ამას ადასტურებს თქმულებაში მოხსენიებული მატერიალური კულტურა (საცხოვებელი სახლები), ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო (მოქმედება ძირითადად ველებში მიმდინარეობს, განსხვავებულია მცენართა და ცხოველთა სამყარო). „აშკარად ჩანს, რომ მითოლოგიური თქმულებები სკვითურ-სარმატულ და ალანურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ცხადია ისიც, რომ ეპოსის ძირითადი თქმულებები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მობინადრე მეზობელი ხალხების ერთიანი და უშუალო მონაწილეობით, ადგილზე უნდა შექმნილიყო“²². არადა, როგორც გვმოდერავენ, კოლხური კულტურა, თურმე, აფხაზეთა საკუთრება ყოფილა. ვ. შნირელმანს მართებდა აფხაზეთა ეთნოგენეტიკური და გენეალოგიური გადმოცემებიც გაეთვალისწინებინა, „რითაც „დასტურდება აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზეთური ეთნიკური ერთობის დამკვიდრების მიგრაციული ბუნება“²³. აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ კიდევ ერთ ეთნოგრაფიულ მასალას აქვს მნიშვნელობა; ესაა სალოცავები: ა) აფხაზეთური გვარების დიდ ნაწილს სალოცავი ჩრდილოეთ კავკასიაში ჰქონდა (მიგრირებული მოსახლეობა არ ივიწყებდა წინაპართა სალოცავს) და ბ) ილორის წმინდა გიორგი სამეგრელოს მოსახლეობის ძირითა-

²² ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზეთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2010, გვ. 27, 9-28.

²³ ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზეთა ეთნიკური ისტორიის... გვ. 57.

დი, ცენტრალური სალოცავი იყო (აქ ლოცულობდნენ სვანებიც). ძნელი არ იყო მიკლუხო-მაკლასის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელს ეს მასალები მოეძიებინა.

ვ. შნირელმანის რისხვა ცნობილ ქართველ მეცნიერს პავლე ინგოროყვასაც შეეხო. ბუნებრივია, აქაც ის აფხაზ ავტორებს იმეორებს. უბედურება ისაა, რომ მათ მეცნიერული საკითხები პოლიტიკურ ჭრილში გადააქვეთ. მეცნიერებმა არ უნდა იკვლიონ ჭეშმარიტი ისტორია, თანაც, თუ ის წყაროებს ეყრდნობა? ქართულ წყაროებსა და საისტორიო საბუთებში საუბარია გვიან შუა საუკუნეების პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების თარეშების შესახებ, რამაც ნამდვილად სერიოზული ეთნოკულტურული ძვრები გამოიწვია აფხაზეთში და არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ საქართველოს მთელ ჩრდილოეთ პერიმეტრზე. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიიდან ეთნიკური ქართველები რომ გამორბოდნენ ენგურსგამოდმა, ფაქტია; ფაქტია, რომ თარეშებმა შეცვალა დვალეთსა და შიდა ქართლში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, სადაც ქართველთა ადგილი ოსებმა დაიკავეს. ანალოგიური მოვლენები განხორციელდა აღმოსავლეთ კახეთში, სადაც ლეკიანობისა და შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად ეთნიკურ ქართველებს ჯერ ლეკები/დაღესტელები და შემდეგ თურქულენოვანი ტომები ჩაენაცვლნენ.

ვ. შნირელმანი საყვედურობს ქართველ ისტორიკოსებს, რომლებიც წერენ, რომ რუსების კავკასიაში გამოჩენამდე ქართველებსა და აფხაზებს შორის არასდროს არ იყო შეხლა-შემოხლა და რომ აფხაზი ხალხის მთელი

უბედურება ცარიზმის პოლიტიკის შედეგი იყო²⁴. დიახ, საისტორიო ფაქტები ამას ღაღადებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიანი შუა საუკუნეების თარეშების ფაქტებს, რომლებსაც მთებში მცხოვრები აფხაზები, ჩრდილოეთკავკასიელ თანამოძმეებთან ერთად, ქართულ მოსახლეობაზე ახორციელებდნენ, არა მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და ხშირად ისინი გურიამდეც კი აღწევდნენ. აქაც ისევ და ისევ ქვები ღაღადებენ – სამეგრელოს მთავარმა *ლევან დადიანმა* ხომ „აფხაზთა გადმოუსვლელობის“ გამო ააგო ვრცელი კელასურის კედელი. საკითხავია, ცარიზმის პოლიტიკის შედეგი არ იყო აფხაზთა ორი მუჰაჯირობა 1867 და 1877 წლებში? რუსები არ იყვნენ მუჰაჯირად წასულ აფხაზებს უკან დაბრუნების საშუალებას რომ არ აძლევდნენ?

აფხაზეთთან მიმართებაში ვ. შნირელმანი მიზანმიმართულად ცდილობს ერთიანი ქართული ეთნოსის გათიშვას - საყვედურობს ქართველ მეცნიერებს, რომ ძველი ისტორიის მეგრულ-ჭანებსა და სვანებს „ქართველებად“ მოიხსენიებენ: „Исходя из современных реалий, он причислял их к картвелам (Ломоури, 1990. С. 163-166), хотя, строго говоря, в этническом плане термин «картвелы» относится лишь к грузинам Восточной Грузии. Между тем, такое расширительное использование этого термина позволяло ему и другим грузинским авторам заявлять об обитании картвелов в Восточном Причерноморье с глубочайшей древности, что и вызвало неприятие у абхазов»²⁵.

²⁴ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 396.

²⁵ В. А. Шнирельман. Войны памяти, 2003, с. 399.

ვ. შნირელმანსა და აფხაზ ავტორებს ძალიან სურთ მეგრელები (ძველი ეგრისის/კოლხეთის მკვიდრნი) და სვანები ქართველებად არ მიიჩნევენ თავს. ეს თანამედროვე რუსეთის ხელისუფალთა სურვილიცაა. მაგრამ როგორც ეთნოლოგმა მან უნდა იცოდეს, რომ ყველა ეთნოსს თავისი სტრუქტურა გააჩნია. ორიგინალური სტრუქტურა გააჩნია ქართულ ეთნოსსაც - მასში საერთო წარმომავლობის სამ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფი შედის: ქართვები, ზანები და სვანები. ისინი ქართულ ეთნოსში/ერში არიან წარმოდგენილი და საუკუნეების განმავლობაში საერთო ისტორიასა და კულტურას ქმნიდნენ, რომელსაც საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა ჰქვია; ქართველები (ქართვები, ზანები, სვანები) არ აპირებენ ამ საერთო ისტორიასა და კულტურაზე უარის თქმას. ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ დასახელებული ავტორი ქართველ ისტორიკოსს *თეიმურაზ მიბჩუანს* სვან ისტორიკოსად მოიხსენიებს. ეთნიკურ სვანს უწოდებს *იოანე შავლიანს არსენ შავინიანი*: «Абхазское царство особенно усилилось, когда трон в Кутаиси в 873 г. был узурпирован этническим сваном, Иоанном Шавлиани, и сыном его Адарнасе»²⁶. ამასთანავე ვ. შნირელმანი არავითარ კრიტიკულ დამოკიდებულებას არ იჩენს აფხაზი ავტორების მიმართ, რომლებიც წერენ, რომ

²⁶А. Шагинян. Раннесредновековая география Армении и стран Южного Кавказа. - Санкт-Петербург.-2014.- с. 31. ამ ავტორს, სხვათა შორის, ჰგონია რომ აფხაზთა სამეფო ეთნიკური აფხაზი მოსახლეობის იყო; ის მკითხველს უმაღლავს იმ ფაქტს, რომ აფხაზთა სამეფო ეს იყო დასავლურქართული სამეფო, სადაც სახელმწიფო ენა ქართული იყო და ამიტომაც იბრძოდნენ ისინი ქართლის დასაუფლებლად, ე. ი. საქართველოს გასაერთიანებლად.

პირველი ნამდვილი სახელმწიფო თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე შექმნეს აფხაზეზმა, რომ აფხაზეზი არიან ანტიკური კოლხების შთამომავლები, რომ აფხაზეზს ჰქონდათ თავისი დამწერლობა, რომ ქართული ანბანი შექმნილია ძველი აფხაზური ანბანის საფუძველზე და რომ აფხაზი ხალხი წარმოიქმნა ქართველ ხალხზე რამდენიმე საუკუნით ადრე. მეცნიერს არც იმაზე აქვს რეაქცია, რომ თურმე სახელწოდება „საქართველო“ მხოლოდ XV საუკუნეში წარმოიქმნა.

აღნიშნული წიგნის გამოცემამდე აფხაზ მეცნიერთა მხარდაჭერა და აფხაზური სეპარატიზმის წაქეზება ვ. შნირელმანმა სხვადასხვა ინგლისურენოვანი სტატიებით სცადა. ქართველ მეცნიერებს მისი სუბიექტური და ტენდენციური ნაშრომები არ დარჩენიათ ყურადღების მიღება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა *ინგა ლუტიძის* სტატია: „ვ. შნირელმანი ... მკითხველს აფხაზეთის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის, ეთნიკური და ენობრივი იდენტობის საკითხებზე მსჯელობისას, ქართველ მეცნიერთა ძალიან ნაწილის ნააზრევს აცნობს იმ იმედით, რომ ის ქართველ მეცნიერთათვის მუდმივად მიუწვდომელი დარჩება და, შესაბამისად, პასუხიც არასოდეს გაეცემა“²⁷.

ქართველმა მეცნიერმა კარგად შეამჩნია, რომ დასახელებული ავტორი „აფხაზური სქემის მიხედვით, რომელსაც ვ. შნირელმანი იმოწმებს, ყველა ფაქტი იმის დამადასტურებელი და დამამტკიცებელია, რომ პირველი სახელმწიფო თანამედროვე საქართველოს ტერიტორია-

²⁷ ი. ლუტიძე. ქართული ენისა და იდენტობის მიმართების დისკურსი დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში. - ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, თბ., 2012, გვ. 225-238.

ზე დაარსებულია აფხაზების მიერ (გუნბა 1989: 215-35; აკობა 1990: 4), რითაც უზრუნველყოფენ ძლიერ იდეოლოგიურ საფუძველს აფხაზთათვის სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის საქმეში²⁸.

ი. ლუტიძეს ვ. შნირელმანისა და სხვათა ნაშრომებიდან არაერთი ფაქტი აქვს მოხმობილი, რომელთა ავტორების „მიზანი სამეცნიერო წრეებისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის საქართველოში არსებული ვითარების გაცნობაა მიზანმიმართულად გაყალბებული სქემებითა და მონაცემებით“²⁹.

როგორც ჩანს, ვ. შნირელმანი კონსულტაციებს აფხაზი პოლიტიკოსებისაგან იღებდა. ცნობილია ხაჯინბას განცხადება: „ზოგიერთებს ავიწყდებათ, რომ ჩვენ საქართველოს ტერიტორია არასოდეს ვყოფილვართ“³⁰.

ზემოთ თქმულს მხოლოდ ერთს დავამატებთ: საქართველოს ისტორიის მიზანმიმართულ გამყალბებლებს ქართველ მეცნიერთა მხრიდან ასევე მიზანმიმართული მხილება და ობიექტური პასუხი სჭირდებოდა უცხო ენებზე, მაგალითად არქეოლოგებისა, იმის შესახებ, რომ, თურმე, კოლხური არქეოლოგიური კულტურა აფხაზთა შემონაქმედი. სიმართლე უნდა ვთქვათ, ქართველმა მეცნიერებმა ვ. შნირელმანის ანტიქართულ და უაღრესად არამეცნიერული წიგნს გარკვეული შეფასებაც მისცეს, საამისოდ, შეიძლება აფხაზეთის ისტორიის შესახებ გუ-

²⁸ ი. ლუტიძე. ქართული ენისა და იდენტობის მიმართების დისკურსი... ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, 2012.

²⁹ ი. ლუტიძე. ქართული ენისა და იდენტობის მიმართების დისკურსი... ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, 2012.

³⁰ მ. პატარაია. ნამდვილი ისტორიის დაწერა ეროვნული უსაფრთხოების საქმეა, 2018. სოციალური ქსელი.

მაღ გამახარიას ხელმძღვანელობით მომზადებული სქე-
ლტანიანი წიგნი დავასახელოთ³¹.

³¹ Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней, 2009, с. 43, 50, 58, 98, 452, 465, 477.

ნაკვეთი II

დასახელებულ წიგნში ვ. შნირელმანი ქართულ-ოსურ ურთიერთობებსაც შეეხო, ბუნებრივია, მიმოიხილა ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ამ სფეროში არსებობს, როგორც ქართველი, ისე ოსი ისტორიკოსების მხრიდან. ქართულ-ავხაზური ურთიერთობების სფეროში ის იმდენად ტენდენციური იყო და ნეგატიური დამოკიდებულება გამოამჟღავნა ქართველი ისტორიკოსების მიმართ, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობების სფეროში ანალოგიურის გაკეთება შეუძლებლად ჩათვალა. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ოსი ავტორები სრულიად სამართლიანად სკვითომანიით შეპყრობილებად გამოაცხადა. ოსი მეცნიერების სკვითომანია კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავს აცხადებენ არა მხოლოდ ალანების, არამედ სარმატებისა და სკვითების შთამომავლებად და რომ მათი წინაპარები არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ სამხრეთ კავკასიაში, ე. ი. საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ცხოვრობდნენ. ვ. შნირელმანი აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ისტორიის შექმნა XX საუკუნის 30-იან წლებში ზ. ვანეევმა დაიწყო. მაგრამ სიმართლეს თუ ვიტყვით, გაყალბების პირველი ავტორები რუსები იყვნენ, კერძოდ ცნობილი დეკანოზი ი. ვოსტორგოვი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში წერდა, რომ ქართლის ველებზე თავდაპირველად ოსები ცხოვრობდნენ, შემდეგ საიდღანაც მოვიდნენ ქართველები, რომლებსაც ოსები შეუვიწროებიათ, აქეთ-იქით მიუწევიათ, ორად გაუყვიათ – ჩრდილოეთით ჯავის ხეობისაკენ და სამხრეთით – ბორჯომის

ხეობაში³². რუსი სასულიერო პირის ნააზრევს გაზეთმა „ივერია“ სათანადო პასუხი გასცა და „მახინჯი აზრების კრებული“ უწოდა.

ამ ნაშრომში დაწვრილებით არ მოვეყვებით იმ ლიტერატურის შესახებ, რაც ოსთა საქართველოში მიგრაციის შესახებ არსებობს³³. ამ სამეცნიერო ნაშრომებში დასაბუთებულია, რომ ოსური ეთნიკური ერთობის მიგრაცია საქართველოში გვიან პერიოდში მოხდა - დვალეთში XVI საუკუნესა და შიდა ქართლში - XVII საუკუნის შუა ხანებიდან. თუმცა მათ საქართველოში დამკვიდრების სურვილი მონღოლთა ეპოქაშიც ჰქონდათ. მაგარამ ოსების ეს სურვილი სურვილად დარჩა, რადგან გიორგი ბრწყინვალემ მონღოლთა ეს ფაქტობრივად საპოლიციო

³² И. Восторгов - Духовный вестник грузинского экархата, №2, 1903.

³³ რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; რ. თოფჩიშვილი. პროვინციელ ფაშისტთა ცრუ ისტორია, თბ., 1999; რ. თოფჩიშვილი. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თსუ გამომცემლობა, 2008; რ. თოფჩიშვილი. ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. - საქართველოში არსებული კონფლიქტები მშვიდობის პერსპექტივები, თბ., 2009, გვ. 135-171; რ. თოფჩიშვილი. „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში - P. Топчишвили. «Осетинская этнографическая энциклопедия» в контексте грузино-осетинских отношений, თბ., 2016; რ. თოფჩიშვილი. დვალეთი და დვალეები, თბ., 2016; რ. თოფჩიშვილი. თრუსო - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბ., 2019; P. Топчишвили. Осетины в Грузии: миф и реальность, Тб., 2009; P. Топчишвили. Кавказоведческие исследования, Тб., 2011; P. Топчишвили. Об осетинской мифологеме истории, Тб., 2005; Осетины в Грузии. Сборник, Тб., 2015; R. Topchishvili. Ethnic Processes in Shida Kartli (The Ossetians in Georgia). - Causes of War Prospects for Peace, Tbilisi, 2009, pp.111-138.

რაზმი საქართველოდან გაყარა და მტკიცედ შეკრა *კასრის კარი* (ანუ დვალებიდან ალაგირის ხეობაში გასასვლელი), რადგან მათ შემდეგ ვეღარ მოეხერხებინათ აქეთ გადმოსვლა-გადმოსახლება. ზემოხსენებული ვ. შნირელმანი საუბრობს ოსი ავტორების შესახებ, რომლებიც წერენ, რომ სამხრეთ ოსეთში ოსთა წინაპრების გამოჩენამდე არავითარი ქართველები იქ არ იყვნენ. ისეთი მითიც კი შექმნეს, რომ საქართველომ ქრისტიანობა ოსეთზე 400 წლით გვიან მიიღო, აგრეთვე იესო ქრისტე „ოსური წესით“ იყო დაკრძალული. ბუნებრივია, ასეთი ნონსენსების შემდეგ ოდნავ მოაზროვნე მეცნიერთა შორის მათ მხარდამჭერი ნაკლებად გამოუჩნდებოდათ.

განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ისტორიის გაყალბებას ოსები რუსეთის წაქეზებით ახდენდნენ, რათა მათ გაემართლებინათ თავიანთი სეპარატისტული მოძრაობა. სხვათა შორის, ამას აშკარად ადასტურებს შემდეგი ფაქტი - 2004 წელს რუსეთის დუმამ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად შეუერთდა რუსეთს. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აღნიშნულ ზავში საერთოდ ოსისა და ოსეთის ხსენება არ არის. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა მხოლოდ ყირიმისა და ყაზარდოს შეერთება მოახდინა³⁴. ე. წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ოსი ავტორების მეზღაპრობამ და ტერიტორიულმა პრეტენზიებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. წინამდებარე ნაშრომში ოსების ყველა პრეტენზიას ვერც შევხებით. მაგრამ

³⁴ История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. – М., 1988, с. 441-442.

ტერიტორიული პრეტენზიები რომ განუსაზღვრელი აქვთ, ამის შესახებ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. ორიოდე წლის წინ მათ ე. წ. ოსეთის ახალი გეოგრაფიული დაყოფა შემოგვთავაზეს; ესაა „აღმოსავლეთი ოსეთი“, რომელშიც შეჰყავთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე *თრუსო* ხევითურთ, აგრეთვე მთიულეთის ღუდას ხეობა. პრეტენზიები გააჩნიათ შიდა ქართლის დიდ ნაწილზე³⁵. გაზეთ «Республика»³⁶-ში გამოქვეყნებულ წერილების თანახმად მომავალი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოში აუცილებლად უნდა შევიდეს არაგვის ხეობის მთელი მარჯვენა მხარე (თუმცა არაგვის ხეობის მარჯვენა მხარესაც ეპოტინებიან - ბულაჩაურს ოსურ ტოპონიმად აცხადებენ) და მდინარე მტკვრის მარცხენა მხარე. ასე რომ, *მცხეთას, ანანურს, დუშეთს, კასპს* და *გორს* მომავალი სამხრეთ ოსეთის შემადგენელ ნაწილად განიხილავენ - ეს ტერიტორიები კი ოსთა ნაციონალური ტერიტორიები ყოფილა³⁷. ასე რომ, ოსების სახელმწიფოს უკიდურესმა სამხრეთმა საზღვარი თბილისს იქნება მობჯენილი. ეს საზღვარი მუხადგვერდის ქედი ყოფილა. ისინი კუდაროს დასავლეთითაც გეგმავენ გაფართოებას. იმპერიული მიზანი აშკარაა, ორი დიდი ავტონომიური სტრუქტურა _

³⁵ რ. თოფჩიშვილი. სეპარატისტები შიდა ქართლის მცხეთის მიტაცებას „ეროვნულ ამოცანად“ სახავენ. - ისტორიანი, #8 (68), 2016, გვ. 50-55.

³⁶ «Республика», №11-12, 2016. სტატია - Возвращение утраченных национальных территорий - наша обязанность перед прошлым и будущим Алании».

³⁷ დაწვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი. სეპარატისტები შიდა ქართლის მცხეთის მიტაცებას „ეროვნულ ამოცანად“ სახავენ. - ისტორიანი, #8 (68), 2016, გვ. 50-55.

საქართველოს სამხედრო გზა და ავტობანი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოში უნდა აღმოჩნდეს, რასაც ფაქტობრივად საქართველოს დანაწევრება მოჰყვება. ამრიგად, ეს ოსური ეთნოცენტრიზმი ქართველთა კიდევ დიდი ტერიტორიის მითვისებისკენაა მიმართული. გაუთვითცნობიერებელი მკითხველი ცხინვალში გამომავალ ზემოხსენებულ გაზეთს თუ დაუჯერებს, წაიკითხავს რომ ქართული საეკლესიო კულტურის სიამაყენი *მცხეთის ჯვარი* და *სვეტიცხოველი* თურმე ოსური კულტურის უძველესი ძეგლებია და სვეტიცხოველის ნამდვილი სახელწოდება „ოსთცხოველი“ ყოფილა. დასახელებული გაზეთი აჯერებს ოს მკითხველს, რომ „ოსეთის ეთნიკური ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი“ იყო საბჭოთა ხელისუფლების საჩუქარი ბოლშევიკური საქართველოსათვის. თურმე 1922 წლამდე თრუსოსა და ღუდის (თეთრი არაგვის სათავე მთიულეთში) ხეობები და კობის ქვაბული სწორედ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებად მიიჩნეოდა. ოსეთის ტერიტორიის გარეთ დარჩენილა ოსთა განსახლების ადგილები მეზობელი დუშეთის რაიონში, რომელიც თბილისელი საბჭოთა კარტოგრაფების ხელით ქართულ რაიონებში აღმოჩენილა. გაზეთ «Республика»,-ს სტატიის ავტორი მომდვრავს თავის ხალხს, რომ ოსების ნაციონალური იდეის საფუძვლად უნდა იქცეს იმ მიწების ზრდა-შესისხლხორცება და შენარჩუნება, სადაც უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ოსი ხალხის ცენტრალური ბირთვი. მით უმეტეს, რომ ნაციონალური ტერიტორიის გაფართოება – ყველა ნაციოსათვის დამახასიათებელი მოვლენააო.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში საერთოდ არ ყოფილა ქართული მოსახლეობა და რაც შეეხება დიდი

ლიახვის ხეობაში ცხინვალს ზემოთ არსებულ ათ ქართულ სოფელს, რომლებიც 2008 წლის ომის შემდეგ ნა-სოფლარებად აქციეს და ამ სოფლების მკვიდრი ქართული მოსახლეობა იქიდან გამოდევნეს, თურმე ისინი წარმომავლობით ოსები ყოფილან და ეს თავისი ოსობა სულ ცოტა ხნის წინ დაუთმიათ მენშევიკური არმიის შიშით – შეშინებულ ამ სოფლების მკვიდრთ წინაპართა საფლავის ქვები გადაუტრიალებიათ და ქართველებად გამოუცხადებიათ თავი. ასეთ ნონსესებზე ჩვეულებრივი მეცნიერი ყურადღებას არც უნდა ამახვილებდეს, მაგრამ ეს ე. წ. ოსი მეცნიერების პრიმიტიულობის დამადასტურებელია. საკითხავია, დიდი ლიახვის ხეობის აღნიშნულმა მოსახლეობამ რატომ 2008 წლის რუსულ-ოსური აგრესიის დროსაც არ გაიხსენა და გამოიყენა თავდაცვის ძველი მეთოდი და კვლავ არ გადააბრუნა საფლავის ქვები და ამით რატომ არ აღიარა თავისი ოსობა? სიყალბის მქმნელმა ავტორებმა არ იციან, რომ არა მარტო ლიახის ხეობის, არამედ შიდა ქართლის სხვა ხეობების შესახებ აურაცხელი ქართული საისტორიო საბუთები არსებობს, სადაც ქართველთა მკვიდრობის ფაქტებია დასახელებული, თანაც ყველა ტოპონიმი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ XVIII საუკუნის II მეორე ნახევრის ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთარი³⁸, რომლებშიც აბსოლუტურად ეთნიკური ქართველები ცხოვრობდნენ. რაც შეეხება ცხინვალს, აქ ქართველებთან ერთად, სომხები და ებრაელებიც მკვიდრობდნენ. ქალაქში ცხოვრობდ-

³⁸ ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთარი (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013.

ნენ როგორც თავად-აზნაურობის (მაჩაბელი, ხერხეულიძე, გარსევანიშვილი, უნაძე...), ისე დაბალი ფენის წარმომადგენლები. XVIII საუკუნის II მეორე ნახევარში აქ არცერთი ოსი არ იყო აღრიცხული. ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა ქალაქ ცხინვალში 1886 წლის საოჯახო სიებით, რომელიც უკვე არა ქართველების, არამედ რუსი მოხელეების მიერ იყო შედგენილი - ქალაქში კვლავ არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. ამ დროს ცხინვალში სულ 818 კომლი და 3832 სული იყო. აქედან ქართველები 356 კომლსა და 1.135 სულს შეადგენდნენ, ებრაელები - 326 კომლსა და 1953 სულს, სომხები - 133 კომლსა და 744 სულს, ეს იყო და ეს³⁹. დღეს ცხინვალი ე. წ. დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის დედაქალაქია.

კარგა ხანია ოსი „მეცნიერები“ ქართული კულტურის შექმნის მითვისების გზასაც ადგანან, საქმე ეხება როგორც პროფესიულ, ისე ხალხურ კულტურას. 2008 წლის ომის შემდეგ რუსული საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის ქვეყნის ტერიტორიაზე 650 ოსური საეკლესიო კულტურის ძეგლია. მაგრამ მთავარია მათ ასეთი ნონსენსი გაავრცელონ, მეცნიერები თუ არ დაიჯერებენ ამას, უბრალო ოსი ახალგაზრდა ხომ დაიჯერებს, რომელიც საგულვეტელ მომავალ ქართულ-ოსურ ომში უფრო გააფთრებით იბრძოლოს ოკუპანტი ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ, ისევე როგორც აფხაზეთში, აქაც ქართველთა ოდითგანვე მკვიდრობას ხომ ისევ და ისევ ქვები ღაღადებენ, მაგრამ არა უბრალო ქვები, არამედ ადამიანის ხელით დამუშავებუ-

³⁹ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.

ლი და ძეგლებად გარდაქმნილი ქვეები. ოსმა „მეცნიერებ-
მა“ ეტყობა არ იციან, რომ ენა დედამიწასაც აქვს და დე-
დამიწის ეს ენა ტოპონიმებია. რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ
მთელი ტოპონიმია ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოსი
გამჭვირვალე ქართული ტოპონიმებია? ვიღაცეები ეტყო-
ბა ამას მიხვდნენ და ამიტომაცაა, რომ ჯერ კიდევ საბჭო-
თა პერიოდში დაიწყეს სოფლის სახელწოდებების შეცვ-
ლა. მაგრამ ამ შემთხვევაში ისტორიული დოკუმენტები
რომ ღალადებენ? ეს ქართული სოფლის სახელები რომ
ქართველთა წინაპრებს სხვადასხვა ეპოქაში ეტრატზე
თუ ქალაქებზე დაუფიქსირებიათ და აქ მცხოვრები ქა-
რთული გვარებიც არ გამორჩენიათ?

გაზეთ «Республика»,-ის 2016 წლის #7-8-ში დაიბეჭ-
და სტატია, რომლის შინაარსის მოკლედ გადმოცემა აუ-
ცილებლად მიგვაჩნია: ცნობილია, რომ ოსების წინაპრე-
ბი იყვნენ ალანები, რომლებიც მონღოლთა შემოსევამდე
ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ბინადრობდნენ. ინგუ-
შეთში გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც მიიჩნევენ,
რომ ალანები ინგუშების, და არა ოსების, წინაპრები იყ-
ვნენ. იმის გამო, რომ ოსი მეცნიერები ძალიან ხშირად ე. წ.
სამხრეთ ოსეთს ისტორიულ ალანიას უწოდებენ (თურმე
აგრესორ ქართველებს მოგვისპია აქ ალანიის სახელწო-
დება და მისთვის შიდა ქართლი გვიწოდებია), შიდა ქარ-
თლს საკუთარ ძირძველ ისტორიულ ტერიტორიად ინ-
გუშებიც მიიჩნევენ. გაზეთი ამას მარაზმს უწოდებს.
აღარ დავიწყებ ოსი მეცნიერების იმ არგუმენტების მოყ-
ვანას, რომ ინგუშები ისტორიის ფალსიფიკატორები არ-
იან, არც თავად მიიჩნევენ ამას სერიოზული კამათის სა-
კითხად და ასეთი ტონალობით მიმართავენ ინგუშებს:
დღემდე ეს ქართველები გვედავებოდნენ ძირძველ ოს-

ურ ტერიტორიებს, ახლა ეს ინგუმებიდა გვაკლდნენ, კუმ ფეხი გამოყო.

დასახელებული გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ვხვდებით ე. წ. სამხრეთ ოსეთში ქართული კვალის წაშლის მცდელობას. 2017 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა რ. კულუმბეგოვის სტატია სათაურით „ხელახლა ლენინგორის სახელის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით“. ავტორის მიზანია შეიცვალოს „მოძველებული“ და „ფუნქციადაკარგული“ ქართული ტოპონიმი ახალგორი. საინტერესოა, საიდან გაჩნდა ეს ტოპონიმი. შეთხზული ისტორია ასეთია: ახალგორის წარმოქმნამდე ქსნის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ. ოსების მეორე ტალღა თანამედროვე ლენინგორისაკენ 1296 წელს დაძრულა, მას შემდეგ, რაც ალანებმა იძულებით დატოვეს ქალაქი გორი - კავკასიური ალანის ცენტრი. ამის შემდეგ ალანთა რამდენიმე ასეული ოჯახი გადმოსახლებულა თანამედროვე ლენინგორში, რომლის სახელწოდებაც სტატიის ავტორის თქმით, სამწუხაროდ, დაიკარგა და ახალგორი ქართველი ცრუ ისტორიკოსების წყალობით ეწოდა. რა უნდა ითქვას ამ ნაბოღვარზე? ის მეცნიერული პასუხის ღირსიც არაა. როგორც ჩანს, არც ახალციხე და არც ახალქალაქი ქართული ტოპონიმები არაა.

ისტორიის ქურდობით განსაკუთრებით გამორჩეულია 2013 წელს ვლადიკავკაზში გამოსული «Осетинская этнографическая энциклопедия». ენციკლოპედიის თანახმად, კულტურის ბევრი ელემენტი ქართველებს ოსთაგან შეუთვისებიათ, მათ შორის „ხორბალი“ და ხორბლის მოყვანის კულტურაც მათგან უსწავლიათ; ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს, ტერიტორიულ-ლოკალურ ერთეულს - სვანებს მეფუტკრეობა დასავლეთ ალანებისა-

გან შეუსწავლიათ; თურმე ოსთა უძველესი სასმელი ყოფილა ღვინო, რომელიც ჯერ კიდევ ადრე სკვითები-სათვის ყოფილა ცნობილი. ეს კი სკვითომანიის ნათელი ნიმუშია. საკითხავია, როდის აყენებდნენ ოსთა წინაპრები ღვინოს, მომთაბარე ცხოვრებისას თუ მთებში დამკვიდრების შემდეგ? ოსურ კულტურად მიიჩნევენ ქართული კვებითი კულტურის ისეთ ელემენტს, როგორცაა *სულგუნი*, ეს იმ დროს, როდესაც მათ მისი დამზადება საერთოდ არ იცოდნენ. სულგუნის მითვისებას საფუძვლად დაედო *ვ. აბაევის* ეტიმოლოგია, რომელმაც ოსური ენის დიგორული დიალექტის სიტყვას „სულუ“-ს დაუკავშირა. „ამ დიალექტში თურმე „სულუ“ შრატს ნიშნავს. *ბ. კალოევმა* და სხვა ავტორებმა დაწერეს, რომ „სულგუნი“ დიგორელებისაგან ისწავლა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამო. მათი უაზრობა იქამდე მივიდა მოსკოვში გამოცემულ სქელტანიან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წიგნში „ოსები“ სულგუნის დამზადების ტექნოლოგიაც შემოგვთავაზეს. თურმე სულგუნი შრატისაგან მზადდება (!!!)⁴⁰. ასე რომ, სიყალბეების წერამ შეიძლება ასეთ კურიოზებამდეც მიიყვანოს გაუნათლებელი და ყალბისმქმნელი ავტორები. ენციკლოპედია ქართულ რელიგიურ დღესასწაულებს, რომლებიც შიდა ქართლის ტერიტორიაზე ტარდებოდა, ოსურ დღესასწაულებად აცხადებს⁴¹. ხოლო „ლომისა“ საერთო ოსურ-ქართულ

⁴⁰ რ. თოფჩიშვილი. „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში - *Р. Топчишвили. «Осетинская этнографическая энциклопедия» в контексте грузино-осетинских отношений*, თბ., 2016.

⁴¹ რ. თოფჩიშვილი. „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში - *Р. Топчишвили. «Осети-*

სალოცავადაა გამოცხადებული, რომელიც სინამდვილეში მთიულებისა და ქსნის ხეობაში მცხოვრები ქართველების საერთო სალოცავი იყო. ლ. ჩიბიროვს ამით უნდა მკითხველი დააჯეროს, რომ ლომისას სალოცავის/ეკლესიის აღმართვისას ქსნის ხეობაში ოსები მკვიდრობდნენ და რომ, თურმე ქსნის ხეობა ოსეთია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთიულთა მხრივ „ლომისის“ დეკანოზები ბურდულთა გვარიდან იყვნენ, ხოლო ქსნისხეობელთაგან დეკანოზი აუცილებლად პავლიაშვილების გვარიდან უნდა ყოფილიყო. თუ ლომისა ქსნის ხეობაში ოსების სალოცავი იყო, რატომ არ ჰყავდათ ამ ეთნოსის წარმომადგენლებს თავიანთი დეკანოზი?

ოსი ავტორების მიერ საქართველოს ისტორიის დამახინჯებისა და ქართული კულტურის მითვისების კიდევ არაერთი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. ვფიქრობთ, მოყვნალიც საკმარისია. ზემოთ ითქვა და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ მიზეზი ყველაფერი ამისა არის მომავალი აგრესიული ზრახვები, რათა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ და ოკუპირებულ ტერიტორიებს ახალიც შემატონ.

აფხაზთა შესახებ როდესაც ვსაუბრობდით, აღვნიშნეთ, რომ ერთ დროს ქართულ მეცნიერებაში გავრცელებული იყო თვალსაზრისი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა სამხრეთიდან მოსვლამდე აფხაზურ-ადიღეური ტომების მკვიდრობის შესახებ. ანალოგიური შეხედულება იყო გამოთქმული აღმოსავლეთ საქართველოს შესახებაც, სადაც, თურმე, უფრო ადრე

нская этнографическая энциклопедия» в контексте грузино-осетинских отношений, თბ., 2016

ასევე სხვები - ნახურ-დადესტნური ტომები ცხოვრობდნენ. მეცნიერების განვითარებამ დაადასტურა, რომ ქართველები ავტოქტონები არიან, ისინი არსაიდან არ მოსულან. მაგრამ ბოლო დროს მავანმა და მავანმა კვლავ გაიხსენენა მოძველებული თეორია, რომ თუშეთი თავდაპირველად ვაინახთა განსახლების არეალი იყო და რომ აქ ქართველები შედარებით გვიან არიან მოსული. სოციალურ ქსელში ბოლო დროს გამოჩნდა სტატიები, რომ ძველი თუშების ნამდვილი მემკვიდრეები წოვები/წოვა-თუშები არიან და თუშებად მხოლოდ ისინი უნდა იწოდებოდნენ. მადლობა ღმერთს, აქ ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდებაზე საუბარი და არა ეთნიკურობაზე/ეროვნებაზე. 1970-იან წლებში კამათში აკადემიკოსი აკაკი შანიძეც ჩართულა. ხელთ გვაქვს ჩვენთვის უცნობი ავტორის დაუბეჭდავი სტატია სათაურით „სერიოზული მეცნიერული საკითხის ფსევდომეცნიერული და ფსევდოპატრიოტული ასპექტები“, რომელიც ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის საწერ მაგიდაში აღმოჩნდა. უფროსი თაობის მეცნიერთათვის ცნობილია, თუ რა დაპირისპირება გამოიწვია ვ. ელანიძის ნაშრომმა ჩაღმა და წოვა-თუშებს შორის. ეს ავტორი „მარჯვე მეცნიერული მანიპულაციებით „ამტკიცებდა“, რომ სახელი „თუში“ თავდაპირველად ეკუთვნოდა ჩაღმა-თუშებს და ახლაც მხოლოდ მათი კუთვნილება უნდა იყოსო“. ბუნებრივია ამ წერილმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია წოვა-თუშებში. აი, რა წერია ზემოხსენებულ წერილში: „წოვების ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ მოშველებოდნენ გულნატკენ თანამოძმეებს და აკ. შანიძის ავტორიტეტი მოიშველიეს: სთხოვეს მას, გამოეთქვა თავისი მოსაზრე-

ბა ამ საკითხის ირგვლივ. ოღონდ მდგომარეობა აქაც ერთობ მუქად დახატეს. უთხრეს მხცოვან მეცნიერს, რომ მათ, გაქართველებულებს, საქართველოს ერთგულ შვილებს, ვიღაც ელანიძე და მისი ამყოლი ჩაღმები არაქართველობას უკიჟინებენ და ბძანეთ თქვენი ავტორიტეტული სიტყვაო. პატივცემულმა მეცნიერმაც ბძანა, და ბძანა ერთობ გაუგონარი (ოღონდ არა ორიგინალური) თვალსაზრისი (ჟურნალი მნათობი, #2, 1970 წ.): „გაქართველებული ვეინახები არიან არა მხოლოდ წოვა, არამედ ჩაღმათუშებიც და თანაც არც თუ დიდი ხნის - „ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა ენაზე ლაპარაკობდა მე-17 ს-ის თუმი სახალხო გმირი, ზეზვა გაფრინდაული“. ეს კიდევ არაფერი, თურმე გაქართველებული ნახები არიან ფშავლები და ხევსურებიც. ეს თვალსაზრისი 1920 წელს გამოთქმული აქვს ნ. მარს და იმ პოლიტიკურ პირობებში ასეთ დებულებას, მოგეხსენებათ, რისი ფასი ჰქონდა. ასეთი დიდი ენათმეცნიერისაგან, როგორიც ბატონი აკაკი ბრძანდებოდა, ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია: ნახების გვერდით მცხოვრებმა ხალხმა რატომღაც დაივიწყა მშობლიური ენა და ისწავლა 2 დღის სავალს იქით მცხოვრები ქართველების ენა და თანაც ის ენა, რომელზედაც მისი თანამედროვე ქართველები ლაპარაკობდნენ, არამედ ის, რომელზედაც ლაპარაკობდნენ მთელი 4-5 საუკუნის წინანდელი ქართველები (თუშური და ხევსურული დიალექტების არქაიზმები არა მე-17, არამედ მე-10-12 ს-ეების ქართულისაა). რა იყო ამ დებულებაში წოვათუშებისათვის სანუგეშო, რას მატებდა მათს ქართველობას ჩაღმათუშებისა და ფშავ-ხევსურების ვაინახების შთამომავლებად გამოცხადება, მე არ ვიცი, მაგრამ მდგომარეობა მაინც ერთგვარად გაწონასწორდა. ვნებათაღელ-

ვა თითქოს დაცხრა“. ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ ასეთი პრობლემა მხოლოდ ენათმეცნიერის გადასაწყვეტი არ იყო. მეცნიერი, რომელიც ეთნიკურობის შეცვლის საკითხებზე აზრს გამოთვამს, ეთნიკურობის თეორიაში ოდნავ მაინც ჩახედული უნდა იყოს. ამას თავი დავანებოთ, მავანნი დღესაც ამ ვიწროპროვინციალური აზროვნებით შეპყრობილნი დღესაც არ ჩერდებიან და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს ოდესღაც ვაინახთა განსახლების არეალად აცხადებენ. ეს კი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩრდილოეთიდანაა პროვოცირებული, რომ მომავალში ქართულ სახელმწიფოს, ქართველთა განსახლების არეალს საფრთხე შეუქმნან და ის დასაშლელად მოამზადონ. სამწუხაროდ, ნახების ყალბი ისტორიის ამსახველი სტატიები საქართველოშიც იბეჭდება, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „ნაშრომი“ უცნაური სათაურით: „ნახების ცივილიზაციამდელი საზოგადოება და მათი განსახლების არეალი“: „ენათმეცნიერები და არქეოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძველად (III-II ათასწლეული ჩვენს წ. აღ-მდე) კავკასიელები წარმოადგენდნენ ეთნოენობრივ და კულტურულ ერთიანობას, მათ ჰქონდათ ფართო განსახლების არეალი, ე. ი. ცხოვრობდნენ როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე ამიერკავკასიაში. ეს ეხება როგორც ჩეჩნებს, ისე სხვა ჩრდილო კავკასიის ხალხებსაც.

ამასთან ერთად, ძველი სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდა ურთიერთობა ჩეჩნებთან, ჩამოყალიბდა ამიერკავკასიაში. ეს ურარტუა (IX-VI ს. წ. აღ-მდე). დროთა განმავლობაში ჩეჩნების წინაპრებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ამიერკავკასიაში, ასიმილაცია განიცადეს და შევიდნენ სომხების, აზერბაიჯანელების და ქართველების

სახელმწიფოს შემადგენლობაში⁴². ამიერკავკასიაში მცხოვრებ ჩეჩნებში ავტორი ერთ დროს ნახჭევანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ნახებს გულისხმობს, თუ ქართველების მოსვლამდე აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებით, გაუგებარია. კიდევ ერთი ციტატა: ვაინახთა სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოშობა და ჩამოყალიბება უკავშირდება უძველეს ეპოქას ჩვ. წ. აღ.-მდე I ათასწლეულს. ვაინახთა (ჩეჩენტა და ინგუშთა) სახელმწიფოებრიობა იქმნებოდა სხვა მონათესავე ხალხებთან ერთად მათი წინაპრების განსახლების არეალის რაღაც გამოკვეთილ ნაწილში⁴³. და სახელმწიფოებრიობისაგან ისინი განთავისუფლებულან XIX საუკუნის შუა ხანებამდე 250 წლით ადრე, ე. ი. XVII საუკუნის დასაწყისში: „ჩეჩნები განთავისუფლდნენ თავიანთ თავადებისაგან, როგორც წოდებისაგან, 250 წლით ადრე, ვიდრე ეს განახორციელა იმამმა შამილმა დაღესტანში“⁴⁴. ასე რომ, ზოგიერთი ავტორისათვის ისტორიული ფაქტი არ არსებობს; ის მხოლოდ მათ წარმოსახვაშია.

ცრუსტორიის შექმნით განსაკუთრებით გამოირჩევა ოსი ისტორიკოსი *მარკ ბლიევი*, რომლის ეთნოცენტრისტული გამოხტომების ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წავიყვანს. მაგალითად, ა) თურმე **ორი პატარა და ნაკლებად შესამჩნევი სამთავროს - ქართლ-კახეთისა და იმერეთის - საფუძველზე კავკასიაში რუსებმა შექმნეს ახალი ქვეყანა რუსული ნომინაციით „საქართველო“: «Главным**

⁴² ზ. გუმაშვილი. ნახების ცივილიზაციამდელი საზოგადოება და მათი განსახლების არეალი. - კავკასიოლოგიური ძიებანი, VII, 2015, გვ. 178.

⁴³ ზ. გუმაშვილი. ნახების ცივილიზაციამდელი... გვ. 180.

⁴⁴ ზ. გუმაშვილი. ნახების ცივილიზაციამდელი... გვ. 177.

и, пожалуй, самым необычным в этих отношениях политическим течением явились усилия России, направленные на создание из двух небольших и малоприметных княжеств - Картли-Кахетинского и Имеретинского - новой на Кавказе страны с русской номинацией «Грузия». უფრო მეტი, რუსეთს თავის თავზე აუღია ვალდებულება ივერიის „აღდგენისა“ მის „ძველ საზღვრებში“. თუმცა თამარის დროინდელ საქართველოს სახელმწიფოს არ ჰქონია რამდენადმე მოხაზული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვარი⁴⁵; ბ) თურმე ცარიზმის მოხელე ციციანოვი ქართველი თავადი ყოფილა და მის მიზანსაც „დიდი საქართველოს“ აღდგენა წარმოადგენდა⁴⁶; გ) ქართულ-რუსული ურთიერთობის რთულ სფეროში სამთავროების შეერთებისთანავე ჩათრეული ყოფილა ოსეთის სამხრეთი რაიონებიც; დ) თურმე სამხრეთოსური საზოგადოებები, რომლებიც „გურჯისტანის სახანოებს“ ესაზღვრებოდა, ასევე პეროდულად ხვდებოდნენ ქართველი ფეოდალების გავლენაში, თუმცა მის გავრცელებას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ; ე) თურმე სამხრეთ ოსეთს თავისი დამოუკიდებლობა 1864 წლამდე შეუნარჩუნებია, საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებამდე; ვ) თურმე რეფორმის პერიოდში სამხრეთ ოსეთს ქართველი ზედაფენისაგან განუცდია ტოტალური ექსპანსია, რაც ოსურ საზოგადოებებში იწვევდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას; ზ) თურმე ამის გამო, რუსეთის ხელისუფლება ქართველი თავადების საამებ-

⁴⁵ М. Блиев. Южная Осетия в коллизиях российско-грузинских отношений. - М. 2006, с. 3-4.

⁴⁶ М. Блиев. Южная Осетия в коллизиях... 2006, с. 5.

ლად სამხრეთელ ოსებს ჩრდილოეთ კავკასიაში ასახლებდა, კერძოდ სტავროპოლის გუბერნიის რაიონებში; თ) თურმე XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ ოსეთმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა და მიუმართავს თხოვნით საბჭოთა რუსეთისათვის მის შემადგენლობაში მიღების შესახებ; ი) თურმე 1918 წელს საქართველომ შექმნა რა დასავლური ტიპის რეგულარული არმია, სამხრეთ ოსეთი აღმოჩნდა მის შემადგელობაში; კ) აღნიშნულ დროს თურმე ქართველებს ისეთივე გენოციდი მოუწყვიათ ოსებისათვის, როგორც თურქებს 1915 წელს სომხებისათვის; ლ) თურმე, იმის გამო, რომ ქართველ ბოლშევიკებს საბჭოთა რუსეთში საკვანძო პოზიციები ეკავათ, საქართველოს მიუერთეს აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთი ოსეთი, რომლებსაც ჯერ კიდევ XIX შექმნილი პოლიტიკური ძალების შოვინისტური ამბიციები დაუკმაყოფილებიათ⁴⁷. კიდევ დავამატებ, იბერიის „სახელმწიფოს“ შემქმნელი ფარნავაზი თურმე წარმოშობით სკვითი ყოფილა და ქართველებს XVI საუკუნიდან ფეოდალიზმის „სპარსული მოდელი“ შეუქმნიათ, რომლისთვისაც დამახასიათებელი ყოფილა აღმოსავლური დესპოტიზმი. ფეოდალური იდეოლოგიის პირველი ბარბაროსული ფორმის გამოვლინება გიორგი სააკაძე ყოფილა, რომელიც დაქორწინებული ყოფილა ოსზე, ნუგზარ ერისთავის ქალიშვილზე.

მ. ბლიევის ეთნოცენტრისტული და ცრუისტორიული ნააზრევის გადმოცემა აღარ ღირს. მეცნიერმა შეიძლება ძალიან ბევრი მასალა მოიყვანოს ოსი ავტორის სი-

⁴⁷ М. Блиев. Южная Осетия в коллизиях... 2006, с. 5-12.

ყალბეთა გასაქარწყლებლად, თუმცა საამისოდ ცალკე წიგნის დაწერა იქნება საჭირო. კიდევ ერთი ნიუანსი, მ. ბლიევი იგონებს და ქმნის საარქივო მასალებს. ამიტომაც, რომ მოხმობილი ე. წ. საარქივო მასალების ნომრებს არსად არ უთითებს.

P. S. წიგნი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც 2019 წლის 9 ივნისს საიფორმაციო საშუალებებმა გამოაქვეყნეს რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის „ნააზრევი“ ისტორიის სფეროში. თურმე: ა) აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩაყლაპა. გერმანელთა დახმარებით 1918 წელს ქართველებს მოუხდენიათ აფხაზეთის ოკუპაცია; ბ) თურმე 1774 წელს სამხრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი ერთად შეუერთდა რუსეთს; გ) თურმე დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფო 1810 წელს შეუერთდა რუსეთს; დ) თურმე ქართველებს გენოციდი მოუწყვიათ აფხაზეთისა და ოსებისათვის, რაც შედეგი იყო უშუალოდ იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას ქმედებისა და ე) რაც მთავარია, თავის იმპერიალისტურ ქმედებებს რუსეთის პრეზიდენტი ყალბი ისტორიით ამართლებს და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს იცოდნენ ეს „ჭეშმარიტი ისტორია“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 2004 წელს რუსეთის დუმამ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ 1774 წელს სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად შეუერთდა რუსეთს. ახლა პუტინი იგივეს იმეორებს (სხვათა შორის, ზემოხსენებული დადგენილება დუმამ, რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტის მითითებით მიიღო). რუსეთს უნდოდა და უნდა თავისი აგრესიული ზრახვები ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციით დაასაფუძვ-

ლოს. თავის დროზე ამ საკითხზე ვისაუბრე რადიო „იმედის“ ეთერში. შემდეგ ის გამოქვეყნდა კიდევაც რუსულ ენაზე⁴⁸. აშკარაა, რომ ოსები (და აფხაზებიც) ისტორიის გაყალბებისას რუსეთის ხელისუფლების ქმედებებით იყვნენ ფრთებშესხმული, უფრო მეტი, ნაყალბევი ისტორიის გარკვეული ნაწილი რუსეთის უშიშროების სამსახურში იწერებოდა.

სხვათა შორის, რუსეთის იმპერიის დღევანდელი ხელმძღვანელისაგან ეს გამოხდომა პირველი შემთხვევა არ იყო. ეს კარგად შენიშნა მალხაზ პატარაიამ: „ისინი ვინც ამტკიცებენ, რომ ეს ტერიტორიები შემდგომშიც უნდა იყოს საქართველოს კუთვნილება, იცავენ სტალინის გადაწყვეტილებას“, - ეს არის პუტინის ცნობილი ციტატა 2014 წლის 28 აგვისტოს CNN-ისთვის მიცემული ინტერვიუდან. ასეთივე განცხადებები მან გააკეთა 2013 წლის 19 დეკემბერს „ლოს ანჯელეს ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუსა და 2014 წლის 18 დეკემბრის ონლაინ პრესკონფერენციაზე მოსკოვში⁴⁹.

რადიო „იმედში“ ჩვენი გამოსვლის ტექსტის რუსულ და ინგლისურ ვარიანტებს გთავაზობთ დანართის სახით.

⁴⁸ Р. Топчишвили. Осетины в Грузии: миф и реальность, Тб., 2009, с. 34-43.

⁴⁹ მ. პატარაია. ნამდვილი ისტორიის დაწერა ეროვნული უსაფრთხოების საქმეა, 2018. სოციალური ქსელი.

ნაკვეთი III

კავკასიაში ისტორიის გაყალბებით დიდი ხანია ჩვენი სომეხი მეზობლები გამოირჩევიან. ეს ნაშრომიც სწორედ ამ ფაქტის აღნიშვნით დავიწყეთ, რასაც *ილია ჭავჭავაძემ* საკადრისი პასუხი გასცა. სომეხი ავტორების მიერ ისტორიის გაყალბება ქართველთა ისტორიული განსახლების არეალების მიმართ პრეტენზიითაა განპირობებული. მათ მთელი სამხრეთი საქართველო სომხეთის ისტორიულ მიწა-წყლად აქვთ წარმოდგენილი. ისტორიულ ტაოსა და მის მკვიდრებზე აცხადებენ, რომ აქ მხოლოდ სომეხი ქალკედონისტები ცხოვრობდნენ. არადა აქაა არაერთი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლებიც ძირითადად საქართველოს გაერთიანებამდეა შექმნილი (*ომკი, ხახული, იმხანი, პარხალი, ოთხთა ეკლესია...*). რაც შეეხება შავშეთსა და კლარჯეთს, თურმე *მურვან-ყრუს* შემოსევამდე, ის სომეხთა განსახლების არეალი იყო და მხოლოდ მას შემდეგ დასახლდნენ აქ ქართველები. ეს კი პირველად *ნიკო მარმა* დაწერა, რომელიც რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურების დაკვეთას ასრულებდა. სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც ტაოსა და კლარჯეთს საქართველოს მოსაზღვრე ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის მხარეებად მიიჩნევენ: «В заключение добавлю, что Н. Я. Марр, отмечая широкое расселение в начале IX в. армян-халкидонитов в пограничных с Грузией северо-западных областях Армении _ Кларджике и Тайке, писал, что благодаря «процессу денационализации армян-халкидонитов Грузия обогатилась двумя областями, в высшей степени производительными, часто прямо-таки блестящими, в культурной жизни гру-

зин. Речь идет о Тао и Кларджетии» [Марр, 1905а, с. 17]»⁵⁰. ნ. მარის სომხურ ეთნოცენტრისტულ ქმედებებზე წერდა ვ. ველიჩკოც, რომელიც აღნიშნავდა, რომ მარი შემთხვევას არ უშვებდა ქართველებისათვის რაიმე არ წაეგლიჯა სომეხთა სასარგებლოდ: **«Ученик Патканова, г-н Марр не упускает случая отхватить что-нибудь от грузин в пользу армян и все обещает доказать, что замечательная древняя грузинская поэма «Барсова кожа» есть произведение позаимствованное»**⁵¹. შავშეთში, კლარჯეთში და ტაოში თავდაპირველად სომხური ეთნიკური ერთობის მკვიდრობის დამამტკიცებელია თურმე ორი-სამი სომხური ტოპონიმი (*შატბერდი*, *მიძნაძორი*). ნ. მარსა და ზოგიერთ მის მიმდევარ ქართველ კოლეგას დაავიწყდა, რომ ტოპონიმები მხოლოდ სუბსტრატული არაა. ტოპონიმები არის სუპერსტრატული და ადსტრატულიც, როდესაც სხვა ქვეყნიდან ჯგუფურად გადმოსახლებულ მოსახლეობას თან სოფლის სახელიც მოჰქონდა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ტრადიციასაც, რომელიც სომხებში არსებობდა - გადასახლების შემდეგ ახალ დასახლებულ პუნქტს ადრინდელი სოფლის სახელს არქმევდნენ: «Окончательное формирование нового села находило свое выражение в названии, которое часто было производ-

⁵⁰ А. Тер-Саркисянц. История и Культура армянского народа с древнейших времен до начала XIX в., М., 2008, с. 477-478.

⁵¹ В. Л. Величко. Кавказ. Русское дело и междуплеменные вопросы, М., 2003, с. 60. ვ. ველიჩკოს სხვა არაერთი კონკრეტული მაგალითიც მოყავს. მაგალითად, ის, რომ სომხები პრეტენზიას აცხადებენ ათაბაგ ჯაყელების სამფლობელო საათაბაგოზე. აგრეთვე საუბრობს ქართული ეკლესიების მითვისების ფაქტებზე დუშეთსა და მის მიდამოებში, რომლებზედაც ქართულ წარწერებს წარხოცავდნენ (გვ. 59).

ным от названия материского села (Marutyán, 2001, P. 73). Армяне обычно с трудом расстаются с именем покинутого поселения, и наименования новых населенных пунктов нередко повторяли названия дедовских поселений»⁵².

ამ ბოლო დროს განსაკუთრებული აქცენტი ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზე აქვთ გადატანილი. ესეც გარკვეული პრაქტიკული მოსაზრებებითაა გაკეთებული - თურქეთი ძლიერი სახელმწიფოა, საქართველო კი სუსტი. ამიტომ მას ტერიტორიებს ვერ წაართმევენ, ქართველებთან კი რუსების დახმარებით ეს გამოუვათ.

ამ ბოლო დროს სოციალურ ქსელში ასეთი ინფორმაცია გავრცელდა: „აშოტ მელქონიანს, რომელიც სომხეთის ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორია, საქართველოში შემოსვლის ნება არ მისცეს. სასაზღვრო გამშვებ პუნქტ „კარწახზე“ უარის მიზეზად განუმარტეს, რომ მან საქართველოში შემოსვლის მიზეზი ვერ დაასაბუთა. აშოტ მელქონიანმა უარის შემდეგ კომენტარი საინფორმაციო სააგენტო jnews.ge-სთან გააკეთა. „არანაირი პოლიტიკური განცხადება არ გამიკეთებია. პირიქით, მე ვამტკიცებდი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის, ძმური ურთიერთობის გარეშე არსებობა შეუძლებელია, - აცხადებს მელქონიანი. შსს-ში ამბობენ, რომ აშოტ მელქონიანმა მხოლოდ ტრანზიტული მგზავრის სტატუსით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი. „სომხეთის მოქალაქეს, რომელიც თურქეთიდან საქართველოში შემოდი-

⁵² Армяне. отв. ред. Л. М. Варданын, Г. Г. Саркисян, А. Е. Тер-Саркисянц, М.: 2012, с. 205.

ოდა კარწახის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით, ქვეყანაში დარჩენაზე უარი ეთქვა საქართველოს კანონის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ მე-11 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. თუმცა აღნიშნულმა მოქალაქემ ტრანზიტული მგზავრის სტატუსით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და იმავე დღეს გაემგზავრა ახალქალაქში, სადაც დაიბადა და გაიზარდა. განათლება ერევანში მიიღო და იქვე განაგრძო სამეცნიერო საქმიანობა. მისი ერთ-ერთი დისერტაცია ეხება ჯავახეთის თემას, სადაც ის ამტკიცებს, რომ რეგიონი სომხეთის ნაწილი იყო და საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ XI-XII საუკუნეებში გადავიდა. „წიგნში ვამტკიცებ, რომ ეს ტერიტორია ძველ დროში ისტორიული სომხეთის ნაწილი იყო. მხოლოდ ცოტა ხნით - XI-XII საუკუნეში იგი გახდა საქართველოს სამეფოს ნაწილი. ქართული ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ სომხები ჯავახეთში გამოჩნდნენ მხოლოდ 1830 წელს დასავლეთ სომხეთიდან გადმოსახლების შემდეგ. ქართულ მხარეს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ ჯავახეთს სამშობლოდ ვთვლით, მაგრამ ტერიტორიული პრეტენზიები არ გვაქვს. კარგად გვესმის რა შეიძლება გამოიწვიოს ამან“, - განაცხადა aniv.ru-თან ერთ-ერთ ინტერვიუში. პრაიმტაიმი“. ჯავახეთზე პრეტენზიის მქონეთათვის აღარაა საუბარი მის სამხრეთით მდებარე ჩრდილის მხარესა და კოლა-არტანუხე.

ვინც საქართველოს ისტორიაში ოდნავ ჩახედულია და ქართულ წყაროები და საბუთები წაუკუთხავს, მისთვის ნათელია აშოტ მელქონიანის ტყუილები. საბედნიეროდ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჯავახეთი სამცხესთან ერთად, კარგადაა შესწავლილი. საამისოდ შეიძლება

შოთა ლომსაძის⁵³ და დევი ბერძენიშვილის გამოკვლევები დავასახელოთ⁵⁴. საქართველოს საზღვრები კი ისტორიულად კარგადაა შესწავლილი ივანე ჯავახიშვილის მიერ და მრავალრიცხოვან წყაროებზე დაყრდნობით ავტორს კარგადა აქვს ნაჩვენები, რომ ეს მხარე მუდმივად საქართველოს შემადგენლობაში იყო და რომ ის მუდმივად ქართველთა განსახლების არეალი იყო. ხოლო 1595 წელს თურქების მიერ აღწერილ საქართველოს სამხრეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში და ამ შემთხვევაში კონკრეტულად ჯავახეთში მხოლოდ ეთნიკური ქართველები ცხოვროვებდნენ. ოჯახების უფროსები ქართული და მართლმადიდებლური სახელებით არიან დაფიქსირებული. აქ მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო მუსლიმი და სომხური მოსახლეობა. ქართულ მოსახლეობასთან ერთად ორივე დასახელებული ეთნიკური ერთეულის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ *ხერთვისის ციხის რაბათში*, *სოფელ ორჯუაში*, *კუმურდოში*, *პატარა მამზურაში*, *თმოგვის ციხის რაბათში*. ეს იყო და ეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარმა“ მეცნიერებს საშუალება მისცა დაეანგარიშებინათ 1595 წლისათვის საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში რამდენი იყო ქართველი და არაქართული მოსახლეობის პროცენტული თანაფარდობა. ხერთვისის რაიონში ქართველები 99,28%-ს შეადგენდნენ, ტყიანი ჯავახეთის რაიონში - 99,2%-ს, ბუზმარეთის რაიონში - 99,5%-ს, აკუმეკი-

⁵³ შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

⁵⁴ დ. ბერძენიშვილი. ახალქალაქი ჯავახეთისა. - დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები, თბ., 2005, გვ. 253-290.

რის რაიონში - 92,6%-ს, თმოგვის რაიონში - 82,98%-ს, ნიალისყურის რაიონში - 96,51%-ს⁵⁵.

ჯავახელთა ქართველობას ამ მხარის „მიწის ენა“ (ტოპონიმებიც) მოწმობს. აი, სოფლის სახელწოდებები 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრიდან“: (-სი სუფიქსიანები) *ხერთვისი, ბარალისი, ოძისი, ლეპისი, დულალისი*; (-ეთ სუფიქსიანები) *აზავრეთი, მურჯახეთი, გავეთი, ბურნაშეთი, მოლითი, ფანაკეთი, ბუზმარეთი, ბუზავეთი, შალოშეთი, იფნეთი, როკეთი, ვარნეთი, თათალეთი, სავანეთი, სარკეთი, კარნეთი, ჩოლეთი*; (-ში სუფიქსიანი) *ხუმურუში, დადეში, ტოლოში*; (ცხ კომპლესიანი) *კორცხალი, ცხენკელა, ტურცხი, ლომატურცხი*; (საეკლესიო ტოპონიმები) *შვიდეკლესია, ზაქარწმინდა, გიორგიწმინდა, ხიდჯვარი*; (ხევით დაბოლოვებული) *ქადისხევი, კორისხევი, თეთრისხევი, ვანისხევი*; (უბანით დამთავრებული) *ელიასუბანი, დადუბანი, წინუბანი, გელათუბანი, ალაისუბანი*; (-ან სუფიქსიანი) *მურჯიკანი, ფარვანა, ქურდოვანი, ფორზანო*; (-ურ/-ულ სუფიქსიანი) *ჭერული, აბული, ხანჯაური*; (-ელ სუფიქსიანი) *ჩუნჩხელი, ცხენკელა*; (სა- პრეფიქსიანი) *სათხე*. ამას ემატება არაერთი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმი: *ახალქალაქი, ვაშლობი, თოკი, დევა, ტაბაწყური, საღამო, ჭაჭკარი, შუადღე, ნაქალაქევი, ორმოცი, ღრტილა, სამწუბი, ნიჯგორი, ქვემო ორჯა, ვარდციხე, თეთრობი, დუმეილა, შუატყე, ლეკნარი, ჯანჯლა...* აგრეთვე ტოპონიმები, რომლებიც საქართველოს სხვა მხა-

⁵⁵ თ. იველაშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური დახასიათება გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით. - ანალები, 2004, #1, გვ. 48-49.

რეებში მეორდება: *ხანდო, ზარზმა, შაორი, ოკამი, გომი, აგარა, თორია...*

დევი ბერძენიშვილმა ნარკვევი „ახალქალაქი ჯავახეთისა“ ისტორიის გამყალბებლების საპასუხოდ შექმნა; ესაა 1992 წელს სერიით „სომხური ისტორიული დასახლებანი“ გამოცემული ბუკლეტი „ახალქალაქი“, რომლის ავტორი არაფერს წერს იმის შესახებ, რომ ჯავახეთი საქართველოს მხარეა, არც იმას აუწყებს მკითხველს, რომ ის დროებით ჰქონდათ დაპყრობილი სომხებს ძვ. წ. II საუკუნეში. დ. ბერძენიშვილი აურაცხელი წყაროებით ასაბუთებს, რომ წუნდის საერისთავოში გაერთიანებული ჯავახეთი უძველესი დროიდან ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო და რომ პირველი ქართული ეკლესიები აქ IV-VI საუკუნეებში აშენდა, ვახტანგ გორგასალმა კი აქ საეპისკოპოსო კათედრა დაარსა. „არაბული და სომხური წყაროები (*ბალაზორი, იოანე მამიკონიანი*) ჯავახეთს ქართლის იმ მხარეთა შორის ასახელებენ, რომლებიც VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს“⁵⁶. ქართველმა ავტორმა ბუკლეტის სომეხი ავტორი იმაშიც ამხილა, რომ „მათეოს ურაჰაეცის ცნობიდან უგულვებელყოფს სიტყვებს საქართველოს (ქართველთა ქვეყანას) და ჯავახეთს რომ ეხება, სომხურ ტექსტში მხოლოდ ახალქალაქს და იქ მომხდარ ამბებს იხსენიებს“⁵⁷. „ნიშანდობლივია, რომ საერთოდ ჯავახეთის ეპიგრაფიკაში სომხური წარწერები XIV საუკუნემდე არ ჩანს, ხოლო ქართული წარწერების სიმრავლით, ჩვენს ქვეყანაში ეს ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა“. XVIII პირველ ნახევარ-

⁵⁶ დ. ბერძენიშვილი. ახალქალაქი ჯავახეთისა. 2005, გვ. 256.

⁵⁷ დ. ბერძენიშვილი. ახალქალაქი ჯავახეთისა. 2005, გვ. 261.

რში მოღვაწე *ვახუშტი ბაგრატიონი*, საქართველოს აღწერისას, სადაც კი არაქართული (სომხური, ებრაული...) მოსახლეობა იყო, ყოველთვის ამას ხაზგასმით აღნიშნავს. ახალქალაქში მათ მკვიდრობაზე საერთოდ არ მიუთითებს, ბუკლეტის ავტორი კი აცხადებს, რომ ახალქალაქში ყოველთვის სომხური მოსახლეობა ჭარბობდა. დევი ბერძენიშვილს ასეთი კურიოზული ფაქტიც აქვს დასახელებული: „სომხურ ტოპონიმებადაა ჩათვლილი *თბილისი, ბოლნისი, კრწანისი, მანგლისი, დმანისი, თუხარისი, ოლთისი...* დასაბუთების გარეშე სასურველი მიჩნეულია უკვე არსებულად, მიღებულად. უგულებელყოფილია ფაქტი, რომ ტოპონიმების შექმნა ნათესაობითი ბრუნვის ფორმის მეშვეობით, საერთოქართული, პრაქართულის დროინდელი მოდელია, რომ ასეთი სახელებით სავსეა სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. მაშასადამე, ამ მოვლენის უცხოენოვანი წარმომავლობა გამორიცხებულია“⁵⁸. კიდევ ერთ რამეს მიაქცია განსვენებულმა მეცნიერმა ყურადღება: „XIX საუკუნიდან ქართული წარწერების წაშლა-მოსპობა ჯავახეთში ხშირი მოვლენა გახდა“. „ყველაფრიდან ჩანს, რომ XIX საუკუნეში შემოსახლებული ერზრუმელი სომხების შთამომავალნი არა მარტო ეპატრონებიან ჯავახეთის მიწას, არამედ აქედან ყოველივე ქართულის სიძველის ამოძირკვასაც ცდილობენ“⁵⁹.

დავუბრუნდეთ ივანე ჯავახიშვილს. ის ჯავახეთს სასაზღვრო ზოლად საერთოდ არ განიხილავს. სასაზღვრო მხარე *პლაკაციო/აზოცი/ჩრდილი* იყო. ცნობილია,

⁵⁸ დ. ბერძენიშვილი. ახალქალაქი ჯავახეთისა. 2005, გვ. 274.

⁵⁹ დ. ბერძენიშვილი. ახალქალაქი ჯავახეთისა. 2005, გვ. 281, 283.

რომ სომხები ჯავახეთში 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ გადმოსახლდნენ. აქ ძირითადად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ⁶⁰. რუსეთის ჯავახეთში შესვლას აქედან მკვიდრი მაჰმადიანი ქართველების აყრა მოჰყვა. „ამავე დროს ოსმალეთიდან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებიდან, იქაური სომხობა გამოვრბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია ... რომელთა დიდი ნაწილი დასახლებულ იქნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში“⁶¹. ასე აღმოჩნდნენ ჯავახეთში ეთნიკური სომხები უმრავლესობაში. მას შემდეგ სომხებმა ჯავახეთი სომხეთის მიწა-წყლად გამოაცხადეს. 1913 წელს ეს მათ რუსეთის ხელისუფლებას მოსთხოვეს. „ბჭოების შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთხმრივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერთება“⁶². კომისიამ თავისი გადაწყვეტილება იმით დაადასტურა, რომ ჯავახეთს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი ისტორიულად და იმ დროსაც მხოლოდ და მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან ჰქონდა.

სომეხთა წარმომადგენლები არ ჩერდებოდნენ. ისევ დიდ ივანე ჯავახიშვილს უნდა დავესესხოთ: „სტამბოლში და შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისე-

⁶⁰ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 39. მითითებული აქვს: Иваненко. История гражданского управ. на Кавказе 265, 260.

⁶¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები... 1919, გვ. 39-40.

⁶² ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები... 1919, გვ. 41.

ლებისა და მის მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ გაჩნდა, დაშნაკელ სომხეთა მთავრობასა და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი კვლავ მოეცათ. დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს, 1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის, ვითომც ისტორიული, ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვაზე მდებარე ადგილთაგან ხმელთა შუა ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან ქ. არდაველის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალ ხაზით ამ სრულიად სომხეთის სამზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. **ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც-კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული, და საქართველოს პატარა ვიწრო-კი ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული**⁶³. აქ მხოლოდ ერთ კომენტარს გავაკეთებთ: ისტორიის ყველანაირი გაყალბება, სომხური ისტორიოგრაფიის ეთნოცენტრიზმი მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, პოლიტიკურ მიზანს, რომელიც მეზობელი ხალხების ტერიტორიების მითვისების ხარჯზე დიდი სომხეთის შექმნას გულისხმობს.

ქართული საისტორიო ტრადიციით, ჯავახეთი მცხეთოსის ძე ჯავახოსის საკუთრება იყო, ხოლო მცხეთოსი კი ქართლოსის შვილი გახლდათ: **„ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველი უფლოს, და შე-**

⁶³ ივ. ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.). 1925 წელი. - წიგნში „ს. ვარდოსანიძე, ვ. გურული, კ. ხარაძე, ლ. ჯიქია. საქართველოს საზღვრები, 1917-1938. ნარკვევი და დოკუმენტური მასალა, თბ., 2014, გვ. 35.

მდგომსა ოძრᲗოს, და მესამესა ჯავახოს“. „ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავართგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა. ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტნისა, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვია ჰური“⁶⁴. ფარნავაზის დროს კი მხარეს მეფის მიერ დანიშნული ერისთავი განაგებდა. შემდეგ პერიოდებშიც ჯავახეთს მეფის მიერ დანიშნული ერისთავები განაგებდნენ⁶⁵. *კუმურდოელი ეპისკოპოსი იოსები იხსენიება VI საუკუნეში*. „შემდგომ საუკუნეებშიც კუმურდოს ეპისკოპოსი არაერთხელ ჩანს ეპიგრაფიკულ, თუ ნარატიულ წყაროებში. საქართველოს ერთიანობის ხანაში დარბაზობის დროს, ქართველ მამამთავართა შორის კუმურდოელ ეპისკოპოსს VII ადგილი ეჭირა“⁶⁶. ჯავახეთის ქართულობის შესახებ ქვებიც ლადადებენ - აქ აუარებელი ძეგლია, რომლებიც ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურას განეკუთვნებიან. ამ ეკლესიებზეც არა ერთი და ორი ქართული წარწერაცაა ამოკვეთილი⁶⁷. ა. მელქონიანის განცხადებით, მხოლოდ ცოტა ხნით - XI-XII საუკუნეში ჯავახეთი გახდა საქართველოს სამეფოს ნაწილი. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ აქ XI-XII საუ-

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტომი I, თბ., 1955, გვ. 9, 10.

⁶⁵ ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 2000, გვ. 9.

⁶⁶ ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 2000, გვ. 100.

⁶⁷ ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959. იხ. აგრეთვე დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები, თბ., 2005, გვ. 5-121, რომელშიც შესწავლილია ეკლესია-ტაძრებზე, სტელეებზე და ქვაჯვარებზე განთავსებული ჯავახეთის, თრიალეთისა და ქვემო ქართლის ეპიგრაფიკა.

კუნეებზე ადრინდელი და გვიანდელი (XVI საუკუნის) ქართული ეპიგრაფიკაა დიდი რაოდენობით შემორჩენილი? X-XI საუკუნეებით თარიღდება სამსარის ეკლესიის წარწერა. კუმურდოს გუმბათოვანი კათედრალი კი X საუკუნის შუა ხანებშია აგებული. ხშირად ამ წარწერებში ქართველ მაშენებელთა ანთროპონიმებიცაა მოხსენიებული: *ლიპარიტი, ჭორვანისძე, საოლისძე, ნოშელი, გიორგი, თამარ, ლაშა, იოვანე, სვიმონ, ფოცხვერ, ნათანიელ, გაბრიელ, მიქელ, საკოცარი, მურვან კითხაის ძე თედორე, რატი...* თმოგვის ციხის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული არიან: *ბაგრატი და მარიამ დედოფალი, ფარსმან ერისთავ-ერისთავის იოანეს ძე ჭიმჭიმელი, გიორგი აფხაზი*. ვაჰანის ქვაბთა XV-XVI საუკუნეების წარწერებში „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებიცაა შესრულებული.

უფრო ისტორიის სიღრმეში რომ წავიდეთ, წმიდანინო ჯავახეთში სომხეთიდან შემოვიდა. სომხეთიდან მოსულმა ძლივს იცოდა საყველპურო სომხური. ჯავახეთში მოსულს მოუხდა ადამიანის ძებნა, რომელმაც ეს ენა იცოდა და ისიც სეზონურ მწყემსთა შორის აღმოაჩინა. IV საუკუნის დასაწყისში ჯავახეთი ეთნიკური სომხებით რომ ყოფილიყო დასახლებული, წმიდა ნინოს სომხური ენის მცოდნის ძებნა დასჭირდებოდა? – რა თქმა უნდა, არა.

ა. მელქონიანის წიგნი ქართველ მეცნიერთა მიერ უყურადღებოდ არ ყოფილა დატოვებული. საამისოდ *გვა კვაჭანტირაძის* რეცენზიის დასახელებაც საკმარისია. სომეხი ავტორი *გვა კვაჭანტირაძემ* წყაროების დამახინჯებაში ამხილა:

1. „ავტორს არ მოაქვს ისეთი მნიშვნელოვანი წყარო როგორცაა სტრაბონის მოთხრობა ძვ. წ. საუკუნის დასა-

წყისში სომეხთა მიერ ქართლის სამეფოსაგან სამხრეთ-დასავლეთ პროვინციების, მათ შორის გოგარენეს (გუგარქის) ანექსირების შესახებ. როგორც ჩანს, ეს ცნობა ხელს უშლის ნაშრომის უალტერნატივო ვერსიას გუგარქის სომეხთა მიერ მუდმივი ფლობის შესახებ. სომეხთა მიერ ქართველებისათვის წართმეული ტერიტორია ანუ ოდე-სლაც ის ქართლის შემადგენელი ნაწილი იყო⁶⁸;

2. „ა. მელქონიანი არ იხილავს აგრეთვე ქართულ და სომხურ წყაროებში (ლეონტი მროველი, მოვსეს ხორენაცი) დეტალურად აღწერილ სომეხ-ქართველთა ომს. ეს ომი ძვ. წ. I საუკუნეში პერიოდულად მიმდინარეობდა ჯავახეთისათვის“⁶⁹;

3. ა. მელქონიანი ტენდენციურად განიხილავს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს, რომელიც წმიდა ნინოს ჯავახეთში შემოსვლას ეხება: „აღვნიშნავ მხოლოდ ერთ უზუსტობას, რომელსაც ა. მელქონიანი უშვებს. ის წერს: „ნინო სომხეთიდან გადმოვიდა ქართლში და იმყოფებოდა ჯავახეთში, ფარვანის ტბასთან. აქ მან სომხების დახმარებით გაიგო მცხეთის გზა“ (მელქონიანი 1999: 9). მწყემსები, რომლებსაც ნინო ესაუბრა ცხადია არ არიან ეთნიკური სომხები და არც მრავლობით რიცხვში მოიხსენიებიან წყაროში. ლეონტი მროველი წერს მხოლოდ ერთ მათგანზე, რომელიც სომხურის მცოდნე აღმოჩნდა ქართლელ მწყემსთა შორის: „და პოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი და ჰკითხა მას...“ ა. მელქონიანის

⁶⁸ ე. კვაჭანტირაძე. ჯავახეთი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში. - საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, თბ., 2008, გვ. 205.

⁶⁹ ე. კვაჭანტირაძე. ჯავახეთი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში. 2008, გვ. 205.

აზრით, „ეს ნაწყვეტი ნათელს ჰფენს ორ საკითხს: ერთი, რომ ნინო ვიდრე ქართლში მივიდოდა იმყოფებოდა სომხეთში, გაეცნო სომხებს და მხოლოდ აქედან მოვიდა ქართლში, და მეორე, ჯავახეთის სალაპარაკო ენა სომხური იყო, იქ სომხური მოსახლეობა იყო, სხვაგვარად მცხეთიდან მოსული მწყემსებისათვის აუცილებელი არ იქნებოდა სომხური ენის ცოდნა“ (იქვე, 10)⁷⁰;

4. ეკა კვაჭანტირაძემ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ტენდენციური სომეხი ავტორი ჯავახეთში ქართველთა მისვლის დროდ XI-XII საუკუნეებს ასახელებს: „ავტორი წერს: „სელჩუკებზე გამარჯვების შემდეგ ზაქარია და ივანე ზაქარიანებმა საქართველოს დაუმორჩილეს ტერიტორია ჯავახეთიდან სპერამდე. ამ პერიოდიდან ქართველთა ახალმა ეთნიკურმა ჯგუფმა შეაღწია ჯავახეთში. ქართული მართლმადიდებლური აღმსარებლობის გავრცელება ქართველი ბაგრატიონების გამლიერების პერიოდში (XII-XIII საუკუნის დასაწყისი) შესამჩნევია არა მარტო ახალქალაქში, არამედ ჩრდილო სომხეთის სხვა გავარებშიც. ამასთან ეს გავარები ლორე, **სამცხე**, ტავუში, სევანის გარშემომყოფი გავარები, ისევე როგორც ჯავახეთში კვლავ რჩებოდა სომხური ეთნოსით დასახლებულად“⁷¹;

5. ზემოთ ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრით“ ჯავახეთის მოსახლეობა ქართული იყო, რაც ემყარებოდა პიროვნული სახელების ანალიზს. ეკა კვაჭანტირაძე რეცენზიაში ამ საკი-

⁷⁰ ე. კვაჭანტირაძე. ჯავახეთი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში. 2008, გვ. 206.

⁷¹ ე. კვაჭანტირაძე. ჯავახეთი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში. 2008, გვ. 206.

თხსაც შეეხო და მოაქვს ციტატა - ა. მელქონიანის დასკვნა, რომ „ახალქალაქში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი ქრისტიანები იყვნენ და ერქვათ ქართლსა და სომხეთში გავრცელებული სახელები. შემდეგ ავტორი ჩამოთვლის ამ საკუთარ სახელებს და ასკვნის, რომ ისინი ძირითადად სომხურია“⁷².

ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ ესაა ისტორიული ფაქტის გაყალბების კლასიკური მაგალითი, არასასურველის რეალობად წარმოჩენა. ჯავახეთში, ქართველებთან ერთად, სომხური და მაჰმადიანური მოსახლეობა, მხოლოდ ხერთვისის რაბათში, სოფლებში ორჯუაში, კორხში, დიდ ხორანიაში, თმოგვის ციხის რაბათში იყო. ჯავახეთის მოსახლეობის თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა გამჭვირვალე ქართულ და ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სახელებს ატარებდა⁷³. ეს პიროვნული სახელები ამოკრებილი და დაბეჭდილი გვაქვს და მათ ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგებით⁷⁴.

ეკა კვაჭანტირაძის დასკვნა ასეთია: „სომეხი კოლეგა თავის ისტორიოგრაფიულ მიებას პოლიტიკურ მიზნებს უსახავს და მისი ტენდენციურობაც, მის მიერ „არასასურველი“ ფაქტების იგნორირება, თუ წყაროთა არაადეკვატური ინტერპრეტაცია მეტწილად ამის შედეგია. ... საწ-

⁷² ე. კვაჭანტირაძე. ჯავახეთი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში. 2008, გვ. 206-207.

⁷³ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 171-258.

⁷⁴რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 344

ყენია, რომ [ჯავახეთის ისტორიას] იკვლევენ წინასწარ აკვიატებული არამეცნიერული მიზნით⁷⁵.

ჯავახეთი რომ ყოველთვის ქართველთა განსახლების არეალი იყო, ამას ერთი ეთნოგრაფიული ნიუანსიც ადასტურებს - როგორც ჯავახეთისათვის, ისე სამხრეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისათვის დამახასიათებელი იყო *დარანები* ანუ მიწისქვეშა ნაგებობები (მაგალითად, დარანი ჰქონიათ იმერხევის სოფელ ივეთში). სომხეთისათვის დარანები უცნობი იყო. ჯავახეთისა და სომხეთის ზეგანი კი ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით თითქმის ერთნაირია. მტრის შემოსვლის დროს სამხრეთ საქართველოს მკვიდრნი თავს დარანებს აფარებდნენ (დარანში მთელი სოფელი ეტეოდა), ქართველი არ გარბოდა სხვაგან, ვერ ელეოდა მამა-პაპათა საცხოვრისს, ის ოდითგანვე მიწათმოქმედი იყო და მიწაზე იყო მიმაგრებული. სომეხი კი, რომელსაც ანალოგიური მიწისქვეა ნაგებობა არ გააჩნდა, სხვა ქვეყანაში გარბოდა. ჯავახეთი რომ თავიდანვე სომეხთა განსახლების არეალი ყოფილიყო, აქ დარანები არ იქნებოდა აგებული, ან ჯავახეთის ანალოგიურად სომხეთის სხვადასხვა პროვინციაში დარანები აუცილებლად ექნებოდათ.

ვის მიწაზე/ნასახლარებზე დასახლდნენ ჯავახეთში სომეხები? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – ქართველი მაჰმადიანების, რომლებიც „გიუარების“ შემოსვლის გამო, თურქეთში გადასახლდნენ. თუმცა ამ მხარისათვის უფრო რთული დემოგრაფიული პროცესები იყო დამახასია-

⁷⁵ე. კვაჭანტირაძე. ჯავახეთი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში. 2008, გვ. 208.

თებელი. მთელი გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში ჯავახეთის მართლმადიდებელი ქართული მოსახლეობა, რომელიც ოსმალთა ბატონობას ვერ ეგუებოდა, ქართლში გადმოდინდა საცხოვრებლად. საამისო ფაქტები ბევრია დადასტურებული საისტორიო საბუთებში⁷⁶.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი საისტორიო წყაროებისა, სომეხი მეცნიერები მაინც ისტორიული სომხეთის მიწა-წყლად ასახელებენ IX-X საუკუნეების მთელ სამხრეთ საქართველოს:

«Иберия-Картли, она же Джурзан – 45 637 кв. км., в том числе:

Царства картвельских/грузинских Багратидов – 35 292 кв. км, в том числе:

- 1) Округа Артахан/и, Джавахк/Джавахети, Кларджк/Кларджети, Тррелк/Триалети и Шавшет/и (историческая армянская область Гугарк/Гогарене) общей площадью 10 620 кв. км;
- 2) Историческая армянская область Тайк-Тао площадью 10 179 кв. км⁷⁷».

⁷⁶ რ. თოფჩიშვილი. სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, თბ., 2000; რ. თოფჩიშვილი. სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 2013, გვ. 74-148.

⁷⁷ А. Шагинян. Раннесредневековая география Армении и стран Южного Кавказа. - Санкт-Петербург.-2014.-с.335. ცნობილია, რომ ტაოელები ძველ წყაროებში მოხსენიებული დაიანელების/დიაუხელების შთამომავალნი იყვნენ. სომეხი მეცნიერების ეთნოცენტრიზმი ამ შემთხვევაშიც აშკარაა. დაიანი/დიაუხი პოლიტიკურ არენაზე დაახლოებით ძვ. წ. 1200 წლიდან 522 წლამდე არსებობდა. ურარტელები მას ძლიერ სახელმწიფოდ თვლიდნენ. დ. სარქისიანი წერს, რომ მის ძირითად ეთნიკურ ბირთვს სომხურენოვანი ტომები შეადგენდნენ. აქედან გამომდინარე დასკვნა ასეთია: დაიანი/დიაუხი პირველი

წარმოდგენილი ციტატის მიხედვით, აშკარაა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიებს/მხარეებს, რომლებიც ოდითგანვე ქართველთა განსახლების არეალები იყო, თავიანთ საკუთრებად აცხადებენ; ესენია: არტაანი (მასში, რა თქმა უნდა კოლასაც გულისხმობს ავტორი), ჯავახეთი, კლარჯეთი, თრიალეთი, შავშეთი და ტაო (მადლობა ღმერთს, სამცხე ჩვენ დაგვიტოვა). ამ უკანასკნელის შესახებ პირდაპირ მიუთითებს, რომ მან ქართველიზაცია განიცადა: «Выделенная из состава Великой Армении область Тайк, составляя владения картвельских Багратидов, подверглась картвелизации»⁷⁸. საინტერესოა, სომეხ მეცნიერებს რა არგუმენტები გააჩნიათ იმის სამტკიცებლად, რომ ტაო ეთნიკურად სომხური იყო? თუ მივაქცევთ ყურადღებას, მათ ამ ახირებას შემდეგი ლოგიკური „დასკვნაც“ უნდა მოსდევდეს - დიაუხები/ტაოხებიც სომხები იყვნენ. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სომხური ეთნიკური ერთობა ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ანუ ურარტელთა განსახლების არეალში ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩნდება. ფონეტიკასაც თუ მოვიშველიებთ ჰაიების/არმენების ეთნოგენეზში ადგილობრივმა კავკასიურმა ანუ ქართულმა ელემენტმაც მიიღო მონაწილეობა, რასაც ადასტურებს ის ბგერები, რომლებიც ინდოევროპულ სომხურ ენაშია შესული, კერძოდ, „ძ“, „წ“, „ჭ“, რასაც სომეხი მეცნიერები სართოდ გვერდს უვლიან. ასე რომ, ტაოს ვრცელი ტერიტორია სწორედ რომ ქართ-

სომხური სახელმწიფო იყო (მითითებულია წიგნიდან: А. Тер-Саркисянц. История и Культура армянского народа с древнейших времен до начала XIX в., М., 2008, с. 125).

⁷⁸ А. Шагинян. Раннесредневековая география Армении и стран Южного Кавказа. - Санкт-Петербург.-2014.-с. 333.

ველური ეთნიკური ერთობით იყო დასახლებული, რომლებიც ქართველურზე მეტყველებდნენ და რომელთა ენა ზანური იყო. ამას სომხურ ენაში სხვა ზანიზმებიც ადასტურებს. მაგრამ ამის შესახებ სომეხი მეცნიერები დუმან, რადგან მოუწევთ იმის აღიარებაც, რომ სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში ოდესღაც ქართველური ეთნიკური ერთობა მკვიდრობდა. ამას კი ის მოყვება, რომ ვეღარ ისაუბრებენ სამხრეთ საქართველოში თავდაპირველად სომხების მკვიდრობის შესახებ. მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთ ფაქტს - ქართლის საერთო ფართობი სულ 45.637 კვ. კმ. ყოფილა. ამას თუ გამოვაკლებთ საქართველოს დასახელებულ ტერიტორიულ ერთეულებს გვრჩება სულ 24. 838 კვ. კმ.

ა. შაგინიანის წიგნიდან ზემოთ მოყვანილ ციტატაში კიდევ ერთ ემმაკობასთან გვაქვს საქმე. თურმე არტაანი, ჯავახეთი, კლარჯეთი, თრიალეთი და შავშეთი ისტორიული სომხეთის ოლქის გუგარქის/გოგარენეს შემადგენელი ნაწილები ყოფილა. მაგრამ ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ გუგარქი/გოგარენე ეწოდებოდა, არა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, არამედ სტრაბონის აღწერით ის, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა, „ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთს უდრიდა, რომელიც დაახლოებით ჭოჭკანისა, ბოლნის-დბანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აზოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. ... ქართული საგეოგრაფო ტერმინოლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა“⁷⁹. ამ მეცნიერული ხრიკის მიზანი ისაა, რომ ერთ

⁷⁹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 16. იხ.: აგრეთვე ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭიუშვილი. ყოვე-

ხანობას (ძვ. წ. II საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე) სომხეთს გუგარქი/გოგარენე რამდენჯერმე დაპყრობილი ჰქონდა და მას ამდენად ისტორიულ სომხურ მიწად მიიჩნევენ.

სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველთა მიერ დიოფიზიტობაზე მტკიცედ დგომას უკავშირებენ სომხების ნაწილის ქართველიზაციას, რომლებიც მაგალითად ცურტავის ეპარქიაში ცხოვრობდნენ, აგრეთვე დიდი სომხური გუგარქის (ქართული - გოგარენე) მხარეში. გუგარქში/გოგარენეში კი მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართულ მხარეებს გულისხმობენ. ამავე პროვინციაში შეყავთ ცურტავიც, სადაც «армяне и ивери жили док о док»⁸⁰. ა. შაგინიანის წიგნში წარმოდგენილ რუკებზე ცურტავი დატანილია თბილისის მახლობლად სამხრეთით. სინამდვილეში ის საკმაოდ სამხრეთით არსებობდა და თბილისიდანაც დაშორებული იყო (იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ცურტავი თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე ახტალაში მდებარეობდა: „ცურტაველი ანუ ახტალელი“⁸¹. ხოლო X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მას გაჩიანში ათავსებდა: „ცურტავი მაშინ ერქვა, ხოლო ახლა ეწოდება გაჩიანი. ... მხარეში, რომელსაც ვრაც-დაშტი ჰქვია, რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყანას შორის... ცურტავი სამ-

ლი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან), თბ., 2014, გვ. 68-71.

⁸⁰ А. Шагинян. Раннесредневековая география Армении и стран Южного Кавказа. - Санкт-Петербург.-2014.-с.131.

⁸¹ იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედომვილმა, თბ., 1986, გვ. 83.

კვიდრებელი იყო გუგარელთა დიდი პიტიახშისა⁸²). ე. ი. ეს შერეულ ქართულ-სომხური მოსახლეობა თბილისთან ახლოს ცხოვრობდა. რამ განაპირობა რუკებზე ცურტავის თბილისთან ახლოს, სამხრეთით აღნიშვნა? - ქართველთა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა, როდესაც ახლადშექმნილ სოფელს ბოლნისამდე ცურტავი დაარქვეს. ცურტავი ბოლნისთან ნამდვილად არ ყოფილა. ესაა შედეგი ვაიპატრიოტიზმისა და იმისა, რომ ჩვენში მეცნიერებს არაფერს ეკითხებიან. რაც ყველაზე საყრადღებოა, „ცურტავი“ ქართული ტოპონიმი არაა, ის სომხურია და ცივად გილს ნიშნავს. ყოველივე აღნიშნულის შედეგია ერთ-ერთი ქვემო ქართლელი ინფორმატორის სიტყვები: ახლაც არის ბოლნისის რაიონში ცურტავი. აი ეს ცურტავი იყო გუგარაც, სომხური გუგარეთის სახელმწიფოს ცენტრი⁸³.

სომხები ქართული მიწა-წყლის მითვისებას, გარდა ეთნოცენტრისტული ისტორიკოსებისა, სხვა მეთოდებითაც ცდილობდნენ. დევი ბერძენიშვილს მოყვანილი აქვს ამონარიდი 1902 წლის გაზეთიდან „ივერია“: „დმანისხევში, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ზემოაღწერილის საპირისპირო მოვლენებიც ხდებოდა. მაგალითად, 1902 წლის „ივერიაში“ სტეფანე ბაიდოშვილი წერდა, რომ ქართული ძეგლები დმანისიდან არახლომდე თათრების ან სომხების ხელშია და თანდათან ნადგურდება. ზოგან ქართულწარწერიან ქვებს ხსნიან და მათ მა-

⁸²უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ.65-69.

⁸³ლ. ჯანიაშვილი. სახელმწიფოს აღქმა ქვემო ქართლის მოსახლეობაში. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIX, თბ., 2019, გვ. 168.

გივრად სომხურწარწერიან ფილებს სვამენ. ავტორი ასახელებს აკაურთის კვირაცხოველის ეკლესიას, რომლის შიდა და გარე კედლები მეტისმეტად შეზღუდული ყოფილა. სომხებს ეკლესია „რატევანში კიდევაც გადაუკეთებიათ თავიანთ წესზედ და არ შერცხვენიათ იმისა, რომ ეკლესიის ამშენებელი, ქართველი თავადი ბ. ბარათაშვილი შიგ ასაფლავია. ბოლნისის (ხატის სოფელი) წმ. გიორგის ეკლესია დიდი ხანია მონათლეს „სურბ გეურქათ“⁸⁴. არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღესაც სომხებს სომხეთიდან შემოაქვთ ხაჩკარები და ჯავახეთის სოფლებში ყრიან.

სომეხი მეცნიერების ეთნოცენტრიზმი ჩრდილოეთ კავკასიასაც წვდება. მაგალითად, კრასნოდარის მხარის ქალაქ *ბელორეჩენსკში* აღმოჩენილი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები და *ზელენჩუკის* ტაძრის კედელში ჩანადგამი, რომელზედაც სახელი „ამოტი“-ა ამოკვეთილი (არაბულენოვანი), თურმე იმის საფუძველს იძლევა, რომ ისინი სომხურ ძეგლებად იქნენ მიჩნეული⁸⁵. 1992 წელს გამომცემლობა „არცახ“-მა გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით «Историческая справка», რომლის ავტორია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი ფ. შელოვ-კოვედიაევი, რომელიც, როგორც აღნიშნავენ, მის ავტორობას უარჰყოფს. ბროშურის ქვესათაურში კარგად ჩანს ეთნოცენტრიზმი: **«Территория Ростовской области, Ставропольского и Краснодарского краев - исконно армянские земли»**. აღნიშნულ

⁸⁴ დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014, გვ. 204-205.

⁸⁵ М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. История в зеркале палеонауки, М., 2006, С. 441-42.

გამოცემაში ფალსიფიცირებულია ისეთი წყარო როგორცაა *სტრაბონი*. სტრაბონი როდესაც საუბრობს დიოსკურიის მიდამოებში სხვადასხვა ხალხების სავაჭროდ თავმოყრაზე და მათ შორის ასახელებს სარმატებს, თურმე ეს სარმატები სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ⁸⁶. აგრეთვე, VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში ჩამოთვლილია ცენტრალური კავკასიის 53 ხალხი, რომელთა უმეტესობაც თურმე სომხურ ენაზე ლაპარაკობდა, მათ შორის *ჩეჩნები, ინგუშები, ბალყარელები და ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი თუშები*. კიდევ ერთი პასაჟი: სომხები კავკასიის ძირძველი მკვიდრნი არიან. სტავროპოლი, როსტოვი, არმავირი ძველი სომხური ქალაქებია. აქ დღემდე ცხოვრობენ სომხები. აქ აყვავებული იყო ძველისძველი სომხური ნაციონალური კულტურა. რაც მთავარია ბროშურის ავტორი ამ სიტყვებს X საუკუნის არაბ გეოგრაფს *ალ-მასუდის* მიაწერს⁸⁷. ბუნებრივია, *ალ-მასუდის* მსგავსი რამ არ უწერია. სერიოზული მეცნიერი აღნიშნულზე არავითარი კომენტარის არ გაკეთებს, მაგრამ არ შეიძლება არ დაეთანხმო *მ. გაჯიევს, ვ. კუზნეცოვს* და *ი. ჩეჩენოვს*, რომ **«Историческая справка» - это не только фальшивый документ. Это политическая программа**⁸⁸. ჩვენი მეზობლები როდესაც ისტორიის სახელით სომხეთიდან დაშორებული ტერტორიების მიმართ ასეთ პოლიტიკურ პროვოკაციებს აწყობენ, ნამდვილად აღარაა გასაკვირი საქართველოს მიმართ განხორციელებული ანალოგიური მცდელობები. სომხეთში ისეთი მონოგრაფიებიც გამოდის, რომელშიც კავკასიის ალბანეთი

⁸⁶ М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. 2006, С. 44.

⁸⁷ М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. 2006, С. 45.

⁸⁸ М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. 2006, С. 47.

„მტკვრისიქითა სომხეთადაა“ გამოცხადებული და რომ ალბანეთი ეს იყო „სომეხთა ერთ-ერთი საუფლისწულო სამეფო“ (ა. მნაცკანიანი). ხოლო სხვა (ა. აკოპიანი) კი იმას ამტკიცებს, რომ „საკუთრივ ალბანეთში არ არსებობდა ეთნონიმ „ალბანელების“ მატარებელი ეთნოსი და რომ „ალბანელი“ იყო შემკრებლობითი ეთნიკონი, რომელიც ტერიტორიას აღნიშნავდა და არა მასზე განსახლებულ ეთნიკურ ერთობას და რომ მთელი რიგი სოციალური და იდეოლოგიური ფაქტორების გამო, ალბანეთი (ალუანკი) სომხური ცნობიერების ეთნოტერიტორიული ერთობა იყო. ყოველივე ამის შემდეგ აღარაა გასაკვირი, რომ აზერბაიჯანელი მეცნიერები ერევანს უძველეს აზერბაიჯანულ ქალაქად აცხადებენ.

ყარაბაღის შესახებ სრულიად საპირისპიროს წერენ სომეხი მეცნიერები; მათი მტკიცებით ოდითგანვე *არცახი/ხაჩენი/ყარაბაღი* სომეხთა განსახლების არეალი იყო და რომ აქ *ალბანელებს/უდიებს* არასდროს არ უცხოვრიათ⁸⁹. თურმე ამ მხარის ეთნოპოლიტიკური ვითარება კა-

⁸⁹ Нагорный Карабах. Историческая справка, Ереван, 1988. ამ წიგნში ხაზგასმულია, რომ XIX საუკუნის 40-იან წლებს მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა გუბერნიები: ტფილისის, ქუთაისის, შამახის, და აგრეთვე დერბენტის. თურმე აღმოსავლურ-სომხური ტერიტორიები ცალკეული მაზრების სტატუსით შეყვანილი იქნა პირველი სამი გუბერნიის შემადგენლობაში: «Во второй половине 40-х годов XIX в., в силу новых административных изменений, в Закавказье были созданы губернии: Тифлисская, Кутаисская, Шамахинская, а также Дербендская (располагавшаяся частично в Закавказье). Восточно-армянские территории в статусе отдельных уездов вошли в состав первых трех губерний (с.15). როგორც ჩანს, აღმოსავლეთ სომხურ მიწებად განიხილავენ თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრას (რომელიც ლორეს „უჩასტკაც“ შედიოდა). დავსძენთ, რომ ბორჩალოს

რგადაა ასახული ქართულ წყაროში „ისტორიანი და აზ-
მანი შარავანდედთანი“. დავსძენთ, რომ ქართულ წყარო-
ში აღნიშნული ვითარება ნამდვილად აღწერილი არაა.

ალბანელებს თავიანთ წინაპრებად აცხადებენ აზერ-
ბაიჯანელი მეცნიერებიც. ზოგიერთი ალბანური ტომი
თურმე თურქულ ეთნოენობრივ ერთობას მიეკუთვნე-
ბოდა, საკუთრივ *ალბანელები, გარგარები, უდიები, კას-
პიები...* ლოგიკა ასეთია: უდიურ ენაში შემორჩენილია
ძველთურქული სიტყვები, ე. ი. უდიები თურქები არიან,
რომელთა ასიმილაციაც მოახდინეს კავკასიელებმა და
მათი ენაც შედის თურქულ ენათა ოჯახში. კავკასიელი
უდიების შეპირისპირებას ახდენენ უტიგურებთან. ალ-
ბანელები თურქულენოვანი თურმე იმიტომ იყვნენ, რომ
ყაზახეთსა და შუა აზიაში გვხვდება ანალოგიური ეთნო-
ნიმიური სახელწოდება. მკითხველს ყალბ ინფორმაციას
აწვდიან, რომ „ალბანი“ თურქულ ენზე ნიშნავს „გმირს“,
„გმირების გვარს“⁹⁰. ყოველივე თქმულის შემდეგ აღარ

მაზრის დიდი ნაწილი ქვემო ქართლს მოიცავდა. რაც შეეხება ლო-
რეს, XI საუკუნიდან ის საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი
ნაწილი იყო, ცარიზმმა ეს ტერიტორია შეიერთა როგორც ქართლ-კა-
ხეთის განუყოფელი ნაწილი და შესაბამისად შემდეგ თბილისის გუ-
ბერნიაშიც აღმოჩნდა. აღმოსავლეთ სომხეთის რომელი ტერიტორი-
ები (თანაც მაზრის სახით) შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში, საკით-
ხავია. იმ დროისათვის, ვიდრე 1860-იანი წლების შუა ხანებამდე
ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ახალციხის მაზრაც (ახალქალაქის
ჩათვლით). როგორც ჩანს, წიგნის ავტორები აღმოსავლეთ სომხეთად
სამცხესა და ჯავახეთს მიიჩნევენ. სხვა შემთხვევაში აღმოსავლეთ
სომხეთად შეიძლება ართვინის ოკრუგი (შავშეთი და კლარჯე-
თი) გვეგულისხმება, მაგრამ ეს მხრეები რუსეთმა მხოლოდ 1878 წელს
შეიერთა.

⁹⁰ М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. 2006, С. 53-54.

უნდა იყოს გასაკვირი, როდესაც „ჩვენს ფრონტზე“ ისვრიან ისინი სიყალბის ისრებს. უნდა ითქვას, რომ ალბანეთის ისტორიისა და ალბანური კულტურის მითვისებაში ტოლს ლეზგებზე არ უთმობენ. მაგალითად, 1995 წელს სანქტ-პეტერბურგში დაიბეჭდა სქელტანიანი წიგნი სათაურით «Кавказская Албания - Лезгистан. История и современность». ამ წიგნის სახელწოდებას სამართლიანად ადარებენ ბ. არაქელიანის, გ. ჯაუკიანისა და გ. სარქისიანის წიგნის სათაურს «Урарту - Армения» (Ереван, 1980). მ. გაჯიევი, ვ. კუზნეცოვი და ი. ჩეჩენოვი მიუთითებენ, რომ ეს ავტორები აზვიადებენ სომხების როლს ურარტუს ისტორიაში, და ცდილობენ „დაასაბუთონ“, რომ «первым и единственным народом, возникшим на территории Армении, был и остается армянский народ»⁹¹. სხვა ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ „ყარაბაღელები - ესენი არიან ყოფილი ლეზგიურენოვანი ალბანელები, რომლებიც სომხურ ენაზე XIV-XV საუკუნეებში გადავიდნენ. უფრო მეტი აზერბაიჯანელი თურქებიც წარმოიქმნენ ლეზგიურენოვანი ხალხებისაგან (ურარტელებისა და კავკასიელი ალბანელებისაგან). კიდევ უფრო მეტი, ერთნი თუ „ამტკიცებენ“, რომ *შუმერები, ეტრუსკები და სკვითები ადიღეელების წინაპრები არიან*, მეორენი მათ თურქულენოვანი ხალხებისა და მესამენი დაღესტნელი ხალხების წინაპრებად აცხადებენ. გვხვდება ასეთი გამოთქმაც „Пелазги - это лезги“. ჩრდილოეთ კავკასიელების შესახებ კიდევ ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას: ჩაჩნები წერენ, რომ აღმოსავლეთ საქართველო ადრე მათი განსახლების არეალი იყო; იმის გამო, რომ ინგუშე-

⁹¹ М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов., 2006, С. 115.

ბმა ალანების შთამომავლებად გამოაცხადეს თავი და ოსი ავტორები თავიანთი ჭკუით შიდა ქართლს ალანებს უწოდებენ, ინგუშურ პრესაში გაჩნდა სტატიები იმის შესახებ, რომ შიდა ქართლი ეს ინგუშების ოდინდელი საცხოვრისია. ასე რომ, მეზღაპრეობას საზღვარი არა აქვს, გამქრალი ხალხების ისტორიასა და კულტურას არა ერთი და ორი უისტორიო ხალხი ითვისებს.

ნაკვეთი IV

უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ისტორიის გაყალბებით განსაკუთრებით გამოირჩევიან აზერბაიჯანელი მეცნიერები. სამწუხაროა, რომ სომეხ მეცნიერებს ისინი ტოლს აღარ უდებენ - შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს არაქართველთა განსახლების არეალად აცხადებენ. 2015 წელს აზერბაიჯანში აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოიცა ვიდადი მამედოვის წიგნი „ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ხალიჩის მქსოველები“. მეხალიჩეობის შესახებ მიძღვნილი გამოკვლევის პირველი თავი ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ისტორიას ეძღვნება, რომელიც დაწერილია კარემ მამედოვის მიერ. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს მონაკვეთი უაღრესად ტენდენციურია და დამახინჯებულად წარმოაჩენს საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის მრავალ ეპიზოდს. ჩვენ კოლეგებთან ერთად საშუალება გვქონდა მასზე რეცენზია გამოგვექვეყნებინა ქართულ და რუსულ ენებზე⁹².

წიგნში იმდენი არამეცნიერული რამაა, რომ სერიოზული მეცნიერისათვის ყველაფერზე კომენტარის გაკეთება არც შეიძლება და ყველა იმ შეცდომისა და უზუს-

⁹² მ. ბახტაძე, რ. თოფჩიშვილი, ბ. კუპატაძე, დ. შველიძე. საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემაში. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX, თბ., 2015, გვ. 355-372; М. Бахтадзе, Р. Топчишвили, Б. Купатадзе, Дм. Швелидзе. Об искажении истории Грузии в азербайджанских изданиях. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X, თბ., 2016, გვ. 388-403.

ტობის ჩამოთვლა და მათზე პასუხის გაცემა, რაც მასშია მოცემული, უაზრობაა. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რეგიონის სახელწოდებები „Борчалы“ და „Kazax“ არსებობდა VII-VIII საუკუნეებიდან. რას ეყრდნობა ავტორი? მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით, II-IV საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში ილაშქრა ბარსილთა თურქულმა ტომმა. და, აი, თურმე, ამ ბარსილთა შთამომავლები არიან ბორჩალოელები. მაგრამ რის საფუძველზე? - საამისო დასკვნისათვის არავითარი საისტორიო წყარო არ არსებობს.

ქართველი მეფეების მიერ მონეტებზე შესრულებული მუსლიმური წარწერები (ეს წარწერები არაბულია, რასაც შეგნებულად მაღავს ავტორი), თურმე, იმის დამადასტურებელი ყოფილა, რომ ბორჩალოს ტერიტორიაზე, და, საერთოდ, საქართველოში, დიდი რაოდენობით იყო თურქული მოსახლეობა. არაა ეს ასე! ამას იმიტომ აკეთებდნენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები, რომ ქართული მონეტები საერთაშორისო მიმოქცევაში ყოფილიყო ჩართული.

ოდითგანვე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (და, მათ შორის, ბორჩალოში) საფლავის ქვების ცხვრის ქანდაკებებიც თურმე აქ თურქულენოვანი მოსახლეობის ფართოდ განსახლების დამადასტურებელი ყოფილა. ასეთ პრაქტიკას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, მათ შორის, სომხეთსა და საქართველოში, მისდევდნენ და ის მხოლოდ ერთი ეთნოსის კულტურული საკუთრება არ ყოფილა.

სახელწოდება „ბორჩალო“ სინამდვილეში ქვემო ქართლის ერთ ნაწილს, მდ. დებედას ქვემო დინების აუზს მას შემდეგ ეწოდა, რაც 1604 წელს ირანის შაჰის აბას I-ის

მიერ ქართლის მეფისათვის, მდ. დებედას ხეობაში ჩამორთმეულ ტერიტორიაზე მისივე ბრძანებით ჩამოსახლდა ბორჩალოს თურქმანული ტომი. XVII საუკუნემდე არც ერთი ქართული თუ უცხოური წყარო არ ადასტურებს ამ რეგიონის სახელწოდებად ბორჩალოს. ტერიტორიული ერთეული „ბორჩალო“ პირველად 1693 წლის დოკუმენტშია მოხსენიებული. ბორჩალოს რეგიონი ხშირად ქართველი უფლისწულების საგამგეოს წარმოადგენდა, მაგალითად, 1768 საბუთით ბორჩალოს ბატონი ბატონიშვილი გიორგი ყოფილა.

ავტორი წერს, რომ კავკასიაში პირველი მუსლიმურ-თურქული სახელმწიფოები: თბილისის საამირო (730-1122) და დმანისის საამირო (843-1122) *ყაზახ-ბორჩალოს* რეგიონში წარმოიქმნენ. თბილისის საამირო შეიქმნა VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბთა მიერ და რა შუაში არიან თურქები, გაურკვეველია. თბილისი არასდროს მდებარეობდა *ყაზახ-ბორჩალოში*. დმანისი მდებარეობდა და დღესაც მდებარეობს ისტორიულ ქვემო ქართლში. იმ პერიოდში, რომელზეც ავტორი საუბრობს, არ არსებობდა ტოპონიმი *ყაზახ-ბორჩალო* - როგორც ერთი, ისე მეორე ტოპონიმი გვიანი შუა საუკუნეების პროდუქტს წარმოადგენს. დმანისი ქართული ტოპონიმია და ქართულ წყაროებსა და საბუთებში არაერთხელაა მოხსენიებული. აქვე იჯდა დმანელი ეპისკოპოსი. დმანისსა და მის რაიონში განუსაზღვრელი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქართული ეპიგრაფიკა, რომლის პირველი

ძეგლი V საუკუნით, ხოლო ბოლო XVIII საუკუნით თარიღდება⁹³.

ავტორი, საუბრობს რა ქრისტეს შობამდე XIII საუკუნეში ამ რეგიონში (გულისხმობს „ყაზახ-ბორჩალოს“) არსებულ ვითარებაზე, რომლის მიხედვითაც, **მუშქები ხაზართა წინაპრები ყოფილან**. ავტორმა ან არ იცნობს ან შეგნებულად უგულვებელყოფს უფრო საფუძვლიან თეორიას, რომლის მიხედვითაც მუშქები ქართველური ტომია. მუშქები ეს გვიანდელი წყაროების მოსხები ანუ იგივე მესხები არიან. აზერბაიჯანელი ავტორის ლოგიკიდან გამომდინარე, მცირე აზიაში მოსახლე მუშქების ტომი ასევე თურქები ყოფილან. თურქულენოვანი ხაზარები ადრე შუა საუკუნეებში კასპიის ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთიდან ვიდრე ყირიმის ნახევარკუნძულამდე ცხოვრობდნენ, რომლებიც აქ აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსული. რანაირად მოხვდნენ მიწათმოქმედი მუშქები, რომლებსაც მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველთა - მესხთა წინაპრებად მიიჩნევს, ნომადების სტეპურ სამყაროში, ამის ახსნით ის თავს არ იწუხებს.

მეხუთე საუკუნეზე საუბრისას აზერბაიჯანელი ავტორი ასახელებს რა რამდენიმე ქართულ ტოპონიმს, იქვე იყენებს მათ პარალელურ „ფორმებს“, მაგალითად *რუსთავი - ბოსტანშეხერი, დმანისი - ბაშქეჩიდი, ბოლნისი - ჩერიუკ-გამარლი*. გასაგებია ავტორის სურვილი, დააჯეროს მკითხველი, რომ ქვემო ქართლში V საუკუნეში არსებობდა თურქული ტოპონიმები. წყაროთა მითითების

⁹³დაწვრილებით იხ.: ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I, დმანისის რაიონი. V-XVIII სს., თ., 2017. წიგნში ორასამდე ეპიგრაფიკული ძეგლია მეცნიერულად შესწავლილი.

გარეშე დაწერილი წიგნი, რომელსაც მეცნიერებაზე აქვს პრეტენზია, ნამდვილად სამეცნიერო ნაშრომად ვერ ჩაითვლება. აქაც მიზანი ნათელია: საზოგადოება უნდა დააჯერონ იმაში, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე თურქული ტოპონიმები არსებობდა. და, ვინ შექმნა ეს თურქული ტოპონიმები? - თურქულენოვანმა მოსახლეობამ⁹⁴.

V-XI საუკუნეებში აგებულ ნინოწმინდისა და საგარეჯოს ტაძრებთან დაკავშირებით ავტორი წერს, რომ ისინი ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე იყო აშენებული. ისტორიული გეოგრაფიის სრულ უგულვებელყოფასთან გვაქვს საქმე. წიგნში «Азербайджанцы» (1998) აცხადებდნენ, რომ, თურმე, საქართველოში აზერბაიჯანელები მთელი 70 წლის მანძილზე, საბჭოთა პერიოდში, მეორეხარისხოვანი მოქალაქეები იყვნენ, თურმე ქართველები მათ თავიანთი ისტორიული ტერიტორიიდან ერეკებოდნენ, თურმე საქართველოს უმაღლეს და საშუალო განათლების სისტემაში აზერბაიჯანული ენა არ ფუნქციონირებდა და ა. შ. ტყუილს საზღვარი არა აქვს. ეს არის მხოლოდ მცდელობა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების დაპირისპირებისა. აზერბაიჯანელებით განსახლებულ ტერიტორიებზე საქართველოში მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე იყო და არის სწავლა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტში აზერბაიჯანული განყოფილება არსებობდა. პირიქით კი იყო და არის: საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები არ სწა-

⁹⁴ დაწვრილებით იხ.: მ. ბახტაძე, რ. თოფჩიშვილი, ბ. კუპატაძე, დ. შველიძე. საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ... 2015, გვ. 355-372

ვლობდნენ საქართველოს სახელმწიფო ენას - ქართულ ენას.

ავტორის აზრით, VI საუკუნეში თურქული ტომები ცხოვრობდნენ დღევანდელი საქართველოს არა მხოლოდ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, არამედ დასავლეთ საქართველოშიც. კერძოდ დღევანდელი სამტრედიის მახლობლად. რას ეყრდნობა ავტორი? აგათია სქოლასტიკოსის ცნობას, რომ ლაზიკაში არსებობდა პუნქტი *ონოგურისი*. *ონოგურისის* ციხე მართლაც არსებობდა და მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. ბიზანტია-ირანის 542-562 წლების ომის დროს ერთ-ერთი ბრძოლა მართლაც გაიმართა *ონოგურის* ციხესთან. ეს ადასტურებს მხოლოდ იმას რომ არსებობდა ამ სახელწოდების ციხე. მისი ლოკალიზაცია ზუსტად ვერ ხერხდება, თუმცა, ცხადია, რომ არქეოპოლისის მახლობლად იყო. არსებობს მოსაზრება რომ ის ნოქალაქევის მახლობლად უნაგირას მთაზე მდებარეობდა. რით დასტურდება, რომ *ონოგური/ონოგურისი* თურქული ტოპონიმი? - არაფრით. ის ქართული ტოპონიმი დასავლურქართული ო- პრეფიქსით. მისი ფუძეც („გურ“) ქართულია (შდრ.: გურია, გურიანთა). არ არსებობს წყარო, რომელიც დაადასტურებდა თურქული ეთნიკური ჯგუფის ბინადარ ცხოვრებას დასავლეთ საქართველოში არც VI და არც შემდგომ საუკუნეებში.

ავტორი წერს, რომ XIII საუკუნის 60-იან წლებში სამხრეთ კავკასია და მათ შორის ბორჩალო და ყაზახი მიუერთდა ილხანთა სახელმწიფოს. აქვე იმოწმებს ქართულ წყაროს „правила епископов“, სადაც თითქოს დასტურდება, რომ „ბორჩალოში“ შემავალი „რეგიონები“: „Рустави“ (Бостаншехер), „Дманиси“, „Сомхити“ (Южный

Борчалы), „Тифлис“ (Тифлис), არ შედიან ქართლში. სხვა შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, ხომ საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ დასახელებული გეოგრაფიული ერთეულები, საერთოდ ქვემო ქართლი საქართველოს სამეფოში შედიოდა. წყარო, რომელსაც ავტორი ასახელებს არის „განგება დარბაზობისა“. ეს არის წესი, სადაც განსაზღვრულია თუ რომელი ეპისკოპოსი სად დავის მერე ჯდება დარბაზობისას. ამ დოკუმენტიდან პირდაპირ ჩანს, რომ თბილისი, რუსთავი, დმანისი და სომხითი საქართველოს სამეფოში შედის. რაც შეეხება „სომხითს“, ქვემო ქართლის ნაწილი გარკვეული პერიოდების მანძილზე სომხების ხელში გადადიოდა, ამიტომ ქართველები მას „სომხითსაც“ ეძახდნენ. ეს სახელი რეგიონს იმიტომაც შერჩა, რომ აქ მცხოვრები ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) აღმსარებლობისა იყო. ეს გეოგრაფიული რეგიონი, რომ საქართველოს ნაწილი და ქართველი ხალხის საკუთრება იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ სომხები მას „ვრაც-დაშტს“ ანუ „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ.

ერთ სიტყვით, ავტორს ერთი მიზანი ამოძრავებს – დაამტკიცოს, რომ ქვემო ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც XVII საუკუნის დასწყისიდან ეწოდა ბორჩალო, თურქული ელემენტი ცხოვრობდა ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VIII საუკუნიდან უწყევტად და სახელწოდება ბორჩალოც ასევე ძველია.

ავტორი ძალიან შორს მიდის და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებს, უფრო კონკრეტულად არა მხოლოდ ბორჩალო-ყაზახში, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კრანიოლოგიურ

მასალას აზერბაიჯანელთა კუთვნილებად აცხადებს. ხშირად არ უთითებს ლიტერატურას. ეთნიკური აზერბაიჯანელებისა ყოფილა თურმე გომარეთში ნაპოვნი თავის ქალა, რადგან ის კასპიური ანთროპოლოგიური ტიპისააო. უფრო მეტიც ასეთივე კასპიური ტიპის ყოფილა შიდა ქართლის სოფლებში ბებნისსა და დვანში ნაპოვნი თავის ქალები. აქედან ის დასკვნაც გამოაქვს, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ბორჩალოს ისტორიული მიწა-წყალი ყოფილა. ასეთ მეცნიერთან კამათი არც შეიძლება, მაგრამ, როდესაც ეს მიზანმიმართულად კეთდება, რომ მომავალში ტერიტორიული პრეტენზიები წამოგიყენონ, მთელმა ქართულმა საზოგადოებამ უნდა ამოიღოს ხმა. იგივე ავტორი ტოლობის ნიშანს სვამს შიდა ქართლსა და სამხრეთ ოსეთს შორის. მან არ იცის, რომ შიდა ქართლი უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავს ან იცის და ოს ისტორიის გამყალბებლებს უბამს მხარს, რომლებსაც პრეტენზია გარდა ე. წ. სამხრეთ ოსეთისა მთელ შიდა ქართლზე აქვთ.

ავტორი გვიცხადებს, რომ ჰუნები (ასევე თურქულენოვანნი) თანამედროვე ბორჩალო-ყაზახის ტერიტორიაზე თურმე ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობდნენ. ფალსიფიკაციას საზღვარი არა აქვს: საყოველთაოდ ცნობილია, რომ მომთაბარე თურქულენოვანი ჰუნების ტომი ისტორიის სარბიელზე ახალი წ. ა. IV საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოჩნდა, როდესაც შორეული აღმოსავლეთიდან მოსულნი ვოლგასა და დონს შორის ასევე მომთაბარე ალანებს თავს დაესხნენ. იქამდე ისინი ჩინეთისა და მონღოლეთის ჩრდილოეთ მონაკვეთში მომთაბარეობდნენ. ამის დამადასტურებელი წყაროები დიდი რაოდენობით აქვს მოხმობილი ცნობილ მეცნიერს

ლევ გუმბელიძის თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ზემოთ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ ბორჩალოს ტომს აზერბაიჯანელი ავტორი ბარსილებს უკავშირებდა. იმავე წიგნში სხვა ვერსიაც განავითარა და ქვემო ქართლში თურქულენოვანი მოსახლეობის მკვიდრობა ძვ. წ. IV საუკუნეში გადაიტანა. ძალიან დიდ ულოგიკობასთან გვაქვს საქმე. წიგნში, როგორც ჩანს, ჰუნების ხსენება იმიტომ დასჭირდა, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე თურქი/აზერბაიჯანელი ხალხის ეთნოგენეზის დასაწყისი სტადია მეზობელი ქვეყნის მეცნიერებს ჰუნების დაწყებულ საქმედ მიაჩნიათ. მერე რა, რომ სინამდვილეში ევრაზიის სივრცეში ჰუნები ახ. წ. IV საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდნენ? ლოგიკა იმაშია, რომ თანდათან დაამძვლებენ საკუთარი ხალხის ეთნოგენეზის საწყის სტადიას და ამ ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის ტერიტორიად ქართველთა განსახლების არეალსაც გამოაცხადებენ.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთავი, დმანისი, ბოლნისი ბორჩალო-ყაზახის ტერიტორიაო, სადაც V საუკუნიდან დაუწყიათ ქრისტიანული ტაძრების აგება. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ეს ტაძრები ქართველთა აგებული კი არ ყოფილა, არამედ ალბანელებისა, რადგან ტრევერის აზრით, ისინი ალბანური ტაძრებისაგან არ განსხვავდებიან. აზერბაიჯანელი ავტორის აზრით, მთავარია ქვემო ქართლის ტაძრები ქართული არ იყოს. აწ გამქრალი ალბანელებისაგან ხომ შემდავებელი აღარავინ ყავთ! თანაც ალბანელების მემკვიდრეები ხომ თვითონ არიან. კი, მაგრამ რა ვუყოთ ამ ტაძრებზე მოთავსებულ ქართულ ეპიგრაფიკას? - ბოლნისის სიონის ასომთავრული წარწერა ხომ 493-494 წლებით თარიღდება. ისინიც ალბანურია?

ზემოთ ვახსენეთ წიგნი «Азербайджанцы», რომელშიც 1873 წლისათვის აზერბაიჯანელების რაოდენობა თბილისის გუბერნიაში 64 ათასი აქვთ ნაჩვენები. ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, ხელოვნურადაა გაზრდილი, რადგან მათი წარმოდგენით, თურმე თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის მოსახლეობის 51% აზერბაიჯანელი იყო⁹⁵. წიგნის ავტორებმა ქართველი მაჰმადიანები აზერბაიჯანელებად გამოაცხადეს. აზერბაიჯანელი მეცნიერების „მტკიცებით“, თურმე, საბჭოთა ხელისუფლებამ დააკარგვინა „აზერბაიჯანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი ბორჩალო“.

აზერბაიჯანელი მეცნიერების საყურადღებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბორჩალოელი თურქულენოვანი მოსახლეობა ყოველთვის საქართველოს მოქალაქეებად გაიზარებდა თავს და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა საქართველოში შემოჭრილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. საილუსტრაციოდ, *აღა-მაჰმად ხანთან* გამართული 1795 წლის კრწანისის ბრძოლაც შეიძლება დავასახელოთ. ბორჩალოელები მონაწილეობდნენ მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, 1721 წლის არზაში ვკითხულობთ: **„წინა ხანში რუისელი ფანიაშვილის ყმა დედაბრისშვილი გოგია ლეკში დაკარგულიყო, ბორჩალოელები დასხმიყვნენ და გაეგდებინებინათ“**⁹⁶. ბორჩალოელთა ერთგულების გამო იყო, რომ 1755 წელს ერევნის მახლობლად გადასახლებულები ერეკლე მეფემ აყარა და უკანვე გადმოასახლა (იგივე უნდა ითქვას

⁹⁵ Азербайджанцы. Историко-этнографический очерк. Баку, 1998, с. 47.

⁹⁶ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 79.

„ფახრალუ ელის“ შესახებაც. ტალავრისხევში ელის თათრები ერეკლე მეფის ბრძანებით, განჯიდან 1746 წელს ჩამოუყვანია თავად *არღლუთაშვილს*. 1778 წელს „ფახრალუ ელი“ „საქართველოს მიწაწყლიდან აყრილიყო და განჯას მისულიყო“. მეფემ ისინი ისევ უკან დააბრუნა⁹⁷). ბორჩალოელთა წრიდან XVIII საუკუნეში საქართველოს ეროვნული გმირიც გამოვიდა. ეს იყო *ხუდია ბორჩალოელი*, რომელსაც *თეიმურაზ ბაგრატიონი* „ყოვლისა საქართველოს ჩინებულ და მამაც“ პიროვნებად მოიხსენიებს. ხუდია ბორჩალოელის ქმედება აზერბაიჯანელებისა და ქართველების ურთიერთობისათვის სამაგალითო უნდა იყოს. ქართველმა ხალხმა შექმნა ლექსი, რომლის მსგავსი არცერთი სხვა ხალხის ხალხურ პოეზიაში არ მოიძებნება: „ყველა ადამის შვილი ვართ, - //თათარიც ჩვენი ძმაა არის, //ჩვენსა და სომხებს შუა//განყოფილება რა არის?“ დიახ, აზერბაიჯანელი ისტორიულ საქართველოში ქართველის ძმა იყო და ძმობის ამ ტრადიციის დარღვევის უფლება ზოგიერთ ვაიმეცნიერსა და მითოლოგემების შემქმნელს არ უნდა მივცეთ.

აზერბაიჯანელ მეცნიერებს აზერბაიჯანის ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქი ჰგონიათ საინგილო (კაკ-ენისელი) ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთი კახეთი, რომელიც ქართველებმა შაჰ-აბას I-ის შემოჭრის შემდეგ დაკარგეს და რის შედეგადაც აქ დაღესტნური ტომების (ხუნძების, წახურების) მიგრაცია და დასახლკარება მოხდა. ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს ინგილოებს კი (როგორც მაჰმადიანებს, ისე ქრისტიანებს) არაქართველებად აცხა-

⁹⁷ ფახრალუს ელის ქვემო ქართლში გადმოსახლების შესახებ დაწვრილებით იხ.: დ. ბერძენიშვილი. „ხევი ბოლნისისა“. - დმანისი, IV, თბ., 2003, გვ. 260-261

დებენ. მხოლოდ ქრისტიანებს წერენ აღწერების დროს ქართველებად, მაჰმადიანი ინგილოების კი ძალად ასიმილაციას ახდენენ და მათი ნების მიუხედავად, ყველა აღწერაში აზერბაიჯანელებად წერენ. ყველაზე დიდი სოფლის *ალიბეგლოს* მკვიდრნი რამდენმე ათეული წელიწადია თხოულობენ ქართველებად ჩაწერას და ქართული გვარების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. საინგილოშივე ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლებს არაქართულად/ალბანურად აცხადებენ, მაგალითად, ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიას. ამ მცდარ და ტენდენციურ მოსაზრებას საფუძველი *კ. ტრევერმა* ჩაუყარა. მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ საინგილოს ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული კულტურის ძეგლები (ყუმი, ლექეთი) არავითარი ალბანური კულტურის ძეგლები არაა. როგორც *გიორგი ჩუბინაშვილმა* გაარკვია, ყუმიც და ლექეთიც მთლიანად გვერდში უდგას კახეთის უძველეს არქიტექტურულ ძეგლებს⁹⁸. გამოდის არაერთი წიგნი, რომელშიც ძირძველი ქართული პროვინცია ჰერეთი, თავისი მოსახლეობით, ენით და კულტურით, წარმოდგენილა ალბანურ სახელმწიფოში შემავალ ქვეყანად. საინგილოს/ჰერეთის/აღმოსავლეთ კახეთის ისტორიის საკითხები კარგად აქვს შესწავლილი *თ. პაპუაშვილს*, რომლითაც დასტურდება, რომ უკვე ახ. წ. I-II საუკუნეებიდან ჰერეთი მტკიცედ არის შემოსული ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში. III-IV საუკუნეებში ჰერეთი და ჰერები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. V საუკუნეში, *ვახტანგ გორგასლის* დროს, ჰერეთი ქართული სახელმ-

⁹⁸Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии, 1959,с. 132.

წიფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. კახეთთან ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესიც (კახთა მეფის *კვირიკე III*-ის დროს) აქ მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკურობით იყო განპირობებული. წერილობითი წყაროების გარდა ამ მხარის ეთნიკურ ქართულობას ადასტურებს აგრეთვე დღემდე შემონახული ტიპური ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ქართული ტოპონიმკა და ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები⁹⁹. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგაც, კარგა ხნის განმავლობაში, საინგილო/ჰერეთი კახეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, სოფელ ფიფინეთში (შემდეგდროინდელი ჭარი) მეფე ლევანს ლეკები დაუსახლებია იმ პირობით, რომ სამეფო ოჯახისათვის მათ კავკასიის მთებიდან ყინული ეზიდათ. „საყდარნი მაჰ-ფიფინეთისა“ მოხსენიებულია 1310 წლის ქურმუხის მთავარეპისკოპოსის *კირილე დონაურის* ანდერძში. ქართული საბუთებით, ჭარის სამხრეთით, ალაზნის ველზე მდებარეობდა კახეთის სამეფოს ცნობილი ეკონომიკური ცენტრი - ქალაქი *ბაზარი*, რომელიც 1392 წლის დოკუმენტით სვეტიცხოვლის კუთვნილებას შეადგენდა. ეს ქალაქი არაერთხელ იხსენიება 1600-იანი წლების კახთა მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებში – 1662 წელს თეიმურაზ კახთა მეფეს ენისელთ ნაცვალ ხოსროსათვის ბაზრის ნაცვლობა უბოძებია¹⁰⁰. საინგილოში სხვა ქალაქიც

⁹⁹ დაწვრილებით იხ.: თ. პაპუაშვილი. საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2013.

¹⁰⁰ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, საბუთი #515.

იყო, რომელსაც გარდა ქართული წყაროებისა, უცხოენოვანი წყაროებიც მოიხსენიებენ¹⁰¹.

აზერბაიჯანელი მეცნიერების ტენდენციურობა იმაშიც ჩანს, რომ ისინი აღმოსავლეთ საქართველოდ მხოლოდ ქართლს მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისით, გამოირჩევა ისტორიკოსი *ვარიდა მამედოვა*, რომელიც აკრიტიკებს *დავით მუსხელიშვილს*, რომელიც ქართლთან ერთად კახეთსაც, სრულიად სამართლიანად აღმოსავლეთ საქართველოს განუყოფელ ნაწილად განიხილავს. აზერბაიჯანელი მეცნიერი კი კახეთის მიწა-წყალს ჩრდილო-დასავლეთ ალბანეთს უწოდებს: «Взгляд на Гогарену (как юго-западные албанские земли), изложенный в I главе книги, Д.Л.Мусхелишвили заканчивает следующим выводом: «...в представлении армян Гугарк (Гогарена) обнимал собственно Восточную Грузию». А по существу же, Гогарена - южная провинция Грузии. Во II главе Д. Л. Мусхелишвили обещает раскрыть, что понимается в грузинских источниках под понятием Восточная Грузия, хотя и до него в науке было известно, что Восточная Грузия - это Картли. В этой главе Д. Л. Мусхелишвили дает историко-географический очерк северо-западных албанских областей - Эрети и Камбисены и пытается доказать, что они уже в древности вошли в состав Иберии и претерпели многовековую иберизацию. Таким образом, получается, что под «Восточной Грузией» следует понимать также и северо-западные албанские земли. Проследим за аргументами Д.Л.Мусхелишвили. Автор преподносит три значе-

¹⁰¹ თ. პაპუაშვილი. საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2013, გვ. 107-108.

ნია პოვნია Ⴢრეტი (ვ სბსტვენნომ, უზკომ ი შიროკომ სმს-სლე). ოდნაკო ვო ვსეხ ტრეხ სმსსლახ, პრედლოჟენნეხ დ.ლ.-მუსხელიშვილი, ნე პოლუჩაეტსე, ჟო Ⴢრეტი - ეთო სევერო-ზაპადნე ხეზლი ალბანიი ილი ალბანიე ვ ცელომ.¹⁰² რე კომენტიარი უნდა გეკეთდეს მოყვანილი ციტატის შესახებ? სად წეიკითხე ვ. მამედოვამ, რომ დავით მუსხელიშვილამდე მხოლოდ ქართლი მიიჩნეოდა აღმოსავლეთ საქართველოდ? ან იქნებ დავისახელოს რომელ წყაროშია ეს დავიქსირებული? ასეთს ვერც წყაროსა და ვერც სამეცნიერო ლიტერატურას ვერ დავისახელებს! მისი თქმულიდან ის ლოგიკური დასკვნა გამოდის, რომ კახეთი და ჰერეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ იყო და რომ კახელები და ჰერები ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს არ წარმოადგენდნენ. ლეონტი მროველს დავიქსირებული აქვს, რომ მირიან მეფის დროს ჰერეთი ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, მის მხარეს/ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. არა მხოლოდ ჰერეთი, არამედ ალბანური ტომებით დასახლებული რანი და მოვაკანი ქართლის სამეფოში შედიოდა. ვახტანგ გორგასალს კი თავის სამეფო საერისთავოებად ჰქონდა დაყოფილი, ერთ-ერთი საერისთავო კი ჰერეთის საერისთავო იყო¹⁰³. საქართველოს სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე ჰერეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მუდმივად მისი შემადგენელი ნაწილი იყო. არცერთ ქართულ წყაროში არ წერია, რომ ჰერები ქართველები (ქართველთა ეთნოგრაფიული, ლოკალური ჯგუფი) არ იყვნენ. არც ის წერია, რომ ჰერეთი ალბანეთის

¹⁰² ფ.მამედოვა. კავკასიური ალბანიე ი ალბანე. – ბაკუ. 2005. –ს.290.

¹⁰³ ქართლის ცხოვრება, ტომი I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 185.

(მისი ჩრდილო-დასავლეთის) ნაწილი იყო. საერთოდ, ქართულ წყაროები ქვეყანას ალბანეთს და ხალხს ალბანელებს არ იცნობენ. ქართული წყაროებში ალბანეთის ადგილას რანი და მოვაკანია სახელდებული. ფ. მამედოვა ასევე ალბანეთის ტერიტორიულ ერთეულად განიხილავს *კამბისენესაც*, რომლის ქართული სახელწოდება *კამბეჩოვანი* იყო. ეს სახელწოდება კი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია - კამბეჩოვანი იმას ნიშნავს, რომ აქ მეცხოველეობის ძირითადი დარგი მეკამეჩეობა იყო. კამბისენეც სწორედ კამბეჩოვანის ლათინიზებული ფორმაა. აზერბაიჯანელი ავტორი გაცემული კითხულობს: როგორ აღმოსავლეთ საქართველოდ უნდა გავიგოთ ალბანეთის ჩრდილო-დასავლეთი მიწები? კი მაგრამ აღნიშნული ტერიტორიული ერთეული თუ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი იყო, აბა, მაშ იმ აღმოსავლეთ საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ იყო? დავუშვათ რომ ჰერეთში მკვიდრი ჰერები თავდაპირველად ქართველები არ იყვნენ და შემდეგ მოხდა მისი იბერიზაცია თუ ქართიზაცია, ეს მხარე და ამ მხარეში მცხოვრები „ქართიზებული ალბანელები“ - ქართველებად აღარ უნდა განვიხილოთ? აზერბაიჯანელები თუ გათურქებულ ალბანელებს თავიანთ წინაპრებად აცხადებენ, სომხები ასევე სომხებად - გასომხებულ ალბანელებს/უდიელებს, ქართველებს რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება ჰერების თავიანთ წინაპრებად გამოცხადებისა?

ფ. მამედოვა უფრო შორსაც წავიდა - მის წიგნში მოთავსებული რუკიდან და თანმხმლები ტექსტიდან ვარკვევთ, რომ ალბანეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდინარეების ალაზნისა და ივრის სათავეებიდან იწყებოდა (რუკის თანახმად საზღვარი ზედ მტკვრისა და არაგ-

ვის შესაყართან, ე. ი. მცხეთასთან გადიოდა. გავიხსენოთ: ოსებიც „ოსეთის“ სამხრეთ საზღვარს მცხეთასთან სდებენ), დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით კი მისი საზღვარი მტკვრისა და ხრამის შუამდინარეთს მოიცავდა, დებედის ხეობასაც. თან ეს საზღვრები, თურმე, სტრაბონს, პლინიუსსა და პტოლემეიოსს აქვთ მოცემული: «На северо-западе граница Албании проходила от верховьев рек Алазани, Иори, на западе, юго-западе до междуречья Храма и Куры включительно и далее по р. Дебед к верховью реки Акстафы и далее на юг (Страбон, XI, 4, 5; Плиний, VI, 36; Птолемей, V, 11, 2)»¹⁰⁴. კიდევ ერთი: ქალაქი *თელეზა* ანუ *თელავი* ძვ. წ. III საუკუნის, ძვ. წ. II-I საუკუნეების, ახ. წ. I-II საუკუნეების, ახ. წ. IV საუკუნის რუკებზე ალბანეთის შემადგენლობაშია შეტანილი, ალბანეთის ქალაქია. მხოლოდ ახ. წ. V საუკუნიდან ხდება ის ქართველთა საკუთრება. თუმცა საზღვარი ქართლისა და ალბანეთისა ზედ ქალაქის ძირშია გატარებული.

ქართველ მეცნიერთათვის კარგადაა ცნობილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსის ა. იუნუსოვის „სამეცნიერო გამოკვლევები“, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებულ ქართველებს (ე. წ. მესხეთელ თურქებს) მოძღვრავს და უნერგავს ყალბ ისტორიას, რომ ისინი წარმოშობით არა ქართველები, არამედ თურქები არიან და ამ ტერიტორიაზე თურქთა მიგრაცია ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დაწყებულია. ა. იუნუსოვის სათანადო პასუხი გასცა ცნობილმა ისტორიკოსმა *ვახტანგ გოილაძემ* და ამ შემთხვევაში აზერბაიჯანელი თურ-

¹⁰⁴ Ф. Мамедова. Кавказская Албания и албаны. - Баку. 2005. - с. 301.

ქის კრიტიკას სწორედ მას დავესესხებით. არ დარჩა თითქმის არცერთი თურქული ტომი, რომლების სხვადასხვა დროს ამ ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე არ დასახლებულიყოს. საამისოდ კი ის ამახინჯებს საისტორიო წყაროებს. აგრეთვე მთელ რიგ გამჭვირვალე ქართულ ტოპონიმებს (კოლა, აჭარა იგივე მაჯარა ყოფილა, მაქარწყალი, სარკინე, ბაზალეთი, ხონი, ხუნანი, ბასილეთი, გომარეთი, ონოგურისი, აწყური (იგივე აზგური ყოფილა), ვარხანი, სალიეთი, ქობულეთი, განძა, კიკინეთი, არანისი, ანჩა...) თურქულ ტოპონიმებად აცხადებს. ის ცალ-ცალკე ახსენებს მესხეთსა და საქართველოს „მეხეთის ტერიტორია - თავისივე „აღმოჩენის გამო იუნუსოვს უკვე თურქთა განსახლების არეალად წარმოუდგება და თურქთა შედარებით ნაკლებად დასახლებულ საქართველოდან გამოყოფს“¹⁰⁵. ძველ ჩამოსახლებულ ყივჩაღებს/თურქებს შემდეგ „ახალი ყივჩაყები“ დამატებიან, რომლებიც დავით აღმაშენებელს კომპაქტურად ჩაუსახლებია ძირითადად გარდაბნის რაიონსა და თანამედროვე სომხეთის ჩრდილო და აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ მხარეებში (სხვათა შორის, ცნობილია, რომ ყივჩაღთა დიდი ნაწილი საქართველოდან გავიდა. „იუნუსოვის დასკვნით, XII-XIII ს-ებში საქართველოში ჩამოსახლებული 300-350 ათასი ყივჩაღი ძირითადად იქ იქნენ ჩასახლებულნი, სადაც ახლა აზერბაიჯანელები და 1944 წლამდე „თურქი მესხები“ ცხოვრობდნენ. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, - დასძენს იუნუსოვი, - XII-XIII ს-ებზე ადრე საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ჩასახლდა ასი ათასობით ოღუზი, ნათელი გახდება, იმ დროის ქარ-

¹⁰⁵ ვ. გოილაძე. „მიწის ენა“ მრუდე სარკეში, თბ., 2007, გვ. 30.

თული წყაროები საქართველოს რატომ ყოფენ „ქართველობად“ (სიტყვასიტყვით „საკუთრივ საქართველო“) და დიდ თურქობად (სიტყვასიტყვით «Великий Туркестан»)¹⁰⁶. იუნუსოვის წარმოსახვით **ციფრალები ყოფილან სამცხე-საათაბაგოს მთავრები ჯაყელები**. ამასთან დაკავშირებით, ირონიით შენიშნავს ვახტანგ გოილაძე: „იუნუსოვმა რადგან ყვარყვარე ჯაყელი „გააყიფრალა“, ახლა საჭიროა მის მიერ შექმნილ „დიდი თურქესტანის“ ტერიტორიაზე (ე. ი. მესხეთში) ცალკე სამთავრო შექმნას“¹⁰⁷.

აზერბაიჯანული ეთნოცენტრიზმის კლასიკური მაგალითია ის, რომ თურმე ალბანელების ისლამიზაცია და თურქიზაცია საუკუნეების განმავლობაში ბუნებრივი გზით მიმდინარეობდა, იმ დროს, როდესაც გაგრიგორიანება და გასომხება რთული და მტკივნეული იყო: «Процесс исламизации и тюркизации албан происходил естественным путем на протяжении веков, а их григорианизация, арменизация носила весьма сложный, болезненный характер, т. к. процесс этот был насильственным и по времени очень поздним (после 1836 г.)»¹⁰⁸. ამ სტრიქონების ავტორი იმასაც აუწყებს მკითხველს, რომ XIX საუკუნეში უდიეებს ხან სომხებად წერდნენ და ხან ქართველებადო: «Как видно, статистика велась не в пользу удин, их частично приписывали то к армянам, то к грузинам, в то время как Варташене после 1828 г. постоянно жили удины»¹⁰⁹.

¹⁰⁶ ვ. გოილაძე. „მიწის ენა“ მრუდე სარკეში, თბ., 2007, გვ. 45-46.

¹⁰⁷ ვ. გოილაძე. „მიწის ენა“ მრუდე სარკეში, თბ., 2007, გვ. 50.

¹⁰⁸ У. Гаджиева, Деэтнизация кавказских албан в XIX веке. Баку, 2014, с. 81.

¹⁰⁹ У. Гаджиева, Деэтнизация кавказских албан... 2014, с. 86. ყარაბაღელი ალბანების გასომხებას სამი-ოთხი საუკუნის წინანდელ ამბად

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნეში არ ყოფილა არცერთი შემთხვევა რუსეთის ხელისუფლების მიერ უდიების ქართველებად აღრიცხვისა. როგორც ჩანს, ავტორი შეფარვით ინგილოებს გულისხმობს. პირიქით კი იყო - გასომხებასთან ერთად უდიების გათურქების პროცესიც მიმდინარეობდა. კავკასიაში რუსების შემოსვლამდე უდიები ცხოვრობდნენ შექის რაიონის სოფლებში *ბუმსა* და *სულთნუხაში*. 1886 წელს ამ ორი სოფლის მოსახლეობა უკვე თურქებადაა ჩაწერილი. საერთოდ, აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის სამი რაიონის (შექის, ოლუზის, ყაბალის) აზერბაიჯანულ მოსახლეობაში მეცნიერები ძველ ალბანელთა (უდიელთა) სუბსტრატულ ფენას ხედავენ. სხვადასხვა წყაროებით, XIX საუკუნის დასაწყისში უდიები ცხოვრობდნენ აგრეთვე სოფლებში: *ვარდნალიში*, *ბაიანში*, *ქიშში*. თანამედროვე ყაბალის რაიონის რიგ სოფლებში ცხოვრობდნენ მუსლიმები, რომლებიც თავს აზერბაიჯანის თათრებად გაიაზრებდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იცოდნენ უდიური ენა¹¹⁰. უ. გაიბულაევა აკონკრეტებს უდიების მიერ მართლმადიდებლობის მიღების ადგილს - ზაქათალას ოკრუგს. თურმე ქართლსა და კახეთში გადასახლებული უდიებიც გაქართველებულან¹¹¹. უდიების ქართლსა და კახეთში გადმოსახლების ფაქტი დადასტურებული არაა. მხოლოდ 1920-იანი წლების დასაწყისში გადმოსახლდნენ ისინი ყვარლის რაიონის სოფელ *ზინობიანში* და მათ აქ

მიიჩნევდა ვ. ველიჩკო (В. Л. Величко. Кавказ. Русское дело и между-племенные вопросы, М., 2003, с. 60, с. 137).

¹¹⁰ რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012, გვ. 237.

¹¹¹ У. Гаджиева, Деэтнизация кавказских албан... 2014, с. 86.

არავითარი დეეთნიზაცია არ განუცდიათ. გადმოსახლების მიზეზი კი სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება იყო.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ კახეთის მიწაზე, რომელიც XIX საუკუნიდან საინგილოს სახელს ატარებს, და, სადაც დაღესტნიდან ლეკები XVII საუკუნეში დასახლდნენ, თურმე, აქ ისინი თავისივე თანამომძეების ტერიტორიაზე მოვიდნენ, რომლებიც ამ მიწა-წყლის (ალაზნის ველის) ავტოქტონები იყვნენ: «Более реальным представляется вывод профессора Р. Магомедова, подтверждаемый историческими данными, о том, что **поток аварского населения из дагестана, имел место в XVI в., однако «спустившиеся с вершин горцы селились по соседству со старожилыми на левой стороне р. Алазани», т. е. аварцы, проживающие ныне в Закавказье, в основной своей массе - коренное, автохтонное население в долине Алазани**»¹¹². რა უნდა ითქვას აღნიშნულის შესახებ? პირველი ლეკური მოსახლეობა აქ ლევან კახთა მეფის დროს გაჩნდა. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: „ხოლო მთის ძირს არს ფ ი ნ ე თ ი, სადაც დასხნა ე მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდან ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა **ქ ა რ ი**»¹¹³. აქ ქართველთა მკვიდრობის შესახებ XIX საუკუნის არაქართველ ავტორს *ა. ფონ-პლოტოს* უნდა დავესესხოთ, რომელიც

¹¹² Хапизов Ш. М. Поселения Джарского общества, Махачкала, 2011, с. 24.

¹¹³ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 539.

ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველები ამ მხარეში შაჰ-აბასმა გაწყვიტა და განდევნა: «Турки и персы громят грузин с одной стороны, - дикие племена Дагестана с другой. Эти народы как бы оспаривали свое владычество над Кахетиєю. Между дагестанцами особенно отличались своими разбойничьими набегами лезгини. Кахетинцы упорно защищали свою родину, но, вот персидский шах Абасс Великий в 1616 и 1617 году до крайности опустошает Кахетию. Тогда лезгини спускаются с гор и заселяют Джарское ущелье»¹¹⁴.

კიდევ ერთხელ დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აგრესორი ხალხების მიერ ისტორიის გამოყენება, უფრო სწორედ ფალსიფიკაცია და მითოლოგიემების შექმნა ახალი მოვლენა არაა. ეს მეთოდი ნაცადი იყო რუსეთის იმპერიის მიერ. მიზანი ფალსიფიცირებული, ტყუილზე აგებული საისტორიო ლიტერატურის შექმნისა არის სხვისი მიწების ხელში ჩაგდება და ახალგაზრდობის ცრუპატრიოტებად აღზრდა. ამ მეთოდს მიმართავს დღეს ყველა ჩვენი მეზობელი. ასე, ამ პრინციპითაა შედგენილი, აზერბაიჯანისა და სომხეთის სასკოლო სახელმძღვანელოები, სასკოლო სახელმძღვანელოების სტანდარტები. ამ ქვეყნების მთავრობები ფინანსებს არ იშურებენ საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოში ფაქტობრივად კურსია აღებული მხოლოდ საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ფრაგმენტის შესასწავლად, ლიბერალი და არაპატრიოტი ახალგაზრდის აღსაზრდელად. ანალოგიური ვითარების

¹¹⁴ Фон-Плотто А. И. Природа и люди Закатальскаго округа . - Сборник сведений о кавказских горцах. Тф., 1869, Вып. IV, с. 8.

ფონზე კი საქართველოს სახელმწიფოს მომავალში მეცნიერული თავდაცვის საშუალებაც კი აღარ ექნება. ავტორს ერთი მიზანი ამოდრავებს - დაამტკიცოს, რომ ქვემო ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც XVII საუკუნის დასწყისიდან ეწოდა ბორჩალო, თურქული ელემენტი ცხოვრობდა ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VIII საუკუნიდან უწყევტად და სახელწოდება ბორჩალოც ასევე ძველია. ამ აბსურდული მოსაზრების დასადასტურებლად ხდება არა თუ წყაროების არასწორი ინტერპრეტაცია, არამედ არარსებული „ფაქტებისა და მონაცემების“ მოშველიება. ნაშრომი ძალზედ ტენდენციურია.

მოყვანილი ფაქტები არაკოლევიალური და არამეგობრული ქმედებაა და ასეთი ქმედებები მეცნიერების არა პროგრესს, არამედ რეგრესს უწყობს ხელს. სამწუხაროდ, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მთელს კავკასიაში ისტორიის ფალსიფიცირება და მითოლოგემების შექმნა დიდად მოდაშია, სხვადასხვა ხალხთა მკვლევარებისათვის საისტორიო ფაქტები, წყაროები, დოკუმენტები არ არსებობს. სასურველს რეალობად აცხადებენ. ასეთ „მეცნიერებს“ თითქოს ერთმანეთთან შეჯიბრი აქვთ გამოცხადებული. განსაკუთრებით აქტიურობენ ჩრდილოეთ კავკასიელი მეცნიერები. ასეთი ტენდენციების საფრთხე რუსეთშიც იგრძნეს და ამ პრობლემას სპეციალური წიგნიც მიუძღვნეს. წიგნში აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიის ეთნოცენტრიზმსაც შეეხნენ. აი, ორი ამონარიდი დასახელებული წიგნიდან: «В противовес официальной армянской историографии, свой национальный взгляд на историю вырабатывается в Азербайджане. Здесь также, как и в других регионах бывшего СССР, **проповедуется тюркский этноцентризм.** Здесь также ведутся поиски

схождений с шумерами, скифо-сакскими племенами, выявляются хатто- и хетто-тюркские параллели и т. д. Резко критикуя эти изыскания, известный историк, директор Института истории Национальной АН Азербайджана И.Г. Алиев не без оснований указывал на низкий профессиональный уровень многих историков, на дилетантизм и халтуру в научной и научно-популярной литературе Азербайджана»¹¹⁵. «Эти и другие подобные штудии преследует цель показать автохтонность тюркского этноса на территории Азербайджана (уже со II тыс. до н. э!), древность азербайджанского народа, сформировавшегося якобы еще в сасанидский период (III-VII вв.), абсолютную тюркскую этническую доминанту в Кавказской Албании. Крайнюю неграмотность продемонстрировал на этом поприще известный азербайджанский историк ... М. А. Исмаилов...»¹¹⁶.

ბოლო დროს აზერბაიჯანელ მეცნიერებს არც პოლიტიკოსები (დეპუტატები) ჩამორჩებიან და აცხადებენ, რომ ქართული კულტურის ძეგლი/სამონასტრო კომპლექსი - გარეჯი არა ქართული კულტურის, არამედ ალბანური (ე. ი. აზერბაიჯანელთა წინაპრების) კულტურის ძეგლია. აზერბაიჯანულ გამოცემებს არც რუსული გამოცემები ჩამორჩნენ. მაგალითად, «Независимая газета»-მ (27. 05. 2019) გამოაქვეყნა სტატია სათაურით «Кешикчидаг или Давид Гареджи?», რომლის ავტორიც გახლავთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი *ოლეგ კუზნეცოვი*. სტატიის შინაარსის გადმოცემას არ შევუდგებით. მხოლოდ რამდენიმე ფაქტს მოვიხმობთ: თურმე არა მხო-

¹¹⁵ М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. История в зеркале паранауки, М., 2006, С. 51.

¹¹⁶М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. 2006, С. 54

ლოდ დავით-გარეჯია ალბანური კულტურის მეგლი, არამედ თელავი, თბილისიც და თიანეთიც ალბანური ქალაქებია. დავით-გარეჯი კი არა დიოფიზიტური, არამედ მონოფიზიტური მეგლებია, ე, ი. წარმოადგენს ალბანურ კულტურულ მემკვიდრეობას. რაც ყველაზე საყურადღებოა მღვიმეებში არსებული ყველა ქართული ფრესკა და წარწერა XIX საუკუნეშია შესრულებული, როდესაც მეფის რუსეთმა აქ ქართული ეკლესია შეუშვა, რასაც, თურმე, აზერბაიჯანის ეროვნული აკადემიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს და არაფერი აქვს მას საერთო შუა საუკუნეებთან. უფრო მეტი, ამას ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო წრეებიც ასაბუთებენ. სხვა სიყალბეების მოხმობა აღარ ღირს.

ქართული წყაროებით დავით გარეჯი კახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ტერიტორიაზეა. ისტორიის სიღრმეში თუ ჩავიხედავთ, სამონასტრო კომპლექსი ისტორიული კუხეთის ტერიტორიაზეა, რომელიც ძირითადად თანამედროვე გარე კახეთს მოიცავს. სხვანაირად ესაა ივრის ხეობის ბარის მონაკვეთი. კუხეთი წყაროებში უკანასკნელად XII საუკუნეში მოიხსენიება. სხვადასხვა დროს კუხეთის ცენტრები იყო რუსთავი, კაწარეთი და ბოდბე. საისტორიო ტრადიციით, კუხეთის მკვიდრნი წმიდა ნინოს კაწარეთში მოუქცევია. ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო სწორედ ისტორიული კუხეთის ტერიტორიაზე ბოდბეშია დაკრძალული.

დავით გარეჯის კომპლექსის შესახებ ქართულ მეცნიერებაში არა მხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ რუსულ ენაზეც მდიდარი ლიტერატურა არსებობს. ჩვენ აქ არ შევუდგებით აღნიშნული სამონასტრო და ამავდროულად კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორი-

ის სრულად გადმოცემას, მაგრამ ჩვენი „ოპონენტების“ საყურადღებოდ მხოლოდ ზოგიერთ შტრიხს აღვნიშნავთ:

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს საფუძველი ჩაეყარა VI საუკუნეში, როდესაც სირიიდან საქართველოში 12/13 ასურელი მამა მოვიდა. მათი მიზანი საქართველოში ქრისტიანობის დაცვა და განმტკიცება იყო. ანალოგიური მიზნით ასურელი მამები ალბანეთსა და სომხეთშიც ჩავიდნენ. საქართველოში ჩამოსულთა შორის იყო *დავით გარეჯელი*, რომელიც წარმოშობით ანტიოქიიდან გახლდათ. ასურელ მამებს ხელმძღვანელობდა *იოანე ზედაზნელი*. ასურელმა მამებმა (*შიო მღვიმელი*, *იოსებ ალავერდელი*, *ანტონ მარტყოფელი*, *თადეოზ სტეფანწმინდელი*, *პიროს ბრეთელი*, *ისე წილკნელი*, *სტეფანე ქიზიყელი/ხირსელი*, *ისიდორე სამთავნელი*, *მიქაელ ულუმბოელი*, *ზენონ იყალთოელი*...) მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს საქართველოს ეკლესიის ისტორიაში - მათ ააშენეს მრავალი მონასტერი, რომელთა მიერ დაარსებული სავანეები მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებადაც იქცა. ასურელ მამათა მიერ დაარსებულმა სამონასტრო ცენტრებმა ხელი შეუწყვეს უდაბურ-უკაცრიელი ადგილების სამეურნეო ათვისებას. მათ შესახებ ფართო ჰაგიოგრაფიული ლიტერატურაც შეიქმნა¹¹⁷. ერთ-ერთი ასურელი მამა გახლდათ *დავით გარეჯელი*, რომელმაც გარეჯის კლდოვან მთებში დააარსა მონასტერი. თავდაპირველად ის და მისი მოწაფე ბუნებრივ გამოქვაბულში დაბინავდნენ. დავით გარეჯელი მო-

¹¹⁷ ბ. ლომინაძე. ასურელი მამები. - ენციკლოპედია „საქართველო“, ტომი 1, თბ., 1997, გვ. 240-241.

ნასტრის პირველი წინამძღვარი იყო. მან ააგო პირველი ეკლესიაც, რომელშიც დასაფლავებულია. დავით გარეჯელს უკავშირდება თბილისის მამადავითის ეკლესიის დაარსებაც. დავით გარეჯში მისმა მოწაფეებმა ახალი მონასტრები ააგეს. ქართულმა ეკლესიამ დავით გარეჯელი წმინდანად შერაცხა¹¹⁸.

დავით გარეჯა ადრინდელი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. კლდეში ნაკვეთი მონასტრებისა და საყუდებულოების რაოდენობა ოცზე მეტია. ბუნებრივ გამოქვაბულთა/მღვიმეთა უკმარისობის გამო, ინტენსიურად მიმდინარეობდა საცხოვრებელი სენაკების კლდეში გამოკვეთა. დავით გარეჯელის სიცოცხლეშივე ლავრას გამოეყო ორი სამონასტრო განშტოება: *დოდოსრქა* და *ნათლისმცემელი*. ხელოვნების ისტორიკოსთა აღნიშვნით, დავით გარეჯის წმიდა დოდოს მცირე ეკლესიის მხატვრობა საერთოდ ქართული ხელოვნების ძირითად მსვლელობას მისდევს¹¹⁹. დოდოს გუმბათოვანი ეკლესიის საკურთხეველის აფსიდის მხატვრობა VIII-IX საუკუნეებს ეკუთვნის. XII საუკუნეს განეკუთვნება გარეჯის „ნათლისმცემლის“ კლდეში გამოკვეთილი დიდი ტაძრის პირველი ფენის მოხატულობა. ამ ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია დავით აღმაშენებლის ძე დემეტრე I და მისი ძმა გიორგი III. საერთოდ ამავე ხანებში ჩაეყარა საფუძველი სასულიერო ცხოვრებას *ბერთუბნის* მონასტერში (სხვათა შორის,

¹¹⁸ ბ. ლომინაძე. დავით გარეჯელი. - ენციკლოპედია „საქართველო“, ტომი 2, თბ., 2012, გვ. 285.

¹¹⁹ შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 186.

სოფელი *ბერთუბანი* გარე კახეთში არსებობდა, სადაც აღნიშნული მონასტრის კუთვნილი გლეხები მკვიდრობდნენ. სოფელი დღეს პატარძელთანაა შეერთებული). დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ეპარქიალურად ემორჩილებოდა რუსთავის ეპისკოპოსს. გვიან ფეოდალურ ხანაში ცალკეული სამონასტრო კომპლექსები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო საგუშაგო და სასიგნალო კოშკებით. დავით გარეჯში დიდი სამონასტრო მშენებლობა *ილარიონ ქართველის* (822-875) დროს დაიწყო: *თეთრი უდაბნო, მრავალწყარო, შავი სენაკები, წამებული, ბერთა მთა, დაყუდებული, ჩიჩხიტური, განსაშორი, წინწყარო, საბერეები, პირუკულმარი, კოწახურა...* გამოიკვეთა ახალი ტაძრები; შეიქმნა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსები; გაძლიერდა მეურნეობა. XI საუკუნიდან დავით გარეჯი სამეფო კარის საკუთრება გახდა. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ზიანი მიაყენა მომთაბარე სელჩუკიან თურქთა შემოსევებმა, რომლებმაც მდინარე ივრის სანაპირო კუხეთი და, მათ შორის, დავით გარეჯის სანახები, სამოვრებად გადააქციეს. ეს მხარე გაუდაბურებისაგან დავით აღმაშენებელმა იხსნა. ამის შემდეგ, თითქმის ყველა ქართველი მეფე დავით გარეჯას დიდ ყურადღებას აქცევდა. გიორგი ბრწყინვალის დროს (XIV საუკუნის I ნახევარი) დავით გარეჯი მძლავრ ეკონომიკურ ძალად იქცა. თემურ ლენგის მრავალგზისი შემოსევის შედეგად დავით გარეჯში სამონასტრო ცხოვრება მოიშალა¹²⁰.

¹²⁰ დავითგარეჯა. - ენციკლოპედია „საქართველო“, ტომი 2, თბ., 2012, გვ. 282-285.

გარეჯი მოხსენიებულია 1260 წლის „დაწერილში კახა თორელისა რკონის ღვთისმშობლისადმი“: „და მუნებური საქმე წინამძღუარმან, მოძღვარმან, დეკანოზმან და ერთობილთ კრებულმან და დაყუდებულთაცა ქუაბთა შინა მსხდომთა, ერთად იურვოს ყოველმან. ვითა გ არ ეჯისა საქონებელნი არიან, ეგრე იურვებოდეს ხოვლური საქმე“; „ამის მეჭურჭლეთ-უხუცესის კახასაგან დაწერილსა მისის ნასყიდის სოფლისათჳს, რომელი შეუწირავს მისის მონასტრისად, ჩუენ, სამისავე უდაბნოსა გარეჯისასა“¹²¹. პირველად როდისაა ქართულ დოკუმენტებში დავით-გარეჯა მოხსენიებული? როდის და 1247-1250 წლებით დათარიღებულ „დაწერილში გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი“. მხოლოდ საბუთის ერთ ნაწილს შემოგთავაზებთ: „...ესე, ვითა ერისთავთ-ერისთავსა, ქართლის ერისთავსა გრიგოლს.... თავისა ხელით დაუწერია და წმინდისა შიოსდა ნასყიდი უდაბნოსა მისისაგან ძველსავე წესსა ზედა გაუთავისუფლებია სოფელი გავაზელთაი, კოტმითურთ, მოწამენი ვართ ჩუენ, სამნივე უდაბნონი გარეჯისანი“¹²². საინტერესოა, ქართველებმა ეს დოკუმენტიც XIX საუკუნეში ხომ არ შექმნეს, რომ სხვისი ძეგლი მიეთვისებინათ? ეს ხუმრობით. იქნებ ვინმემ თურქული ან ირანული დოკუმენტი მაინც დაგვიდოს, რომელშიც მის არქართულობას დაადასტურებენ? რაც ახლა ხდება ესაა აზერბაიჯანული ეთნოცენტრიზმის კლასიკური გამოვლინება!

¹²¹ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII საუკუნეები, თბ., 1984, გვ. 150, 15.

¹²²ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII საუკუნეები, თბ., 1984, გვ. 127.

1424 წელს ალექსანდრე I-მა მოშლილი დავითის ლავრა და დოდორქა, კუთვნილ ყმა-მამულთან ერთად, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო საყდარს შესწირა: „ჩუენ, გამაერთიანებელმან ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერისამან ... მეფეთ-მეფემან ალექსანდრე შევსწირეთ და მოვააწსენეთ გარეჯისა ორივე უდაბნონი და სრულიად გ ა რ ე ჯ ი ს ა სახლი უნაკლულოდ...“ „და შესავალ-გამოსავლითა] მცხეთას და თქუენ წმინდასა ქათალიკოზსა“; „... ჩუენ მიერ სასურველ-საწადელსა ძესა ჩუენსა, მონაზონსა დავითს ორივე უდაბნონი გარეჯისა და სრულიად გარეჯისა სახლი და მისი შესავალი, რაც და რასთანაც მისი საქონებელი არის ყოვლითურთ უკლებად“¹²³. 1428 წლის ისევ ალექსანდრე მეფის შეწირულობის წიგნი: „მე, მეფეთა-მეფემან ალექსანდრე შევსწირეთ... საგარეჯო მთასაქათი და მთას იქითი სოფლები: *ორკოშანი, ბერთუბანი, თუაღნი, გიორგიწმინდა, ტაძრები, არივლი, ვერანა, კეხთა, თოლეჯი, ხუადაშენი, ვანთა, აკურთა...* ჩუენთა პაპათა და ნათესავთაგან გამართული უდაბნონი გ ა რ ე ს ჯ ი ს ა ნ ი ჟამთა ვითარებითა აგარიანთა ხელისაგან მოშლილ იყო და ჩუენ... სანაცვლო მამული დავიჭირეთ და თქუენ *საგარეჯო მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ...*“¹²⁴. 1438 წელი: ისევ ალექსანდრე მეფის სიგელი: „მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისა და შლილობისაგან მცხეთისა და გ ა რ ე ჯ ი ს ა უდაბნოსა მამულთა მათნი მემზღურენი შემოეცილნენ, და როცა არაგუსა აქათ მცხეთისა მამულნი იყუნეს,

¹²³ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, თბ., 2013, გვ. 134-135.

¹²⁴ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, თბ., 2013, გვ. 151.

მეყმეობით რომელთამე მოიტაცნეს... და ფიცითა გარდაწყდა და უ და ბ ნ ო ს ვ ე დარჩა. ამას გარეთ, რაცა გ ა რ ე ს ჯ ი ს ა უდა-ბნოსა მამულნი არიან და გუჯრები ძეს მთას იქითისა და აქეთისა, რაგუართაცა ამას წინად ჩუენთა გუართაგან ხელშეუვალნი ყოფილან, მით წესითა დაგიმტკიცეთ და მოგახსენეთ...¹²⁵“. 1479 წელი: „მეფემან ალექსანდრე ... ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ორნივე უდაბნონი გ ა რ ე ს ჯ ი ს ა ნ ი – დავითის საფლავისა მრავალთისა და დოდორქისანი. თქუენ წმიდასა საყდარსა დედაქალაქსა მცხეთას ... გ ა რ ე ს ჯ ი ს ა სახლი მისითა შესავლითა, მამულეებითა, სოფლებითა, შენითა და უშენითა. მთითა, ბარითა, რანიცა გარეჯისა უდაბნოთა სიგელნი და გუჯარნი ჰქუანან... შემოგუიწირავს...¹²⁶“

1464 წლის წიგნით ირკვევა, რომ გარეჯის წინამძღვარი ყოფილა „ვარსიმე იათორისშვილი შოთაძე“. მეფეს ის და მისი ძმები (სულა, დემეტრე, ნარიმანი) და შვილები (შოთა და ყურუმში) გარეჯისათვის შეუწირავს: „რაგუარაც თქუენთა გუართა გ ა რ ე ს ჯ ი ს ა უდაბოთათვის თავი და მამული შეუწირავს, აგრეთვე იმავ მამულთა ჩუენ შეგვიწირივხართ. ასე რომე, უდაბნოსა მისი მისახდომი არა-რა დააკლდეს და მიხუდებოდეს...“¹²⁷.

ვფიქრობ, საკმარისია XV საუკუნის საბუთების მოხმობა. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ვისი წინაპრებიც ქართუ-

¹²⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი III, XIV-XV საუკუნეები, თბ., 2013, გვ. 208.

¹²⁶ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი III, გვ. 242-243.

¹²⁷ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი III, გვ. 139.

ლი სულიერებისა და კულტურის ცენტრს ანადგურებდნენ („უდაბნონი გარესჯისანი ჟამთა ვითარებითა აგარია-ნთა ხელისაგან მოშლილ იყო“), ახლა ისინი იჩემებენ მას.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე იყო. ქართლისა და კახეთის სამეფოების საზღვარი დავით გარეჯის სიახლოვეს გადიოდა.

1616-1617 წლებში შაჰ-აბას I-ის მოლაშქრეებმა დაარბიეს დავით გარეჯის მონასტრები, რასაც მოჰყვა მათი გაუქმება. 1639 წელს თეიმურაზ I-მა დავით გარეჯი ისევ აღადგინა. 1692 წელს სამონასტრო კომპლექსი ახლა ლეკებმა დაარბიეს და ბერები ამოწყვიტეს. ლეკების თავდასხმის ობიექტად ის 1772, 1791, 1851 და 1857 წლებშიც იქცა.

1782 წელს დავით-გარეჯაში დაკრძალეს *ქეთევან პაპუნას ასული ანდრონიკაშვილი* - მეფე გიორგი XII-ის პირველი მეუღლე. ეს ის ქეთევან დედოფალია, რომელსაც *ღართისკართან* 500 მოთარეშე ლეკი დაუხვდა. დედოფალს თან 300 შეიარაღებული მორიგე ჯარის რაზმი ახლდა. ქალბატონმა თავად უმეთაურა მორიგე ჯარის რაზმს და ლეკები სასტიკად დაამარცხა. კითხვა ისმის: საქართველოს დედოფალს სხვათა ტერიტორიაზე და არაქართულ სამონასტრო კომპლექსში დაკრძალავდნენ ქართველები?

XVII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო დავით გარეჯის აღორძინება, რომელიც უკავშირდება *ონოფრე მაჭუტაძის* წინამძღვრობის პერიოდს (1690-1736). ამ დროს მონასტერმა შეიძინა მრავალი ახალი და დაიბრუნა ძველი დაკარგული მამულები; გამოიკვეთა ეკლესიები, სა-

ტრაპეზოები, სენაკები, მარნები... განახლდა ლიტერატურული საქმიანობა.

XVIII საუკუნეში სამონასტრო კომპლექსი კვლავ სამეფო საკუთრებად იქცა. 1699 წელს წინამძღვარს *ონოფრე მაჭუტაძეს* და ერთობილ გარესჯის კრებულთ მეფე *ნაზარალიხანი* უნიშნავს წლითი-წლად ქართლის შემოსავლიდან ასს კოდს პურს, ათს საპალნე ღვინოს. რაც ყველაზე საყურადღებოა, დავით გარეჯს შესაწირავს უნიშნავენ სამეგრელოს მთავარი და რაჭის ერისთავი. პირველი მათგანის (ოტია დადიანი) 1748 წლის შესაწირავში ვკითხულობთ: „გარესჯისა მთასა უღალსა დამკვიდრებულო... მამაო წმიდაო დავით... შემოგწირეთ მცირე რაჭთმე შესაწირავი წლითი-წლად სამარადისოდ ათი ლიტრა სანთელი... ესე ჩვენ მიერ შესაწირი ყოველწელ მოიხსენენით...“¹²⁸. XVIII საუკუნის II ნახევარში წელიწადში ათ კვიცს სწირავს დავით გარეჯის „მელავრე მამებს“ რაჭის ერისთავი როსტომი¹²⁹.

გვიან შუა საუკუნეებში გარეჯი/უდაბნო/დავით გარეჯი თითქმის ასჯერ მაინცაა მოხსენიებული დაბეჭდილ საისტორიო საბუთებში. მრავალჯერ გვხვდება აგრეთვე გარეჯის ცალკეული მონასტრები. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დოდოს მონასტერი/დოდოს რქა. 1747 წლის საბუთით „განწესება დოდოს მონასტრის მამულების საზღვრებისა“ ჩამოთვლილია მონასტრის მა-

¹²⁸ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), I, შ. ბურჭანაძის გამოცემა, თბ., 1958, გვ. 154-155.

¹²⁹ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... 1958, გვ. 116.

მულები: სახვნელი მიწები, ხოდაბუნები, ზვრები¹³⁰. მართალია, საბუთში სოფელი არაა დასახელებული, მაგრამ მითითებული გვარების მოხედვით (*ხუციშვილი, მათირიშვილი, გრატიაშვილი, ქელივიძე, ქურხული, ოტიაშვილი, გილაშვილი, კუჭუაშვილი...*) ირკვევა რომ დოდოს მონასტერს მამულები საგარეჯოში ჰქონია. თვით ტოპონიმი „საგარეჯო“ კი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ის გარეჯის კუთვნილი იყო, რომელსაც ადრე *თვალის* ერქვა. XVIII პირველი მეოთხედის აღწერით, სოფელ თვალში მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ „წმინდის დავითის ყმები“. 1747 წლის ნუსხით დოდოს მონასტერს თვალში/საგარეჯოში დიდი რაოდენობით ეკუთვნოდა სახნავი მიწები, ხოდაბუნები, ზვრები, მიწები¹³¹. გარეჯის ამ მონასტერს დიდი რაოდენობით ჰყავდა ყმები კახეთის სოფელ აკურაშიც¹³². 1750 წელს მეფე თეიმურაზს „მრავალმთის გარეჯის დოდოს მონასტრის ეკლესიისათვის“ ქალაქ თბილისში შეუწირავს „სასახლის ადგილი სიონს აქათ, ნათლისმცემლიან დავითგარეჯელთ სასახლემდინ“ „დოდოს წინამძღვარმა, როგორც უნდა, სასახლე ააშენოს, რო როიცა ქალაქს ჩამოვიდოდნენ, სადგომი საძებრათ არ ექნებოდესთ“¹³³. ციტირებული საბუთიდან ირკვევა, რომ თბილისში სასახლები დავით

¹³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 795-796.

¹³¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 91-92.

¹³² ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, თბ., 1967, გვ. 38, 88.

¹³³ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს., შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, 2019-220.

გარეჯის სხვა მონასტრებსაც ჰქონდა. 1778 წლის საბუთის თანახმად, „დოდოს მონასტერი... ალო^არდა და უმკვიდრო იქმნა და წინამძღუარი მისი სვიმონ და კრებულნიცა მისნი მისითა სამკაულითა და მამულითა და ყმათა დავითგრაჯის მონასტერში შეხუდით“.

საბუთების მოხმობა განუსაზღვრელად შეიძლება, რომლითაც ირკვევა, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლესი მისი დაარსების დღიდან საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო, აქ არსებული ყველა მონასტერი ქართული სახელწოდების მატარებელი იყო, აქ მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები, აქ იქმნებოდა საეკლესიო ლიტერატურა. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აქ არ შეწყვეტილა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. კომპლექსში დაცული იყო ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექცია. დავით გარეჯი მტერთაგან ისეთსავე აოხრებას განიცდიდა, როგორც დანარჩენი საქართველო; ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ დავით გარეჯს ასევე თავისად მიიჩნევდნენ დასავლეთ საქართველოს მთავრები და თავადები, ამიტომაც სამონასტრო კომპლექსისა თუ მისი ცალკეული მონასტრისათვის ისინი შესაწირავსაც არ იშურებდნენ. მონასტრებზე შესრულებული ფრესკები ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშებია, რომლებზედაც არა მხოლოდ სასულიერო პირები, ქტიტორები, არამედ საერო პირებიც არიან გამოსახული. სამხატვრო შემოქმედების დიაპაზონი IX-XVII საუკუნეებით თარიღდება. განსაკუთრებით ყურადსაღებია სამონასტრო მონუმენტულობებში წარმოდგენილი ადგილობრივ და ეროვნულ წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ვრცელი ციკლები. აქ იყვნენ გამოსახული საქართველოს მეფეები: *ბაგრატ III, დემეტრე I, დავით*

აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა გიორგი, დემეტრე II თავდადებული¹³⁴. დავით გარეჯში დიდი რაოდენობითაა ქართული წარწერებიც, რომლებიც ასევე ადასტურებენ მის ქართველი ხალხისადმი კუთვნილებას. წარწერები არის ფრესკული, ლაპიდარული, რომელთა გვერდით ბევრია ადგილობრივი მოწესეებისა და სალოცავად მისულ პილიგრიმთა ნაკაწრი წარწერები და ნახატები. როგორც სამართლიანად შენიშნავენ „არამართო საკუთრივ გარეჯის, არამედ XII-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და სამოხელეო წყობის, სახელდობრ მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთუხუცესის სახელოთა შესასწავლად“¹³⁵. „მრავალმთის მონასტერში განსაკუთრებული სიმრავლითა და მრავალგვარობით გამოირჩევა კლდის შელესილობაზე წვეტიანი მჭრელი იარაღითა და კალმით ამოკაწრული წარწერები, ე. წ. გრაფიტები, ასევე მეღნით ან ... საღებავით შესრულებული მინაწერები, რომლებიც ასწლეულთა მანძილზე ადგილობრივ გარეჯელ მოწესეებსა თუ იქ მისულ პილიგრიმებს ეკუთვნის. მრავალმთის მონასტერში ფიქსირებულია ამ სახის უამრავი წარწერა - მათი რიცხვი დღეისათვის დაახლოებით ათასს აღწევს“¹³⁶. დავით გარეჯის ეპიგრაფიკის რამდენიმე ნიმუში: 1690-1699 წწ. - „ქ. მოიხსენე ქ. მოვედით ... მე, ქვის მთლელი პაპუა, გალავანი და სენაკი ორი წმინდის დავითის წინამძღრობას მაჭუ-

¹³⁴ დავითგარეჯა. - ენციკლოპედია „საქართველო“, ტომი 2, თბ., 2012, გვ. 282-285.

¹³⁵ გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, ნაკვეთი პირველი. წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, თბ., 1999, გვ. 6.

¹³⁶ გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, 1999, გვ. 7.

ტაძის ონოფრესასა, მეფობას ერეკლესასა“; XVII-XVIII სს. - „ქ. ღმერთო, შეიწყალე სვეტის ცხოვლისა დეკანოზიშვილი, საგარეჯოს ნაცვალი იესე და წმიდა დავით, შენ დაიცევ მემარნე კათალიკოზისა მუჟიაშვილი პაპია, მუმლაური გიორგი, ბასილაშვილი პატა“; 1696-1700 - „ქ. მოველთ მე ენდრონიკასშვილი პატა, ქიზიყის მოურავის შვილი აქ სალოცავად, და ვინც მობანდეთ, მე დღეგრძელობას მიბძანებდეთ, პირველ ყოფილვარ“; XVI ს. - „ქ. ღმერთო და წმიდაო დავით გარეჯელო, შეიწყალე ზალჯომარდიძე“¹³⁷. 1424 წარწერაში გარეჯის უდაბნოს მონასტრის წარწერაში მოხსენიებულია დვალთა ქორებისკოპოზი აღნია ლაფირიშვილი: „ქ. წმიდაო დავით, შემიწყალე ფრიად საწყალობელი დვალთა ქორებისკოპოზი ძალითა შენითა დღესა მასა განკითხვისასა, ლაფირიშვილმან აღნიამ“¹³⁸. დვალეთი საქართველოს უკიდურეს ჩდილოეთში მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, რომლის ქორებისკოპოზი (როგორც ჩანს, სალოცავად უკიდურეს სამხრეთის სამონასტრო კომპლექსშია მისული), წარწერას აქ აკეთებინებს. რა ქართველი სასულიერო მოღვაწე მაინცდამაინც რაღა სხვათა სამონასტრო კომპლექსში წავიდოდა სალოცავად?

დავით გარეჯი ქართულ ხალხურ პოეზიაშიც იხსენიება, რაც კიდევ ერთელ ხაზს უსვამს მის დიდ მნიშვნელობას ქართველი ხალხისათვის. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემოთ მოყვანილი ლექსი XVIII საუკუნეშია შექმნილი, რადგან მასში მოხსენიებულია იმდროინელი გამოჩენილი მგალობელი *გერონტი ვაჩნაძე*: „წმიდა და-

¹³⁷ გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, გვ. 121, 132, 153, 277.

¹³⁸ გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, 1999, გვ. 99-100.

ვითის უდაბნო, // გამოკვეთილია კლდისაო, // შიგა სუფევენ ბერები, // მადიდებელნი ღვთისაო, // წირვა და ლოცვა იმათი, // გალობა გერონტისაო¹³⁹.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი როგორც ვნახეთ ქართველთა შემონაქმედია, მაგრამ, ისევე როგორც სხვა სფეროში საბჭოთა ბოლშევიკურმა რეჟიმმა თავისი კვალი ამ საქმესაც დაამჩნია – საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარი ზედ ძეგლზე გაატარა და რამდენიმე მონასტერი იმ მხარეს აღმოჩნდა, რომლის შექმნაშიც აბსოლუტურად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. უმადურები ვერ ვიქნებით; საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ 1925 წლებში დასვა ეს საკითხი. „ხსენებული ძეგლების გა-პარტახების თავიდან ასაცილებლად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა 1925 წლის 15 იანვარს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე აღძრა შუამდგო-მლობა, რათა ხსენებული მიდამოები, დავით-გარეჯის მონასტრის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, დაბრუნებოდა საქართველოს. ... საქართველოს ცაკი ამ ტერიტორიის დასაბრუნებლად ეკონომიკურ მიზეზებსაც ასახელებს და ხაზს უსვამს დავით-გარეჯის სამოვრების მნიშვნელობას საქართველოსათვის¹⁴⁰. საქართველოს იმჟამინდელ ხელმძღვანელობას ამ საკითხზე წერილი 1925 წლის 8 დეკემბერსაც გაუგზავნია და რადგან ძეგლს კომუნისტები არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ამდენად მასში ყურადღება ძირითადად საქართველოს მესაქონლეთათვის ტერიტორიის სამეურნეო-ეკონომიურ ასპექტებზეა საუბარი. საკითხი 1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს განუხილავს, რომლის დადგენილები-

¹³⁹ წმიდა დავით გარესჯელის უდაბნო. შედგენილი მღუდელ-მონაზონის კალისტრატესაგან. ტფ., 1884, გვ. 3.

¹⁴⁰ ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭივიჭილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან), თბ., 2014, გვ. 151.

თაც საქართველოს ტერიტორიის კუთვნილი ნაწილი კვლავ დარჩა აზერბაიჯანის შემადგენლობაში¹⁴¹. საერთო ჯამში აზერბაიჯანს დაუთმეს ქართული მიწების საკმაოდ დიდი რაოდენობა (3.627 კვ. კმ.)

რეალური ისტორიისაგან შორს არიან თურქი და ირანელი მეცნიერებიც. ირანელებს ისევ თავის კუთვნილ ტერიტორიად მიაჩნიათ აღმოსავლეთი საქართველო, თურქებს კი – დასავლეთი საქართველო. როგორც ჩანს, ისინი 1555 წლის ამასიის ზავის იმპერიალისტური ამბიციებით არიან შეპყრობილი. ისტორიულ ტაო-კლარჯეთზე ასევე მუდმივი პრეტენზია გააჩნდა ბიზანტიის იმპერიას. თურქებმა ამ მხრივაც ბიზანტიელთა მემკვიდრეებად გამოაცხადეს თავი. თურქი ისტორიკოსები ადგილობრივ ქართველებს მოძღვრებენ, რომ შუა აზიიდან არიან მოსული, რომ ქართული კულტურის ძეგლები ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ყოველგვარად მიერაა შექმნილი და ა. შ.

¹⁴¹ ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. ყოველი საქართველო... 2014, გვ. 148-153.

ბოლოთქმა

ამრიგად, ასეთია ძალიან მოკლედ ჩვენი მეზობლების, კავკასიელი ხალხების მეცნიერთა (ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები) ისტორიის გაყალბების ფაქტები. უნდა ითქვას, რომ ხშირად მეზობლები ქართველ მეცნიერებსაც უყენებენ პრეტენზიებს, აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერების ურთიერთბრალდებებს ხომ საზღვარი არა აქვს. სომხურ ისტორიოგრაფიაში ქართველთა ტენდენციურობას აღნიშნავენ სიტყვებით „ქართული ნაციონალური ისტორიოგრაფია“, თითქოს სომეხი ისტორიკოსები ობიექტურ ისტორიას წერენ და ნაციონალურ ინტერესებს არ გამოხატავენ! მათი მხრიდან ხშირია ცეკვის ცალკეული ელემენტების მითვისება. იგივე ითქმის საკვები კულტურების შესახებ (ლავაში, ტოლმა, ხაშლამა, ჩიხირთმა, ფლავი, ჩურჩხელა, სულგუნი, გუდის ყველი...). კავკასიის ხალხებს და მათ მეცნიერებს ავიწყდებათ, რომ ისინი საერთო მახლობელი აღმოსავლეთის კულტურის ნაწილს წარმოადგენენ, რომ კულტურის ერთი ელემენტი გადადიოდა ერთი ხალხიდან მეორეში. ავიღოთ, ლავაში. თუ მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების ეთნოლოგიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ლავაშს აცხოვენ, ეგვიპტეშიც, ავღანეთშიც, ირანშიც, საქართველოშიც, აზერბაიჯანშიც, სომხეთშიც. მაგრამ სად შეიქმნა ის პირველად? ვინ გამოაცხო პირველად? რა თქმა უნდა, მიწათმოქმედმა ხალხმა. ეს იყო ირანული კულტურა, რომელიც მალევე გავრცელდა კავკასიაშიც. ფლავიც ირანული კულტურის ნაწილი იყო. მაგრამ ისიც ფართოდ იყო ისტორიულად გავრცელებული კავკასიის ხალხებშიც. ყაურმაზე პრეტენზია კი ვერ

ეწება მიწათმოქმედ ხალხებს, ის მომთაბარეთა საკვები იყო თავდაპირველად. სიტყვაც თურქულია. მაგრამ ყველა ხალხს თავისი ნიუანსი შეჰქონდა მასში, თავისებურად აკეთებდა. მუჰაჯირად წასულმა მუსლიმმა ქართველებმა პირი ვერ დააკარეს თურქების ყაურმას. რატომ? იმიტომ, რომ მათი ყაურმის შემდეგ, მას გემო აღარ ჰქონდა. ქართველთა გაკეთებულ ყაურმას რა აძლევდა უკეთეს გემოს? – სანელებლები და მწვანელები. სანელებლები და მწვანელები კი უცნობი იყო მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე თურქულენოვანი ხალხებისათვის. დღეს თურქეთში ყაურმა უკვე მწვანელებითა და სანელებლებით კეთდება. ასე ამდიდრებდნენ თავიანთ კულტურას მეზობელი ხალხები.

უნდა შევხვით კიდევ ერთ საკითხს, რომელიც, ეთნოცენტრიზმთან არაა დაკავშირებული – საქმე ეწება ქართველ ავტორთა უნებლიე შეცდომებს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „საქართველოს ისტორიული ატლასი“, რომელიც ნამდვილად საშვილიშვილო და მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოცემაა. პირველივე რუკაზე – საქართველო ძვ. წ. VI-III საუკუნეებში – დვალეთისა და თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები დატანილი არაა. იგივე უნდა ითქვას რუკაზე „საქართველო ძვ. წ. II-I საუკუნეებში“. ორივე რუკაზე საერთოდ არ აწერია არც დვალეთი და არც თუშეთი. მესამე რუკაზე „საქართველო I-II საუკუნეებში“, დვალეთი და თუშეთი დატანილია, მაგრამ საქართველოს საზღვრებს გარეთ. იგივე ვითარებაა ასახული მომდევნო ორ რუკაზე და მხოლოდ რუკაზე „საქართველო V საუკუნის მეორე ნახევარში“, ორივე მხარე საქართველოს სახელმ-

წიფოს ფარგლებში¹⁴². კითხვა ისმის: რა წყაროები გაგვაჩნია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეს ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე საქართველოს შემადგენლობაში არ იყო? ასეთი წყარო არ არსებობს. მეზობელი კავკასიელები დვალებსა და თუშებსაც ხომ არაქართველებად აცხადებენ. გამოდის, რომ ეთნოცენტრიზმით შეპყრობილ მეზობელ ისტორიკოსთა წისქვილზე ვასხამთ წყალს. V საუკუნის მეორე ნახევრის რუკაზე ბოლნისთან ახლოს, აღმოსავლეთით დატანილია *ცურტავი*. კი მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ცურტავის ადგილმდებარეობა დადგენილი რომ არაა? ის ხომ უფრო სამხრეთით მდებარეობდა. აქვე თერგის ხეობის სათავეს აწერია „ხევი“ V საუკუნის პირველი ნახევრის რუკაზე. მომდევნო რუკებზე თერგის ხეობის სათავეს სამართლიანად აწერია „წანარები“. კი მაგრამ ამ დროს რომ არ ჩაენაცვლა სახელწოდებას „წანარეთი“ „ხევი“? ამას თვით ატლასიც ადასტურებს, მომდევნო რუკებზე X საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით კვლავ „წანარეთი“/„წანარებია“ დატანილი.

ნაშრომის სათაურში გვხვდება სიტყვა „ეთნოცენტრიზმი“. წერისას ვფიქრობდი, რომ მის ტყვეობაში მეც არ მოვქცეულიყავი. მაქსიმალურად ვცდილობდი ობიექტური ვყოფილიყავი. სოციალურ ქსელში ვუყურე აზერბაიჯანელთა მიერ შექმნილ ფილმს, რომლის სათაურია „სომხები – კულტურის ქურდები“. ფილმში ხაზი ესმის იმას, რომ ყარაბაღში არსებული საეკლესიო არქიტექტურა არაა სომხური, რომ ის ალბანურია (ისევე როგორც ქა-

¹⁴² საქართველოს ისტორიული ატლასი, მეორე შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, დ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ., 2016.

რთული კულტურის ძეგლებს *ქურმუხს*, *დავით გარეჯის* აცხადებენ ალბანურად). ყარაბახის ტერიტორიაზე სომხებმა ალბანელების ასიმილაცია ადრე შუა საუკუნეებში მოახდინეს. ადრე შუა საუკუნეებამდე აგებული ძეგლები თუ ალბანურია, იგივე შეიძლება ითქვას, შემდეგ აგებულ ძეგლებზე? ბუნებრივია მეცნიერი ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში არ უნდა ჩავარდეს.

რამდენადაა მეცნიერული როდესაც ესა თუ ის ხალხი წინამორბედი ხალხის ისტორიასა და კულტურას საკუთრად აცხადებს? აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქული ეთნიკური ერთობის დამკვიდრებამდე ალბანელები და ირანულენოვანი მოსახლეობა (თათები, თალიშები) ცხოვრობდნენ, სომხეთის ტერიტორიაზე ურარტელები მკვიდრობდნენ, რომლებმაც მაღალი კულტურა შექმნეს. ისმის კითხვა, აზერბაიჯანელები არიან ალბანელების მემკვიდრეები, სომხები – ურარტელების, ანდა თურქები – ბიზანტიელების? აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოქმნილი ეთნოსები ხომ სულ სხვანი არიან, განსხვავებული ენითა და კულტურით! ამიტომ არაეთიკურია არა მხოლოდ მეზობელი ხალხების ისტორიისა და კულტურის მითვისება, არამედ – წინამორბედი და აწ გამქრალი ხალხებისაც.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კავკასიაში დღეს ისტორიული ეთნოცენტრიზმის ერთგვარი ვირუსია გავრცელებული, მითოლოგემების შექმნას საზღვარი არა აქვს. მასშტაბები იმდენად დიდია, რომ კითხვა ისმის: ღირს კი ამ ცრუ ისტორიასთან შეჭიდება, ვინმე ანგარიშს გაუწევს ობიექტურ მეცნიერებს? ცრუმეცნიერთათვის ფაქტობრივად აღარ არსებობს მეზობელი ხალხის წერილობითი ძეგლები, მატერიალური კულტურის ძეგლები,

რომლებიც ერთ ჭეშმარიტებას დაჟღერებენ. ვითარება თანდათან უფრო ღრმავდება, გამოსავალს კი არავინ ეძებს, ყალბი ისტორიის შემქმნელი კი არ მუხრუჭდება. ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ცრუმეცნიერება აღწევს მმართველთა შორის. მმართველი ეშელონების წარმომადგენლები კი უხვად აფინანსებენ სიყალბეების შემქმნელ „მეცნიერებს“. საქართველოში კი ამ მხრივ რა მდგომარეობაა? - კატასტროფიული. აქცენტი კეთდება იმაზე რომ საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა სკოლებში არ ისწავლება - მიზანი მსოფლიო მოქალაქის აღზრდაა. მიგვაჩნია, რომ მსოფლიო მოქალაქეობა და პატრიოტიზმი ერთმანეთს არ გამორიცხავს, წინაპრებმა რაღაცნაირად მოახერხეს, რომ ჩვენ მათ შთამომავალთ ამ მიწაწყალზე, რომელსაც საქართველო ჰქვია, დღეს გვეცხოვრა. ისინი იბრძოდნენ, მაგრამ ბრძოლასთან ერთად შემოქმედებითი საქმიანობა არ შეუწყვეტიათ. ახლა წინაპართა შექმილ ისტორიასა და კულტურას სხვა გვედავება. მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქრია ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფების მოვალეობა?

შემორჩენილ სამეცნიერო დაწესებულებებში კი, მიზერული ხელფასების გამო, ახალგაზრდა აღარ მიდის და ამ ახალგაზრდების მისაღებად არც ადგილები არსებობს. მალე ქართველებს აღარ გვეყოლება მკვლევარები, რომლებიც ცრუმეცნიერებს პასუხს გასცემენ.

ჩვენ ვეკითხებით ზემოაღნიშნული გამოცემების ავტორებს და მათს მხარდამჭერებს - ასე გავაგრძელოთ ბატონებო მეზობელი მეგობარი ქვეყნის „დაპყრობა“ ისტორიის ფურცლებზე და მოვამზადოთ ისტორიულ-იდეოლოგიური საფუძველი მის წინააღმდეგ ერთ მშვენიერ დღეს აგრესიის წამოსაწყებად? თუ ასეა, მაშინ გვეყოს გა-

მბედაობა და ვთქვათ რომ ჩვენ აღარ ვართ პარტნიორი და მეგობარი ქვეყნები, რომლისკენაც მოგვიწოდებენ ჩვენი სახელმწიფოების ხელისუფლებები, ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი ისტორია და მეცნიერული კეთილსინდისიერება. ასე რომ, კავკასიელთა უმრავლესობა ცდილობს გაყალბებული ისტორია უზნეო პოლიტიკოსთა იარაღად აქციოს.

ისტორიოგრაფიაში ქართველთა მიმართ წარმართული ეთნოცენტრიზმი ხომ არაა განპირობებული ქართველების კატასტროფიული დემოგრაფიული მდგომარეობით? იმ ეკონომიური სიდუხჭირით, რომელსაც ქვეყანა უკვე სამი ათეული წელია განიცდის? ხომ არ ჭვრეტენ ქართველთა გაქრობას და ამიტომაც ხომ არ „ასაფუძვლებენ“ მომავალ გეგმებს? კავკასიელთა ეთნოცენტრისტულ მითები საფუძველს უყრის მომავალ ტერიტორიულ პრეტენზიებს, რაც, თავის მხრივ საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული.

საქართველოში არავის აქვს უფლება ხელების ჩამოყრისა, ხელის ჩაქნევისა. პირველ რიგში ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ობიექტური ისტორიის შესაქმნელად, მოქმედ და მომავალ მეცნიერებს მიეცეთ საშუალება ობიექტური ისტორიის შექმნისა, მოდავეებთან პასუხის გაცემისა. აუცილებელია ასეთი ნაშრომების ტირაჟირება, უცხო ენებზე თარგმნა, ქართველოლოგიური მეცნიერებებისათვის პრიორიტეტის მინიჭება. არა გვაქვს იმის ილუზია, რომ თანამედროვე ცრუმეცნიერება, რომლის წარმოქმნა ცხოვრებაში განპირობებულია სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით, არსებობას შეწყვეტს, მაგრამ მასთან ბრძოლა კალმით, ობიექტური მონაცემებით აუცილებელია. აუცილებელია ცრუმეცნიერებას და-

უპირისპირდეს ჭეშმარიტი და ობიექტური საისტორიო მიღწევების პოპულარიზაცია და პროპაგანდაც. სამწუხაროდ, საქართველოშიც არის შემთხვევები ცრუისტორიის პროპაგანდისა, რითაც ყვითელი პრესა გამოირჩევა. როგორც *ფრანსუა რაბლე* წერდა, „მეცნიერება სინდისის გარეშე კლავს სულს, ანადგურებს კულტურას და შეიძლება მიგვიყვანოს საყოველთაო კატასტროფამდე“. ხოლო *ე. ხოსბაუმი* კი აღნიშნავდა, რომ „არცერთი სერიოზული ისტორიკოსი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ნაციონალისტი“, რაც გულისხმობს ეთიკური განსაკუთრებულობის ქადაგებას, რომელიმე ხალხის ნაციონალურ უპირატესობას. ამავე დროს, აუცილებელია სამეცნიერო პრობლემების მხოლოდ მეცნიერთა წრეში, მოსახლეობის ფართო ფენების გარეშე მისი გადაწყვეტა.

დასასრულს ისიც უნდა ითქვას, რომ კავკასიელ ისტორიკოსთა შორის ეთნოცენტრიზმისა და ცრუისტორიის გავრცელებას ხელს რუსეთის ხელისუფლებაც უწყობს, აქეზებს ერთი ხალხის მიერ მეორესთან დაპირისპირებას. ამ მხრივ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გახსენებაც საკმარისია. მხოლოდ ერთ ფაქტის გავიხსენებთ - 2004 წელს რუსეთის დუმამ მიიღო დადგენილება, რომ სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად, რუსეთის იმპერიას თურმე 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით შეუერთდა. რუს პარლამენტარებს აღნიშნულ ზავში რომ ჩაეხედათ, ვერსად ვერ აღმოაჩენდენ ოსეთისა და ოსების ხსენებას. რუსეთის ხელისუფლების მიერ არიან პროვოცირებული ოსი „კალმოსნები“, რომლებიც საქართველოს ახალ-ახალ ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებენ და ამ არგუმენტებს საფუძვლად გაყალბებულ ისტორიაზე აფუძნებენ.

ასე რომ, მითოლოგია იქმნებოდა არა მხოლოდ წარსულში, რომელიც ძირითადად ზეპირი გზით გადაეცემოდა, არამედ იქმნება ჩვენს თვალწინაც. თანამედროვე მითმემოქმედებას კი საფუძვლად აქვს ეთნოპოლიტიკური კონტექსტი. ეთნოპოლიტიკური კონტექსტითაა შეჯერებული ყველა მითების შემქმნელი მეზობელ კავკასიელთა „მემოქმედება“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ისტორიის დამმახინჯებელთა და ქართული კულტურის მიმთვისებელთა ეთნოცენტრისტული მითები იქმნება იმისათვის, რომ ის საფუძვლად დაედოს ძალადობის იდეოლოგიას. საქართველოს ისტორიის დამახინჯების ხარჯზე, თანამედროვე კავკასიელი ეთნოცენტრიზმის მიმდევარი მეცნიერები საფუძველს უყრიან ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ - აფხაზები და ოსები ქვეყნის შიგნიდან, სომხები და აზერბაიჯანელები - ქვეყნის გარედან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კავკასიელებს „სამეცნიერო ფრონტი“ მხოლოდ ქართველების მიმართ არა აქვთ გახსნილი. ამ თვალსაზრისით, სომხურ-აზერბაიჯანული სამეცნიერო დაპირისპირების გახსენებაც საკმარისია. ყარაჩაელ-ბალყარელთა და ინგუშთა დაპირისპირების მიზეზი კი ალანები არიან. ყველა ეს ხალხი თავის წინაპრებად ალანებს მიიჩნევს (1994 წელს ყარაჩაელებმა და ბალყარელმა პროტესტი გამოთქვეს ჩრდილოეთ ოსეთისათვის დამატებით ალანიის სახელის მინიჭების გამო. ბალყარელებმა და ყარაჩაელებმა ამაში თავისი ისტორიული მემკვიდრეობის ხელყოფა დაინახეს). უნდა აღინიშნოს, რომ ალბანელთა სამეფოს მემკვიდრეობაზე აზერბაიჯანელები და სომხები მარტო არ არიან; მასზე პრეტენზია ლეზგებსაც გააჩნიათ. ერთი სიტყვით რომ

ვთქვათ, ერთობ გავრცელებულია აწ გამქრალი სახელმწიფოებისა და ხალხების ისტორიის საკუთარ ისტორიად გამოცხადება. ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ, მომავალში ქართველი ხალხის გაქრობის შემთხვევაში, საქართველოს ისტორიიდან აღარაფერს არ დატოვებენ.

რუსეთში ისტორიის გაყალბებისა და მითების შექმნის შესახებ საერთოდ და, კონკრეტულადაც ოსებისა და აფხაზების შესახებ, 2008 წლის 28 აგვისტოს ტელეკომპანია „არტივიაი“-ს გადაცემაში საუბრობდა *ანდრეი ილარიონოვი*. მან მკაცრად ამხილა ისტორიის ფალსიფიკატორები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარსულის შესახებ მითოლოგიური წარმოდგენების შექმნა პოლიტიკოსებისთვისაა საჭირო, რათა ის გამოიყენონ თავისებურ საინფორმაციო იარაღად. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ კალმით ბრძოლამ ნამდვილ იარაღზე არანაკლები როლი შეასრულა.

მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია, ბუნებრივია, გარკვეულ გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. რაც მთავარია, ცრუმეცნიერული შეხედულებები და თეორიები ვრცელდება საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ამ პრობლემის შესახებ უკვე გარკვეული გამოკვლევებიც არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ინფორმატორის თქმით, მარნეულის რაიონში ალბანური სამლოცველოებია, სომეხი მთხრობელი კი ქვემო ქართლში ერთ დროს გუგარქის სომხური სამე-

ფოს არსებობის შესახებ საუბრობს¹⁴³. ხაზგასმულია, რომ მოსახლეობაში გავრცელებული მოსაზრება, რომ - „ეს მიწა (ქვემო ქართლი) თავიდანვე აზერბაიჯანელებით იყო დასახლებული და ირანს ეკუთვნოდა. შემდგომში ირანის შაჰმა საქართველოს მეფეს საინგილოში გაუცვალა“ - აზერბაიჯანში დაბეჭდილი ლიტერატურის გავრცელების შედეგადაა ჩამოყალიბებული¹⁴⁴.

როდესაც ეს ნაშრომი იწერებოდა, ვფიქსრობდი, რომ მოდავე მეზობელი ხალხების ისტორიკოსთა ანალოგიურად, ჩვენც ხომ არ ვართ ეთნოცენტრიზმის ტყვეობაში? რადგან ცნობილი მეცნიერები იზიარებენ აზრს, რომ „ყოველი თაობა ხელახლა გადასწერს და ხელახლა გადააფასებს ხოლმე ისტორიას. ჭეშმარიტი მოვლენის წარმოსახვით სურათი ყოველთვის განისაზღვრება, პირველი, თვითმოვლენით იმდენად, რამდენადაც ის ცნობილია, და მეორე, ჩვენი ახლანდელი მიზნებით, ვნებებით, წინასწარაღებული აზრებით, აუცილებლად რომ ერთვებიან შემეცნების პროცესში. ... ჩვენ მიერ წარსულის ახავა თანამედროვეობის პროდუქტია. რამდენადაც მცირე ზომის არ უნდა იყოს ადამიანთა გონებაში არსებული წარსულის სურათი, არ შეესატყვისებოდეს გარდასულ რეალობას, ის მოქმედებს თანამედროვეთა ცხოვრებაზე, ეხმარება მათ პოლიტიკისა და საზოგადოების შესახებ

¹⁴³ გ. მამარდაშვილი. თანამედროვე ეთნოდემოგრაფიული პროცესები ქვემო ქართლში. - კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIX, თბ., 2019, გვ. 91-104.

¹⁴⁴ ლ. ჯანიაშვილი. სახელმწიფოს აღქმა ქვემო ქართლის მოსახლეობაში. - კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIX, თბ., 2019, გვ. 167.

იდებების ჩამოყალიბებაში¹⁴⁵. მაგრამ ჩვენს მხარეზე ხომ უტყუარი წერილობითი წყაროებია, აგრეთვე მდიდარი მატერიალური კულტურა - მონუმენტური საეკლესიო და საერო ნაგებობები, ეთნიკური და პროფესიული კულტურა, დამწერლობა და მწერლობა. მაგრამ ერის არსებობისათვის მხოლოდ ისტორია არაა საკმარისი. მხოლოდ ისტორია ვერ ქმნის საკმარისს ფუნდამენტს დღევანდელი სახელმწიფოს სიმტკიცისათვის; ამისათვის კი საჭიროა წინაპართა მსგავსი შრომისმოყვარეობა და სამშობლოსათვის თავდადება და, აგრეთვე, საერთოსახელმწიფოებრივი და არა პირადი მიზნების წინ დაყენება. ეთნოცენტრისტულ ისტორიას ფაქტობრივად არავითარი სარგებლობა არ მოაქვს თანამედროვე საზოგადოებისათვის, თუმცა მისი შემქმნელები კი ფიქრობენ, რომ თავიანთი ეთნოსისათვის კეთილ საქმეს აკეთებენ. მაგრამ კეთილ საქმედ შეიძლება ჩაითვალოს სხვათა ტერიტორიებზე თვალთვალი და სხვისი ისტორიის დამახინჯება და საკუთარის განდიდება? 2019 წლის 9 ივნისის პუტინის გამოსვლას, რომლითაც ქართველ ხალხს მომღვრავდა და საქართველოს ისტორიის დღემდე უცნობ ისტორიას „გვიწერდა“, რუსეთშიც მოყვა გამოხმაურება. სოციალურ ქსელებში გავრცელდა *მაქსიმ შევჩენკოს* გამოსვლა, რომელმაც აღნიშნული პიროვნების მონათხრობს ცრუ ისტორია უწოდა და.

უნდა ითქვას, რომ ეთნოცენტრისტული გამოვლინებანი ხანდახან ქართველებსაც ახასიათებთ, განსაკუთრებით იმ არაპროფესიონალებს, რომლებიც ისტორიას

¹⁴⁵ ა. გურევიჩი. რა არის ისტორიული ფაქტი? თარგმანი ნ. ვაჩნაძისა, თბ., 2018, გვ. 26-27.

წერენ. ამისათვის კი საჭიროა პროფესიონალური ქართველოლოგი მეცნიერების გაზრდა. სხვა შემთხვევაში უახლოეს მომავალში საქართველოს ტერიტორიებზე დახარბებულ „მეცნიერებს“ ქართველთა შორის პასუხის გაცემიც კი აღარ ეყოლებათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნებსით, თუ უნებლიედ, დაუშვებელ შეცდომებს ქართველი მეცნიერებიც უშვებენ. სამაგალითოდ შეიძლება მოყიყვანოთ უცხოეთში ინგლისურ ენაზე *ქ. ხუციშვილს* დაბეჭდილი ნაშრომი **„ენგურის საზღვრის გადაღმა: საქართველოსა და აფხაზეთს შორის არსებული საზღვრით დაკავშირებული და განცალკევებული ცხოვრება“**. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველო არის ერთიანი და განუყოფელი, წარმოდგენილი სათაურით კი საქართველო და აფხაზეთი ერთ სიბრტყეზეა დაყენებული - მკითხველს საშუალება ეძლევა იფიქროს, რომ აფხაზეთი არა საქართველოს მხარე, არამედ ცალკე სახელმწიფოა. ორიოდე ამონაწერი ბატონ *ჯემალ გამახარიას* რეცენზიიდან: (ციტატა) „ქალბატონი ქეთევან ხუციშვილი წერს: „ეს სასაზღვრო ზოლი, რომელიც მკაფიოდ გამოყოფს სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ორ ტერიტორიას ერთმანეთისაგან...“. სხადასხვა სახელმწიფოში ავტორი ამკარად გულისხმობს საქართველოსა და აფხაზეთს, რუსეთის როლი (რომელიც რეალურად აკონტროლებს აფხაზეთის დე-ფაქტო საზღვარს) „დაკნინებულია“¹⁴⁶; (ციტატა) „ერთადერთი ლეგალური გამშვები პუნქტი სა-

¹⁴⁶ ჯ. გამახარია. რეცენზია ქ. ხუციშვილის ინგლისურენოვან სტატი-
აზე „ენგურის საზღვრის გადაღმა: საქართველოსა და აფხაზეთს შორის
არსებული საზღვრით დაკავშირებული და განცალკევებული ცხოვ-
რება. - კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, XIX, თბ., 2019, გვ. 216.

ქართველოსა და აფხაზეთს შორის ომის შემდგომ...“. აქ ავტორი ისევ და ისევ ორ სახელმწიფოზე – საქართველოსა და აფხაზეთზე საუბრობს, ხოლო ოკუპანტის მიერ დაწესებულ უკანონო (არალეგალურ) გამშვებ პუნქტს, ლეგალურს უწოდებს...¹⁴⁷. „ასეთი წარმონაქმნის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას არაფერის აქვს საერთო რეალობასთან და მხოლოდ ოკუპანტის წისქვილზე ასხამს წყალს. ერთი სიტყვით, ავტორი უშვებს უხემ შეცდომას პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვან საკითხში, რასაც ჩვენი ქვეყნის მტრები აუცილებლად გამოიყენებენ“¹⁴⁸. (ციტატა) „ზოგიერთი ქართველი დაბრუნდა თავის სახლში აფხაზეთში, თუმცა ბევრი დარჩა საქართველოში, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი“. აქაც აფხაზეთი ისევ ცალკეა, საქართველო – ცალკე. ეს იმას ნიშნავს, რომ სათაურში ავტორმა უნებლიე შეცდომა კი არ დაუშვა, არამედ გამოკვეთილი პოზიცია გამოხატა¹⁴⁹. (ციტატა) „კონფლიქტის პირველ წლებში ქართველები არ ცნობდენ დე ფაქტო საზღვარს, წლების გასვლის შემდეგ კი ახალმა რეალობამ აიძულა ხალხი, რომ სხვანაირად ეფიქრათ და ეხლა ისინი გადასასვლელს საზღვრად თვლიან“. თურმე დე-ფაქტო საზღვარი ნამდვილი, სახელმწიფოთაშორის საზღვრად უღიარებიათ!? გაუგებარია, რომელ „ახალ რეალობაზეა“ საუბარი?¹⁵⁰.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ქართველები თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მათ არ მიუთვსები-

¹⁴⁷ ჯ. გამახარია. რეცენზია... გვ. 218.

¹⁴⁸ ჯ. გამახარია. რეცენზია... გვ. 217.

¹⁴⁹ ჯ. გამახარია. რეცენზია... გვ. 218.

¹⁵⁰ ჯ. გამახარია. რეცენზია... გვ. 219.

ათ არცერთი მეზობლის მიწაწყალი. ამას აუარებელი ქართული და უცხო საისტორიო წყარო და დოკუმენტი, მატერიალური კულტურის ძეგლი, ეპიგრაფიკა, ენობრივი მონაცემები მოწმობს. პირიქით კია – დაკარგულია ისტორიული მიწაწყალი, წინაპართა განსახლების არეალი, რომელიც ყველა დღევანდელი მეზობელი სახელმწიფოს (თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის) შემადგენლობაშია. დღევანდელი და მომავალი თაობაც ვალდებულია არსებული შეინარჩუნოს. დღედაღამ ყურში უნდა ჩაგვესმოდეს დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლა ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს“¹⁵¹. ხელისუფალთაგან დარაჯად დგომის ერთ-ერთი ასპექტი კი საისტორიო მეცნიერებებისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა უნდა იყოს. მეცნიერი იმასაც წერდა (მისი დასკვნა შემდეგდროინდელმა კვლევებმაც დაადასტურა), რომ „ამ საზღვრებში მოქცეული მიწაწყალი და მოსახლეობა მთლიანს ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივ ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვითარცა მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკო-

¹⁵¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 51.

ნომიურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია¹⁵².

„ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში საუკეთესო და ძალიან ძლიერი მოკავშირე ჩვენივე ისტორიაა, რომელის დაბრუნებაც გვიწევს ჩვენდა სავალალოდ. ეს უნდა გავითავისოთ. შევწყვიტოთ მისი ასეთი უდიერი ფლანგვა, სხვისთვის ჩუქება, ვწერთ შეულამაზებელი, ნამდვილი, მართალი და რაც მთავარია, ოკუპანტის კონიუქტურისაგან თავისუფალი ისტორია, თამამად და კეთილსინდისიერად ვიკვლიოთ ჩვენი წარსული და ბევრი რამ ხელახლა შევაფასოთ. ... ეს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების საქმეა“¹⁵³.

P. S. შესავალში შემთხვევით არ მივუთითეთ წიგნი «Российский Кавказ» („რუსეთის კავკასია“), რის მიზეზიც ისაა, რომ ის განკუთვნილია პოლიტიკოსებისათვის. დიახ, პოლიტიკოსებისათვის - ყველა პოლიტიკოსს, რა სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდეს, ესაჭიროება იმ არეალის ცოდნა, სადაც მოღვაწეობს. ასევე უნდა იყოს ქართველი პოლიტიკოსიც, მან უნდა კარგად იცოდეს თავისი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულის არა მხოლოდ ისტორია, არამედ ხალხური კულტურა და, რაც მთავარია, დღეს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები. ქართველი პოლიტიკოსი ვალდებულია ასევე წარმოადგენა ჰქონდეს მეზობელი ქვეყნების შესახებ. უკიდურეს შემთხვევაში ისინი მეცნიერთაგან კონსულტაციებს უნ-

¹⁵² ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები... გვ. 49.

¹⁵³ მ. პატარაია. ნამდვილი ისტორიის დაწერა ეროვნული უსაფრთხოების საქმეა, 2018. სოციალური ქსელი.

და იღებდნენ. დღეს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარება გარკვეულწილად მეცნიერებისაგან განზე გადგომის შედეგიცაა. მაინც რა პრობლემებს უნდა სწავლობდეს პოლიტიკოსი? ეს საკითხებია: საკუთარი და მეზობელი ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური ისტორია, ისტორიულ-კულტურული ტრადიციები, თანამედროვე ეთნო-პოლიტიკური პროცესები, სოციალ-ეკონომიკური სიტუაცია, მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, რელიგიური ვითარება...

დანართები

როლანდ თოფჩიშვილი

ისტორიას ჩეხეთის მართლმადიდებელი

მიტროპოლიტიც გვიმახინჯებს

(მიტროპოლიტი ქრისტეფორეს ერთი ეპისტოლეს გამო)

საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ რუსულ გამოცემებში, ელექტრონულ მედიასაშუალებებში ბოლო დროს უამრავი ცილისმწამებლური პუბლიკაცია გამოჩნდა. იბეჭდება შეურაცხმყოფელი წერილები, რომლებშიც ქართველი ხალხი ლამის ბარბაროს ხალხადაა გამოყვანილი. და ეს ყველაფერი დაკავშირებულია ე. წ. ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებთან, რომლებიც სინამდვილეში სხვა არაფერი იყო თუ არა ქართულ-რუსული ომი საქართველოს ძირძველი ტერიტორიებისათვის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქმის ყველა ეს პუბლიკაცია ერთ რომელიღაც ორგანოში, ანდა რომელიმე ერთი პიროვნების მიერაა დაწერილი. უფრო მეტიც, კარგა ხანია მიმდინარეობს ისტორიის გაყალბება, მითოლოგემების შექმნა, ისტორიის ქურდობა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ხალხს ისტორიას სტაცებენ, მის ისტორიულ ტერიტორიებს საკუთარ ტერიტორიებად აცხადებენ. ისტორიის გაყალბება და მითოლოგემების შექმნა ახლა არ დაწყებულა, ის უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია მიზანმიმართულად ხდება, ბოლო დროს კი ამ მოვლენამ, რომლის საფუძველი უზნეობა და უცოდინრობაა, არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ასეთი

გაყალბებული ისტორიის შემქნელები არიან არა მხოლოდ აფხაზები და ოსები, არამედ, რაც მთავარია, რუსები.

ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას ადამიანს, რომ რუსეთში ჭეშმარიტი ისტორია მართლაც არ იცინა. პროფესიონალები, ბუნებრივია, კავკასიის ისტორიის სხვადასხვა პრობლემებში კარგად არიან გათვით-ცნობიერებულები, მაგრამ რუსეთში კვლავ დიდია იმპერიული აზროვნება და ისინიც ამ იმპერიულ აზროვნებას უფრო წინ აყენებენ, ვიდრე ჭეშმარიტებას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთში მხოლოდ ერთადერთი მეცნიერი აღმოჩნდა, რომელმაც ისტორიული სიმართლე თქვა. ესაა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგეი არუთინოვი. მას ეყო გამბედაობა და ტელევიზიის ეკრანიდან ხმამაღლა განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ეთნოსის წარმომადგენლები ძალიან გვიან არიან მოსული, რომ არავითარი სამხრეთ ოსეთი საბჭოთა კავშირის შექმნამდე არ არსებობდა, რომ ამ ადგილას მხოლოდ და მხოლოდ ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე - შიდა ქართლი - იყო, რომ რუსეთმა საქართველოს მისი ძირძველი პროვინციები ჩამოაჭრა.

ეს შესავალი იმისათვის დაგვჭირდა, რომ გამოვხმაურებოდით სრულიად მოულოდნელ პუბლიკაციას, რომლის ავტორიც გახლავთ მაღალი სასულიერო პირი - ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, მიტროპოლიტი, უნეტარესი ქრისტეფორე (ჩეხურ-რუსულენოვანი ჟურნალი „იკონა“, N4, 2008). ჩვენთვის, როგორც მართლმადიდებლისათვის და

ქართველისათვის, განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელი იყო მისი ეპისტოლე საქართველოს თანამედროვე სიტუაციის შესახებ. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეპისტოლე ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, რუსეთის მიერ გაჩაღებულ ომს ეხებოდა. ვიფიქრეთ, მისი უნეტარესობა რუსეთის მიერ მართლადიდებელი საქართველოს ტერიტორიების ანექსიამ, ოკუპაციამ, ათასობით ქართველი მართლადიდებელის სოფლების გადაწვამ, მიწასთან გასწორებამ, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად გადაქცევამ შეაწუხა, მაგრამ, ვაგლახ, რომ შეეცდით.

ჩვენ არ ვიცით სასულიერო განათლების გარდა, მიტროპოლიტ ქრისტეფორეს აქვს თუ არა საისტორიო განათლება. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მას ასეთი განათლება არ უნდა ჰქონდეს მიღებული. აშკარაა უნეტარესი ქრისტეფორე შეამჩნუნა რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულმა ყალბმა ინფორმაციებმა, რომელიც მან ჭეშმარიტებად მიიჩნია. აქედან გამომდინარე როგორც რუსული ენის მცოდნემ, რუსულ საიტებს მიმართა, სადაც როგორც აღვნიშნეთ, დემონსტრირებულია არაერთი სიყალბე ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ, სადაც მხოლოდ და მხოლოდ გაყალბებული ისტორიებია წარმოდგენილი. ამ გაყალბებული ისტორიების გაცნობის შემდეგ, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ბუნებრივია, ის აღშფოთდა და ეპისტოლემაც არ დააყოვნა. მანამ, სანამ მოკლედ შევეხებით მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ეპისტოლეში მოყვანილი ისტორიული ფაქტების დამახინჯებას, ერთი რამ გვინდა შევკადროთ: ომებში და

ადამიანთა უბრალო დავებშიც ყოველთვის ორი მხარეა. ყოველთვის მოსამართლენი დავის მონაწილე ორივე მხარეს უსმენენ. შეიძლება უნეტარესმა საიტებზე მეორე მხარის პოზიციას, ჭეშმარიტ ისტორიას ვერსად მიაკვლია, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ქართველ სასულიერო პირებს კარგად იცნობს. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ უნეტარეს ქრისტიეფორეს ეპისტოლეს წამძღვარებული აქვს ფოტო, რომელზედაც ის გადაღებულია საქართველოში ყველა მართლმადიდებელი (და არა მხოლოდ მართლმადიდებელი) ადამიანისათვის საყვარელ და სათაყვანებელ, მის უწმინდესობა ილია II-სთან ერთად. მიტროპოლიტი ქრისტიეფორეს რეალური ფაქტები ხომ შეიძლებოდა მის უწმინდესობასთან, ანდა საქართველოს საპატრიარქოს საშუალებით გადაემოწმებინა?

ახლა არსებითად იმ არასწორი ინფორმაციის შესახებ, რომელსაც, მისდაუნებურად, მიტროპოლიტი ქრისტიეფორე ავრცელებს. ის მოგვითხრობს, რომ ძალადობა დაიწყო სამხრეთოსურ სოფელ ხეთაგუროვოში, სადაც თურმე ქართველებს X საუკუნის ღვთისმშობლის ტაძარი დაუწევავთ. ნამდვილად მოხდა თუ არა ომის დროს სოფელ ხეთაგუროვოში წუნარის გუმბათოვანი ეკლესიის დაწვა არც ქართველებს და არც საერთაშორისო დამკვირვებლებს დაფიქსირებული არა აქვთ. ვინ დააფიქსირა, რომ მართლმადიდებელმა ქართველებმა მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრიეს? ომის დროს ყველაფერი ხდება. ასობით რუსული ტანკის და ავიაციის ნამოქმედარს მავანნი ქართველებს აბრალებენ. საქართველოს დედაქალაქში ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მართლმადიდებელი

ტაძრების გვერდით იდგა (და ახლაც დგას!) იუდეველთა, მონოფიზიტთა, კათოლიკეთა, მაჰმადიანთა (როგორც შიიტების, ისე სუნიტების), ლუთერანელთა და სხვათა სალოცავები. ისტორიას არ ახსოვს ქართველს, მართლმადიდებელს ხელი აღმართოს რომელიმე მათგანზე, განსაკუთრებით ქართველთა მტრების (არაბების, სპარსელების, თურქების) სალოცავებზე - მეჩეთებზე. რა, ქართველებმა საკუთარი წინაპრების მართლმადიდებლურ ტაძრებზე აღმართეს ხელი? ამას ხომ მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი ადამიანი დაიჯერებს, დაიჯერებს ის, ვინც არ იცის ქართველთა ხასიათი და მენტალობა. ტაძრებს საქართველოში მხოლოდ ერთხელ, დღევანდელი რუსეთის ხელისუფლების იდეური წინაპრების - ბოლშევიკების ბატონობის პერიოდში (რომელთა შორისაც, ჩვენდა გასოცრად, მსგავსებას ვერ ამჩნევს ჩეხეთის მართლმადიდებელი მიტროპოლიტი) ანგრევდნენ. ეს ერთი, ახლა მეორე - სამწუხაროდ, მიტროპოლიტმა არ იცის, რომ სოფელ ხეთაგუროვოს ადრინდელი სახელწოდება წუნარია, რომელიც გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია. ის დაწუნებულ ადგილს ნიშნავს. ხალხური გადმოცემით კი აქ აშენებული ტაძარი თამარ მეფეს დაუწუნებია და ამის გამო დარქმევია სოფელს აღნიშნული სახელწოდება. საბჭოთა პერიოდში სამხრეთ ოსეთის ხელისუფალთ შეტევა ქართულ ტოპონიმებზე ჰქონდათ გადატანილი. ისინი ცდილობდნენ ქართველების ნაკვალევი ყველგან წაეშალათ და საბჭოთა რუსეთის დახმარებით ამას ხშირად აღწევდნენ ხოლმე, გამჭვირვალე ქართულ ოიკონიმებს ოსური სახელწოდებებით ცვლიდნენ. ასე დაარქვეს 1944 წელს წუნარს ხეთაგუროვო (საბჭოთა

წყობილების დროს ბარბაროსულად არაერთ ქართულ ოიკონიმს მოექცნენ, მაგალითად, ღვრიას ჯიქი-ყაუ დაარქვეს, გიორგწმინდას - ისაკ-ყაუ, ტყისუბანს - ზნაურ-ყაუ, ჩრდილს - ხუბეჟთი-ყაუ, დიდახოს - დინჯირახო, ქალეთს - კოლეთი, მიმინოს-უბანს - დოშითი-ყაუ, დიდციხიათს - სთირ-ცისიათი...). სხვათა შორის, მიტროპოლიტს თუ მის წყაროს ერთი დიდი შეცდომაც აქვს დაშვებული. წუნარის ანუ ხეთაგუროვოს ღვთისმშობლის ეკლესია არა X საუკუნეში, არამედ XIV საუკუნეშია აგებული და ის არა ოსური, არამედ ტიპური ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. ისიც გვინდა მივუთითოთ, რომ ე. წ. სამხრეთოსურ სოფელ ხეთაგუროვოში ანუ მის ნამდვილ სახელწოდებას თუ კვლავ გავიმეორებთ - წუნარში ცხრა ოსური ოჯახი დვალეთის (ახლა რომ ოსებმა ცენტრალური ოსეთი შეარქვეს) ნარას და ზრამაგის ხეობებიდან 1824-1825 წლებში იყვნენ გადმოსახლებულნი. 1830-1831 წლების კამერალური აღწერის დავთარში (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1244, გვ. 203-204) აღნიშნულ ცხრა ოსურ ოჯახს მიწერილი აქვთ, რომ ისინი აქ ექვსი წლის წინ გადმოსასლდნენ. სხვათა შორის, წუნარში ამ ცხრა ოსური ოჯახის ნაცვლად 1886 წელს 62 კომლი მკვიდრობდა, რა თქმა უნდა, კვლავ ძირითადად მექანიკური მატების ხარჯზე. ასე იქცა ქართველთა ნასოფლარი წუნარი, რომელშიც 1799 წელს ჯერ კიდევ იყო ქართული მოსახლეობა, „სამხრეთოსურ სოფლად“. წუნარის ღვთისმშობლის ეკლესიის ირგვლივ დღესაც შემორჩენილია ქართველთა საფლავის ქვები ქართული წარწერებით. ეპიტაფიებით ირკვევა, რომ წუნარის მკვი-

დრი გვარები ყოფილან ბელელურები, მამისაშვილები, მჭედლიძეები... მკვლევარ ნ. ოთინაშვილის მიერ ჩაწერილი გადმოცემებით, სოფელ ზემო ნიქოზში მცხოვრები მჭედლიძეები სოფელ წუნარიდან და იქვე მდებარე სოფელ ხოდიდან არიან გადმოსახლებულნი. ხოდშიც ყოფილა დიდი ტაძარი. დანგრეული ტაძრის ჩუქურთმებიანი ქვები დღეს ირგვლივია მიმოფანტული.

მიტროპოლიტი ქრისტეფორე ავტორიტეტულად აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთი არ იყო საქართველოს ისტორიული ნაწილი, რომ აქ ცხოვრობს ოსი ხალხი, რომელსაც აქვს მდიდარი კულტურული ტრადიციები, საკუთარი დამწერლობა, ლიტერატურა, ხელოვნება, რომ ოსი ხალხი საზღვრით ორადაა გაყოფილი და ისინი ისწრაფვიან ხელახლა შექმან, აღადგინონ სახელმწიფო და გააუქმონ უაზრო საზღვარი, რომელიც ყოფს ოსურ ოჯახებს. სამწუხაროდ, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელმა მიტროპოლიტმა არა მარტო ისტორია, არამედ გეოგრაფიაც არ იცის. ე. წ. სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთისაგან კავკასიონის მთაგრეხილითაა გამოყოფილი, რომელიც არა მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით მიჯნავდა ევრაზიის სივრცესა და მცირე აზიას, არამედ სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისითაც. მთაგრეხილის ჩრდილოეთით სხვადასხვა ირანულენოვანი და თურქულენოვანი ტომების სამომთაბარეო ვრცელი არეალი იყო, ხოლო სამხრეთით განვითარებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზზე დაფუძნებული ცივილური საზოგადოებები არსებობდა. რუსეთის იმპერიის კავკასიაში გამოჩენამდე კავკასიონის მთავარი ქედი გეოპოლიტიკური

გამმიჯვნელიც იყო. მას შეუძლია თვით რუსულ გამოცემებში ჩაიხედოს, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეში შექმნილი რუსული რუკები ნახოს და თვალნათლივ დარწმუნდება, რომ ცდება. მიტროპოლიტს ვურჩევდი მხოლოდ ცნობილი რუსი ეთნოლოგის ნატალია ვოლკოვას კავკასიის ეთნიკური ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები წაიკითხოს. ცნება „სამხრეთ ოსეთი“ სრულიად ახალი გაჩენილი ტერმინია. ის პირველად 1830-იან წლებში ერთხელ რუსმა ჩინოვნიკმა თბილისში გამომავალ გაზეთში „ტიფლისკი ვედომოსტი“ გამოიყენა, შემდეგ ორჯერ - 1870-იან წლებში. ოფიციალურად კი ბოლშევიკურმა რუსეთმა დააკანონა, როდესაც, ყოვლად უკანონოდ, საქართველოს გაწითლებაში დახმარებისათვის, ოსებს ავტონომიური ერთეული შეუქმნა. ასე გაჩნდა მანამდე საქართველოსათვის უცნობი ადმინისტრაციული ერთეული „სამხრეთ ოსეთი“. ვინც საისტორიო წყაროები, დოკუმენტები და საბუთები იცის, XVII საუკუნემდე საქართველოს ტერიტორიაზე ოსების ცხოვრების ფაქტს ვერ აღმოაჩენს. ზემოთ გეოგრაფია შემთხვევით არ ვახსენეთ. კავკასიონის მთათა სისტემა ბუნებრივი გამოყოფია. შუა საუკუნეებში ევრაზიის სივრცეში მომთაბარე სხვადასხვა ირანულენოვან და თურქულენოვან ტომებს ის თავისუფლად გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდა. მათ შესაჩერებლად უღელტეხილებზე სიმაგრეები იყო შექმნილი. ერთ-ერთ სიმაგრეს სწორედ „დარიალი“ წარმოადგენდა. „დარიალი“ ირანულად სწორედ ალანთა კარს, ალანთა ქვეყანაში შე-სასვლელს ნიშნავს. ამ დარიალის ჩრდილოეთით იყო ალანთა განსახლების არეალი, ის სახელმწიფოებრივი

წარმონაქმნი, რომელიც მათ ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ჰქონდათ შექმნილი. სხვათა შორის, შუა საუკუნეების არაბული წყაროების მიხედვით, ალანთა ქვეყანა დარიალიდან ჩრდილოეთით ათი დღის ფეხით სავალზე იყო. ასეთი ცნობა აქვს დაცული მაგალითად, X საუკუნის არაბ ავტორს იბნ-რუსტას. აქვე გვინდა ჩიხეთისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტს მივუთითოთ კატალონიელი ავტორის აუგუსტი ალემანის წიგნი ალანების შესახებ, რომელიც ინგლისურად და რუსულადაა დასტამბული. ა. ალემანს თავის წიგნში თავმოყრილი აქვს ყველა ენაზე არსებული წყაროები ალანების შესახებ. არცერთი წყაროს მიხედვით ალანები სამხრეთ კავკასიის მკვიდრები არ არიან. ალანები I საუკუნიდან IV საუკუნემდე ევრაზიის სივრცეში მომთაბარეობდნენ. მხოლოდ ჰუნების შემოსევამ აქცია IV საუკუნის 70-იან წლებში ისინი კავკასიელებად, მაგრამ არა მთიელებად, არამედ კავკასიის ველების მაცხოვრებლებად, „სტეპნიაკებად“. მიტროპოლიტს შეეძლო ეს ისტორია ალან-ოსებისა ობიექტურ სამეცნიერო ნაშრომებში ამოეკითხა. უნეტარეს ქრისტეფორეს ეპისტოლეს თან ახლავს საილუსტრაციო მასალაც, მათ შორისაა ამ რამდენიმე წლის წინ დაბეჭდილი ოსეთის სასკოლო საისტორიო ატლასიდან გადმობეჭდილი რუკა, რომლის მიხედვითაც, თურმე ჩრდილოეთ კავკასიის ბართან ერთად ალანეთის სახელმწიფოს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე - შიდა ქართლიც ეკუთვნოდა. ეს რუკა სულ რამდენიმე წლის შექმნილია. ადრე ოსი და რუსი „მკვლევარები“ ასეთ აშკარა ფალსიფიკაციაზე ვერ მიდიოდნენ. ახლა კი მათ სურთ საქართველოს მიწა-

წყლის მიტაცებას ისტორიული საფუძველი მოუძებნონ. სამწუხაროდ, ამ სამეცნიერო ავანტურაში, მისდაუნებურად, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტიც აღმოჩნდა ჩართული.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ეპისტოლეს როგორც შესანიშნავი, ისე შემზარავი საილუსტრაციო მასალებიც ახლავს. შესანიშნავ საილუსტრაციო მასალაში ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებს ვგულისხმობთ, რომლებსაც აქ ქართველები V საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XVIII საუკუნემდე აგებდნენ. მიტროპოლიტს ისინი ოსური კულტურის ძეგლები ჰგონია. ამ ძეგლების მხოლოდ ნაწილს ჩამოგვვლით: არმაზი, ყანჩაეთი, წირქოლი, ხოფა, ბიეთი, ერედვი, დოდოთის ცხრაკარა, კვაისას ჯვარი, სოხთა, იკორთა, თირი, თიღვა, ხეითი, ლარგვისი, ბელოთი და სხვები. იქნებ ქართველები მართლაც ართმევენ ოსებს მართლმადიდებლურ ძეგლებს? მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ეკლესიები, ტაძრები და მონასტრები ქართული წარწერებითაა დამშვენებული და რომ ამ წარწერებში ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ქტიტორები და არქიტექტორები არიან მოხსენიებულნი? სხვათა შორის, ამ მართლმადიდებლური ძეგლების ისტორია კარგადაა შესწავლილი და მონოგრაფიებიც რუსულ ენაზეა დაწერილი. ისე ზედმეტი არ იქნება მიტროპოლიტს შევახსენოთ, რომ ორიგინალური ქართული დამწერლობის ძეგლები უკვე V საუკუნის დასაწყისიდან არის შემორჩენილი და ქართული ლიტერატურის პირველი ძეგლიც, რომელიც წმინდანთა ცხოვრებას ასახავს ასევე V საუკუნით არის დათარიღებული და ისინი სწორედ იმ ტერიტორიაზეა შექმნილი, რომელსაც ოსები რუსების

წაქეზებით ქართველებს ედავებიან. ასე რომ, მიტროპოლიტმა თავის ეპისტოლეს თან დაურთო ყალბი რუკა, რომელსაც ისტორიული საფუძვლები არ გააჩნია.

ერთობ უხერხულია, როდესაც სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ისტორიას ვადარებთ ერთმანეთს. მიტროპოლიტმა, ბუნებრივია, კარგად იცის თავისი ქვეყნის - ჩეხეთის ისტორია და აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც (საქართველოს ტერიტორიაზე) თურმე აფხაზური და ალანური (ოსური) სახელმწიფოები არსებობდა, მხოლოდ მამინ ეყრებოდა საფუძველი დასავლეთელი სლავების სახელმწიფოებრიობას. თავისი ქვეყნის ისტორია მან კარგად იცის და ამაში ჩვენ ვერ შევეკამათებით, მაგრამ რას ერჩის ის სომხებს, რატომ აცხადებს ალანიას სომხეთის დონის სახელმწიფოდ, გაუგებარია. უფრო შორსაც მიდის მიტროპოლიტი და შავით თეთრზე გვიჩერს, რომ, *თურმე, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ალანური ეპარქია არსებობდა, რომელიც კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში იყო და რომელიც სრულიადაც არ იყო ქართულიო* ეს უკვე მეტისმეტია! სხვათა შორის, ჩრდილოეთ კავკასიაში ალანური ეპარქია მონღოლთა შემოსევებამდე არც თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებობდა. ალანური ეპარქიის კათედრალური ტაძარი უფრო დასავლეთით, თანამედრივე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, მდინარე დიდი ზელენჩუკის ხეობაში იყო. ამაში რომ დარწმუნდეს ჩეხი სასულიერო პირი საამისოდ მას მისთვის გასაგებ რუსულ ენაზე დაწერილ ფრანგი ავტორის ვ. გუდაკოვის წიგნს მივუთითებთ,

რომელიც 2007 წელსაა დასტამბული პეტერბურგში. ჩრდილოეთ კავკასიაში, და, მათ შორის, ოსთა შორისაც ქრისტიანობას ბიზანტიელებთან ერთად ქართველებიც ავრცელებდნენ. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ჩრდილოეთ კავკასია-ში აქა-იქ შემორჩენილი მართლმადიდებლური ეკლესია მხოლოდ და მხოლოდ ქართულია და ქართველე-ბის მიერაა აშენებული. ჩეხეთის მიტროპოლიტის ეპისტოლეს მიხედვით ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაც ალანურ ეპარქიაში შედიოდა. გამოდის, რომ *ის პრეტენზიას ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც უყენებს*. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მიტროპოლიტი ვერსად ვერ ნახავს რაიმე წყაროს, რომელიც მის მიერ მოყვანილ ფრაზას დაადასტურებს. მას შემდეგ, რაც 326 წელს ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მიტროპოლიტის მიერ სამხრეთ ოსეთად მიჩნეული ტერიტორია ქართული ეკლესიის საგამგეოს წარმოადგენდა, ეს ტერიტორია იყო ერთგვარი ცენტრი დანარჩენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა. მალევე, V საუკუნის ქართველთა მეფემ ვახტანგ გორგასალმა მთელი საქართველოს ტერიტორია ეკლესიური თვალსაზრისითაც დაყო და საბჭოთა პერიოდში სამხრეთ ოსეთად გამოცხადებულ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი ნიქოზის საეპისკოპოსო შექმნა (სხვათა შორის, ეს ის ვახტანგ გორგასალია, რომელსაც მისი ბავშვობის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ კიდევ მომთაბარე ალან-ოსებმა და გასტაცეს და უკვე ახალგაზრდა მეფე გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში და მათი ბელადი ოს-ბაყათარი დაამარცხა და საკუთარი და

გამოიხსნა). ნიქოზის საეპისკოპოსოს ერთ-ერთი მისია ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში სწორედ ქრისტიანობის გავრცელება იყო. მიტროპოლიტი ქრისტეფორე, მისდაუნებურად, იმ ძალების სამსახურში დგება, რომლებსაც, ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლასთან ერთად, ერთიანი ქართული ეკლესიის დანაწევრებაც განუზრახავთ. ის ხომ პირდაპირ წერს, რომ ალანური ეპარქია (რომელის იურისდიქციაც თურმე ე. წ. სამხრეთ ოსეთზეც ვრცელდებოდა) კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა და სრულიადაც არ იყო ქართულიო.

მიტროპოლიტი ქართველებისათვის ქალაქ გორის ახალ, დღემდე უცნობ ისტორიასაც გვთავაზობს, როდესაც ის მონღოლთა ურდოების მიერ ალანთა დამარცხებაზე საუბრობს. ამ დროს, თურმე ოსების უკანასკნელი ისტორიული ცენტრი ყოფილა ციხე-სიმაგრე და ახლანდელი ქალაქი გორი, სადაც იმალებოდა, თავს აფარებდა ალან-ოსთა მეფისწული ოს-ბაყათარიო. გამოდის რომ ქართველები მონღოლთა მოკავშირეები ყოფილან და გორის სიმაგრიდან ალანები (ოსები) გაუძევებიათ. მართალია, ისტორიის გაყალბება და მითოლოგემების შექმნა რუსთა ხელშეწყობით ოსებმა დიდი ხანია დაიწყეს, მაგრამ ის, რაზედაც ახლა გვქონდა საუბარი, ნამდვილად პირველად წავიკითხეთ. ცნობისათვის: საქართველოს შუაგულში ქალაქი გორი ქართველთა ყველაზე დიდმა მეფემ და-ვით აღმაშენებელმა XII საუკუნის დასაწყისში დაარსა. ასე რომ, მონღოლთა საქართველოში შემოსევების დროს, გორი ციხე-სიმაგრე კი არა ქალაქი იყო. ქალაქი გორი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ გზათა

გადაკვეთაზე მდებარეობდა. მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას საქართველოს ცენტრალურ პროვინციაზე - შიდა ქართლზე. XIII საუკუნის ბოლოს გორს ჩრდილოეთ კავკასიიდან დარუბანდის გზით შემოსული ოსები დაეუფლნენ, რომლებსაც თავიანთი განსახლების არეალი, მონღოლთა შემოსევების გამო, ჩრდილოეთ კავკასიის ველებში დაკარგული ჰქონდათ; ისინი ახალ სამოსახლო ადგილებს ეძებდნენ, ჩამდგარნი იყვნენ მონღოლთა სამსახურში და მონღოლთა დახმარებით დაეუფლნენ გორს და ოცდაათი წელი დამკვიდრდნენ კიდევაც აქ, საიდანაც მთელ ქართლს აოხრებდნენ და არბევდნენ (ჟამთააღმწერელი: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყუენვად ქართლსა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“. ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო მძლავრებდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ ადგილთა დაბნები და ციხენი. ამან მეფემან განასხნა ძლიერებითა და წარუხუნა ციხენი და დაბნები. მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაითგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა“). მაგრამ XIV საუკუნის 20-იან წლებში ქართველთა ერთ-ერთმა შესანიშნავმა მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) მონღოლთა მიერ დაშლილი ერთიანი საქართველოს მთლიანობა აღადგინა და მონღოლთა ფაქტობრივად საპოლიციო ოსთა რაზმებიც განდევნა, როგორც ქალაქ გორიდან, ისე საერთოდ საქართველოდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი „დარიალი“ და „კასრის კარი“ („გზა დვალეთისა“)

მტკიცედ ჩაკეტა, რომ ოსთა მარბიელი ლაშქარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით აღარ გადმოსულიყო. ვეჭვობთ, ეპისტოლეში გორის შესახებ ისტორიული პასაჟის შემოტანა რუსეთის არმიის მიერ ქალაქის უმოწყალოდ დაბომბვის და ოკუპაციის გასამართლებლადაა გამიზნული. კიდევ ერთი: მიტროპოლიტი (თუ მისი წყარო) ოს-ბაყათარს უფლისწულად აცხადებს. ისტორია წყაროების გარეშე არ იწერება - ეპისტოლეს ავტორს იქნებ მიეთითებინა ჩვენთვის უცნობ რომელ წყაროშია ეს ოს-ბაყათარი უფლისწულად გამოცხადებული?

მიტროპოლიტი ქრისტეფორე ახალ-ახალ მითოლოგემებს გვთავაზობს. ჩვენ არ ვიცით რა წყაროში ამოიკითხა მან ის, რომ XVIII საუკუნეში სპარსელებისაგან და სხვადასხვა კავკასიელი ხალხების თავდასხმებისაგან შეწუხებულებმა ოსებმა სთხოვეს მეფის რუსეთს დახმარება, რომელსაც ფატალური შეცდომა დაუშვია და ერთიანი ოსეთი ორ - სამხრეთ და ჩრდილოეთ ადმინისტრაციულ ერთეულად - გაუყვია. მითოლოგემებზე საერთოდ სამეცნიერო კომენტარი არ უნდა კეთდებოდეს, მაგრამ, როდესაც უძველესი ქრისტიანული კულტურის მქონე ხალხს, ტოლერანტობითა და შემწყნარებლობით გამორჩეულ ხალხს ისტორიას გტაცებენ, გაჩუმება ნამდვილად არ ეგების. XVIII საუკუნეში ოსები, მართლია, საქართველოს ტერიტორიაზე, მის ისტორიული პროვინციის - შიდა ქართლის ჩრდილოეთ, მთიან მონაკვეთში ცხოვრობდნენ (რომლებიც აქ ქართველ მეფე-თავადთა ხელისშეწყობითაც იყვნენ დასახლებულნი), მაგრამ მათ არავითარი სახელმწიფოებრივი თუ ადმინისტრაციული წარმონაქმნი არ

ჰქონიათ. ჩვეულებრივ, ეს ტერიტორია იმდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ფეოდალიზმის პერიოდის ადმინისტრაციული ერთეულები, სათავადოები - სამაჩაბლო, ქსნის საერისთავო, საამილახვრო, სადავითიშვილო... - არსებობდა. რაც შეეხება, დავალებს, როგორც უკიდურეს განაპირა მათალმთიან რეგიონს, ის უშუალოდ სამეფო კარის გამგებლობაში იყო და როგორც სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ პროვინციაში აქ გამგებლად მეფის მოხელე - მოურავი ინიშნებოდა (არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ - 1743 წელი - ცალკე მოურავი ჰყავდა თრუსოსაც, რომელზედაც ახლა, როგორც ოსეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, ოკუპანტები პრეტენზიას აცხადებენ. მაგალითად, 1791 წლის საბუთში მოხსენიებულია თრუსოს მოურავი ივანე, რომელიც არზით მიმართავდა ხევის საუფლისწულო მამულის მფლობელს ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს - იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, 1985, გვ. 122. XVIII საუკუნის ბოლოს მოურავი განაგებდა ქსნის სათავაში მდებარე ჟამურის თემსაც, რომელიც მაშინ ეთნიკური ოსებით იყო დასახლებული. 1797 წელს ერეკლე II-ემ ჟამურის მოურავობა აზნაურ ბეჟან რატიშვილს უბოძა. გვიან შუა საუკუნეებში ჟამური საერთოდ ქსნის ერისთავებისაგან განაყოფი გვარის აზნაურ რატიშვილების სამფლობელო იყო). უფრო მეტიც, XVIII საუკუნეში (და, საერთოდ, მონღოლთა შემოსევების შემდეგ) ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ჩაკეტილ ოსებსაც არ ჰქონდათ რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებამდეც ოსთა განსახლების

არეალს არავითარი ადმინი-სტრაციული ერთეული არ ჰქონია. საერთოდ რუსეთის იმპერიის არცერთი ადმინისტრაციული ერთეული (გუბერნია, მაზრა, ოკრუგი და სხვა) ეთნიკური ნიშნით არ ყოფილა მოწყობილი. მიტროპოლიტი სპარსეთსაც ახსენებს, რომ თურმე ოსები მათგან და სხვა ჩრდილოეთკავკასიელთაგან შეწუხებულები იყვნენ. სპარსეთი მათგან საკმაოდ შორს იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები ჩრდილოეთ კავკასიისავე ბარში გაბატონებული ყაბარდოელების ქვეშევრდომობაში იმყოფებოდნენ. რადგან 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ოსმალეთმა მეფის რუსეთს, რომელიც კავკასიის კოლონიზაციას სწრაფი ტემპებით ახდენდა, ყაბარდო დაუთმო, ოსები ნელ-ნელა აღმოჩნდნენ რუსეთის დაქვემდებარებაში. რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა ოსთა ჩენილებმა, კითხულმა კაცებმა იმ პირობით მიიღეს, რომ ძლიერი სახელმწიფოსაგან ჩრდილოეთ კავკასიის ბარში გადასახლების საშუალება მიეცემოდათ. რაც შეეხება საქართველოში გადმოსახლებულ ოსებს, ამის შესახებ უკვე აღვნიშნეთ. მიტროპოლიტის პასუხად მხოლოდ იმასღა ვიტყვით, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მონღოლთაგან ჩრდილოეთ კავკასიის მთაში შერევილი ოსები სხვა კავკასიელი მთიელებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ, ხშირად თარეშობდნენ საქართველოში, მიყავდათ ტყვედ მართლმადიდებელი ქართველები, რომლებსაც მონებად აქცევდნენ (ამის დამადასტურებელია მონის აღმნიშვნელი ტერმინი „გურძიაკი“, რომელიც ოსურ ენაში არსებობს; ის სიტყვა-სიტყვით „ქართველს“ აღნიშნავს) და უძრავ-მოძრავი ქონება. ამ

ხშირი თარეშების, მეკობრეობის და ლაშქრობების შედეგად იყო, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთ, მთიან მონაკვეთში მცხოვრები ადგილობრივი ქართველი მთიელები აიყარნენ მამა-პაპათა საცხოვრებლიდან და შიდა ქართლისავე ბარის რაიონებში ჩამოსახლდნენ, რომელიც სპარსელთა და ოსმალთაგან ნასახლარებად იყო ქცეული.

რაც შეეხება სპარსელების გამო რუსებისაგან დახმარების მიღების მოთხოვნას. დიახ, ასეთი თხოვნა არა ერთი და ორი ნამდვილად იყო, მაგრამ არა ოსების მხრივ, არამედ ქართველთა მხრივ. XVIII საუკუნეში ქართველი ხალხი ვეღარ აუდიოდა აღმოსავლელი მაჰმადიანების შემოსევებს. ქართველებმა გულუბრყვილოდ იფიქრეს, რომ ერთმორწმუნე რუსეთი მათ მფარველობას გაუწევდა. ერეკლე მეფე მართლაც შევიდა რუსეთის მფარველობაში, რისთვისაც 1783 წელს გიორგიევსკის ტრაქტატიც გააფორმა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, რუსეთმა ტრაქტატით დადებული ყველა პირობა დაარღვია: 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, 1811 წელს მოსპო მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და მიზანმიმართულად შეუდგა ქართველების გარუსებას, ქვეყნის ეთნიკურ აჭრელებას.

ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი იმასაც წერს, რომ XIX საუკუნიდან ოსური თვითშეგნების, ცნობიერების აღორძინება განაპირობა ლიტერატურის, მხატვრობის, ფილოსოფოსების, მეცნიერების ახალი თაობის გაჩენამ. ჩეხების მსგავსად ოსებსაც დაუწყიათ ოსური სახელმწიფოს შექმნისათვის ზრუნვა, მაგრამ მათ ამ ბედნიერების

მიღებაში ქართველები უშლიდნენ ხელს. პასაჟი მთავრდება იმით, რომ 1920 წელს ქართველებმა ათასობით ოსი ამოხოცეს. იმედია მომავლში მიტროპოლიტი უფრო დაინტერესდება ქართულ-ოსური ურთიერთობებით, გაერკვევა რეალურად რა მდგომარეობა იყო კავკასიაში ცარიზმის დამხობის შემდეგ და, ჩვენი დახმარების გარეშეც, აღმოაჩენს, რომ იმ პერიოდში დამოუკიდებელი საქართველო თავის სახელმწიფოებრივ მთლიანობას იცავდა რუსეთის ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსებისაგან. ისტორია მეორდება. ახლაც ოსები და აფხაზები, სამწუხაროდ, ბრმა შემსრულებლები აღმოჩნდნენ იმპერიული რუსეთის ხელში. როდესაც ლიტერატურის, მხატვრობის, ფილოსოფიისა და მეცნიერების აღორძინებაზე ვსაუბრობთ ერთი ფაქტი, ნიმუში ხომ მაინც უნდა მოვიყვანოთ აღორძინებამდელი ოსური ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნებისა. კავკასიაში მხოლოდ ორი ხალხი იყო დამწერლობის მქონე. ესენი ქართველები და სომხები არიან (ძველ ალბანელებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში). კავკასიის დანარჩენი ხალხები უდამწერლობონი იყვნენ. საინტერესოა, როგორ უნდა შეექმნა უდამწერლობო ხალხს მწერლობა, ფილოსოფიური და სამეცნიერო ნაშრომები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოსური დამწერლობა მხოლოდ XIX საუკუნეში შეიქმნა და ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგუროვი მხოლოდ 1859 წელს დაიბადა და რომლის წიგნიც პირველად 1889 წელს გამოიცა. რახან კოსტა ხეთაგუროვი ვახსენეთ, გვინდა მიტროპოლიტს ვუთხრათ, რომ ის დაბადებული იყო საქართველოს ისტორიულ პროვინციაში - დვალეთში, რომელიც

ცარიზმმა ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად შეიერთა, როგორც მისი ორგანული ნაწილი და რომელიც 1858 წელს თვითნებურად ჩამოაშორა თბილისის გუბერნიის გორის მაზრას და თერგის ოლქს გადასცა. ყაზარდოული წარმომავლობის ოსი ხეთაგურები (რუსეთის შემოსვლის შემდეგ - ხეთაგუროვები) საქართველოს აზნაურები იყვნენ და ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სიგელებით ცდილობდნენ XIX საუკუნეში ცარიზმისაგან იმავე წოდებაში დამტკიცებას. ესეც კიდევ ერთი საბუთია იმის დასადასტურებლად, რომ არავითარი სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაზე, მის ისტორიულ პროვინციაში - შიდა ქართლში არ არსებობდა და რომ აქ მცხოვრები ოსები ქართველ მეფეთა ქვეშევრდომები იყვნენ.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ მიტროპოლიტის ეპისტოლე ილუსტრირებულია. ერთმანეთის გვერდით დაბეჭდილია ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები, რომლებსაც ის ოსური კულტურის ძეგლებად აცხადებს და ომის შემზარავი ფოტოები. როგორ შეიძლება ჭეშმარიტი ქრისტიანი არ შეძრას ომის ამსახველმა ფოტოებმა. მაგრამ როგორ ადგენს მიტროპოლიტი ნგრევა ქართული არმიის მოქმედების შედეგია, რომელიც შემოჭრილი მტრის - რუსეთის არმიის წინააღმდეგ იბრძოდა, თუ რუსული ტანკებისა და ავიაციის ნამოქმედარი? ალბათ, უნეტარეს ქრისტიანს არა აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდანაც ასეულ ათასობით ლტოლვილი ქართველია. მას ალბათ ვერც წარმოუდგენია, რომ ჩეხეთში ჩეხი ლტოლვილად, დევნილად იქცეს. დიახ, ეს მოიმოქმედეს რუსებმა,

ოსებმა და აფხაზებმა - მოახდინეს ქართველთა ეთნიკური წმენდა. ქართული სოფლები ოსებმა და რუსებმა ნასოფლარებად აქციეს, სოფლები მიწასთან გაასწორეს, რომ ქართველებმა აღარ იფიქრონ წინაპართა მიწაზე დაბრუნება. იმედი მაქვს, ჩვენი წერილის შემდეგ, ის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწინდესსა და უნეტარესს ილია II-ეს დაუკავშირდება და აღნიშნულის შესახებ სრულ ინფორმაციას მიიღებს.

ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი მიტროპოლიტის ეპისტოლეს შესახებ კიდევ ბევრი შეიძლება დაგვეწერა, დაგვეწერა მაგალითად ის, თუ როგორ ებრძოდნენ საქართველოს მთებში მცხოვრები ოსები მთელი XIX საუკუნის I ნახევარის განმავლობაში რუსეთის იმპერიას, რომ ისინი კოლონიზატორებს არ ემორჩილებოდნენ და რომ ცარიზმი სამხედრო ექსპედიციას ექსპედიციაზე აგზავნიდა, რომ მთიელი ოსები მორჩილებაში მოეყვანა. შეიძლება ქართული წყაროებიდან ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ასობით ტოპონიმი ჩამოგვეთვალა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენით იხსნება (მაგალითად: მაღრან-დვალეთი ტყიან დვალეთს ნიშნავს, თრუსო ძველქართულად ცელის სალესავი ქვის სახელწოდებაა, ტბას, საიდანაც ქსანი იღებს სათავეს ყელის ტბა ჰქვია, ქსნის ხეობის სათავეში არსებული ჟამურის თემის ძირითად სალოცავს ბერციხე ერქვა. გამჭვირვალე ქართულ ტოპონიმებია მთების სახელწოდებებიც - კედელა, ზეკარა, გუნაური...). შეიძლება დაგვეწერა ისიც, რომ ერთმანეთის გვერდით, მეზობლად მცხოვრები ქართველები და ოსები კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, ხშირი იყო ქართულ-ოსური საქორწინო

ურთიერთობები; ისე არავინ არ იყო ქართველ ხალხთან ინტეგრირებული, როგორც ოსები.

კიდევ ერთი საკითხის შესახებ. მიტროპოლიტი ქრისტეფორე აშკარა სიმპატიას ამჟღავნებს თანამედროვე რუსეთის მიმართ. მისი თქმით, არ შეიძლება ბოლშევიკური რუსეთის სიძულვილი თანამედროვე რუსეთზე გადმოვიტანოთ. წერილის დასაწყისში მიტროპოლიტი ქართულ-ოსური კონფლიქტის უცნობ სცენარისტებსაც ახსენებს. ჩვენ მთელი კატეგორიულობით უნდა აღვნიშნოთ, რომ უნეტარესი ქრისტეფორესათვის ქართულ-ოსური კონფლიქტის უცნობი სცენარისტები თანამედროვე რუსეთის სახელმწიფოს მესვეურები არიან, რომლებიც ასე მისტირიან იმპერიის დანგრევას და განსაკუთრებით სჯიან ქართველებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ბოროტების იმპერიის ნგრევაში. მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო მოახდინეს რუსეთის სახელმწიფოს მესვეურებმა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები, ამის გამო წაჰკიდეს ერთმანეთს სხვადასხვა კავკასიური ეთნოსები. მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება, გარდა მიტროპოლიტ ქრისტეფორესი, დარწმუნებულია, რომ თანამედროვე რუსეთი ბოლშევიკური რუსეთის „ღირსეული“ მემკვიდრეა. საბჭოთა იმპერიის ლიდერებმა სამხედრო ნაწილები შეიყვანეს უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავღანეთში, ახლა კი მათი ტრადიციების გამგრძელებლებმა - საქართველოში. *სამწუხაროდ, ისტორიის არ ცოდნამ მიტროპოლიტი შეცდომაში შეიყვანა, რადგან ის რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით დაწერილ ფალსიფიცირებულ ისტორიას დაეყრდნო და უნებლიეთ გაუკულმართებული ფაქტები*

მიაწოდა თავის ჩეხ და სლოვაკ მრევლს

P.S. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ კავკასიის მკვიდრი ეთნოსები ერთმანეთს წაჰკიდა; ძველადაც და ახლაც იმპერიული ძალები „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკით მოქმედებდნენ. ამ მიზნით ისინი ხანდახან სასულიერო პირებსა და სასულიერო პრესასაც იყენებდნენ. ყველაფერი იმაზე იყო გათვლილი, რომ მორწმუნე ადამიანისათვის სასულიერო პირის ნათქვამი და ნაწერი უფრო დამაჯერებელი იყო. ნიშანდობლივია, რომ ქართველთა და ოსთა დაპირისპირების მცდელობა, ისტორიის ფალსიფიკაცია, მითების შექმნა პირველად ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ რუსულ სასულიერო პრესაში მოხდა. 1903 წლის „დუხოვნი ვესტნიკში“ (N2) დაიბეჭდა დეკანოზ ი. ვოსტორგოვის წერილი, რომელშიც ის შავით თეთრზე წერდა ფაქტობრივად იმას, რასაც დღეს ჩეხეთის მიტროპოლიტი წერს: ქართლში ძველად ოსებს უცხოვრიათ. შემდეგ აქ ქართველები შემოჭრილან, რომლებსაც ოსები შეუვიწროვებიათ, აქეთ-იქით მიუწევიათ, ორად გაუყვიათ - ჩრდილოეთით ჯავის ხეობისაკენ და სამხრეთით - ბორჯომის ხეობაში. მართალია, დეკანოზის ნააზრევს გაზეთმა `ივერია~ `მახინჯი აზრების კრებული~ უწოდა, სათანადო პასუხი გასცა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქართველთა ისტორიის მიტაცება მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა, რამაც აპოგეას ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მიადწია. სამწუხაროდ, იმპერიულ ავანტიურაში ჩეხეთის მართლადიდებელი მიტროპოლიტიც აღმოჩნდა ჩართული, რომელმაც ერთი

საუკუნის შემდეგ რუსი დეკანოზის ნაყალბევი ახალი ნიუანსებით გაიმეორა.

რუსეთში ისტორიის გაყალბებისა და მითების შექმნის შესახებ საერთოდ და, კონკრეტულადაც ოსებისა და აფხაზების შესახებ, 2009 წლის 28 აგვისტოს ტელეკომპანია „არტივიაი“-ს გადაცემაში საუბრობდა ანდრეი ილარიონოვი (წამყვანი - ს. ბუტმანი). მან მკაცრად ამხილა ისტორიის ფალსიფიკატორები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარსულის შესახებ მითოლოგიური წარმოდგენების შექმნა პოლიტიკოსებისათვისაა საჭირო, რათა ის გამოიყენონ თავისებურ საინფორმაციო იარაღად. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ კალმით ბრძოლამ ნამდვილ იარაღზე არანაკლები როლი შესრულა. ამავე დროს საინფორმაციო იარაღით ბრძოლა ბევრად წინ უსწრებდა ნამდვილი იარაღით ბრძოლას. როგორც ერთ, ისე მეორე ბრძოლაში ჩვენ ქართველები რუსებთან ჯერჯერობით დავმარცხდით.

კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, თბ., 2010, გვ. 197-210.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ბუნებრივია, მიტროპოლიტ ქრისტეფორეს აღნიშნულის შესახებ კითხვას დაუსვა, რომლის პასუხიც იყო - სტატია მას არ დაუწერია. ამასთანავე მან ბოდიში მოუხადა ილია II-ეს და სინანულის შემცველი წერილი გამოაქვეყნა იმავე ჟურნალში.

ენდრიუ ანდერსენი (კანადა)
ისტორიის ფალსიფიკაცია პოლიტიკური ავატიურიზმის
სამსახურში
/შიდა ქართლის ისტორიის რუსულ-ოსური ვარიანტი/

რამდენიმე წლის წინ ედუარდ კოკოთმა ”სამხრეთ ოსეთის არმიად” წოდებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და მათი მხარდამჭერი რუსი „მშვიდობის დამცველების“ მიერ გაკონტროლებული, საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიის მცირე ნაწილზე თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მეთაურმა განაცხადა, რომ **განზრახული აქვს აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის ფედერაციასთან შეერთება.**

ამ ინიციატივის დასასაბუთებლად ედუარდ კოკოთიმ დაასახელა საიდუმლო „ისტორიული დოკუმენტი 1774 წელს ერთიანი ოსეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ“.

გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოში არაღიარებული „რესპუბლიკის“ „ლიდერის“ ამგვარი განცხადების პასუხად საქართველოს სახელმწიფო მინისტრის იმდროინდელმა მოადგილემ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ვოლსკიმ ყველას შეახსენა, 1774 წელს საქართველოს ტერიტორიაზე არც მითური „ერთიანი ოსეთი“ და არც სხვა ოსეთი არ არსებობდა. როგორც ჩანს, ბატონ გიორგი ვოლსკის ამ განცხადებამ როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ტერიტორიაზე კოკოთის მომხრეების დიდი მრისხანება გამოიწვია. კერძოდ, „სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა“ ბორის ჩოჩიევმა ფრიად საინტერესო პასუხი წარმოადგინა, რომელიც და-

წვრილებით გამოაქვეყნა საინფორმაციო სააგენტო RE-GNUM-მა შემდეგი სათაურით: „სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა სამამულლო ისტორიაში უწიგნურობის ლიკვიდაცია შეძლო“.

უწიგნურობის ლიკვიდაცია (ტერმინი XX საუკუნის 20-იან წლებში შემოიღეს საბჭოთა კავშირში), რა თქმა უნდა, ღირსეული და საჭირო საქმეა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი უწიგნურ ადამიანს ანათლებს ისეთი გურუ, რომელიც თავად არ არის უწიგნური. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში ისტორიაში გაუნათლებელ ადამიანთა რიცხვი საკმაოდ მომრავლდა. ამის მიზეზი კი ის ტენდენციაა, რომელიც წინა საუკუნის შუა პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში გამოვლინდა, როდესაც ყველა სასწავლო დაწესებულებაში ისტორიის სწავლება მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგიერთი პროგრამიდან კი საერთოდ ამოიღეს. ამ გადაწყვეტილების მიმდებები თავიანთ ქმედებას იმით ამართლებდნენ, რომ ისტორია დღევანდულობას ძალიან მოწყდა და არ ღირს მის შესასწავლად დრო და საშუალებები დაიხარჯოს. განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორია და იმ ხალხებს „გაუმართლა“, რომლებიც სსრკ-ს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ: დასავლეთში მათი ისტორია ყველა პროგრამიდან ამოიშალა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ეს ხალხები ვერასოდეს დააღწევდნენ თავს რუსეთს, რომ მათ არ ჰქონდათ მომავალი, როგორც დამოუკიდებელ ერებს, შესაბამისად, მათი წარსულის შესწავლასა და ხსენებასაც კი არავითარი ღირებულება არ გააჩნდა. სსრკ-ში მიიჩნევდნენ, რომ ხალხების მიერ საკუთარი ისტორიის ცოდნა „ურღვევი კავშირის“ მონოლითურობას ემუქრებოდა. შედეგად კი მივიღეთ ისტორიაში მცირედ განათლებულ

ადამიანთა რამდენიმე თაობა, ბევრ შემთხვევაში კი აბსოლუტურად გაუნათლებელი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ისევე როგორც საზოგადოების ბევრი რიგითი წევრი. ბოლო ათწლეულებში კი დიდი რაოდენობით გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც ქმნიან სრულიად ახალ, ვირტუალურ წარსულს. ისინი სარგებლობენ რეალური წარსულის შესახებ ცოდნის პრაქტიკულად არარსებობით და წარსულის ცნებამ პუბლიკისთვის „განუსაზღვრელი მნიშვნელობა“ შეიძინა.

ზემოთ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში ბატონ გიორგი ვოლსკის ისტორიის უცოდინრობაში დადანაშაულებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია, რადგან მისი ნათქვამი მთლიანად შეესაბამება ჭეშმარიტებას. 1774 წლის დამდეგს რუკაზე არ არსებობდა არათუ ბატონ ედუარდ კოკოითისა და ექსპანსიონისტური პროპაგანდის სხვა რუპორთა მიერ ნახსენები „ერთიანი ოსეთი“, არამედ საერთოდ რომელიმე ოსეთი. ოსური ენის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანები, რა თქმა უნდა, დიდი კავკასიური ქედის ორივე ფერდობზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ალაგირის, ქურთათის, თაგაურისა და დიგორის უდიდესი ნაწილი - ისტორიული რაიონი) მცხოვრები ოსები ყაზარდოელ ფეოდალებს ემორჩილებოდნენ, შესაბამისად, მათი მიწები ყაზარდოს ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, ფორმალურად ყირიმის ხანს - ოსმალეთის იმპერიის ვასალს ემორჩილებოდა. თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ამჟამინდელი ტერიტორია, ასევე თუალთა-დვალეთის ისტორიული რაიონი (*თუალთა* დღეს ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის შემადგენლობაში შე-

დის) აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთის სამეფოში (მართებულად მიგვაჩნია მას *სამეფო* ვუწოდოთ) და არ იყო გამოყოფილი შიდა ქართლისგან. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მათ აღმოსავლეთ საქართველოსგან დამოუკიდებლად არასდროს უარსებიათ. წარმოდგენილი დებულება ადასტურებს ყველა აღიარებული და წამყვანი ისტორიკოსი, რომლებიც წარსულს იკვლევენ. ზემოთქმული არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ, თუ უკანასკნელ წლებში უცებ საიდანღაც გამოჩევილი „ისტორიკოსების“ მიერ მოწოდებულ მონაცემებს არ გავითვალისწინებთ, რომელთაც არ ძალუძთ, საკუთარი „რევოლუციური შეხედულებები“ რაიმე მტკიცებულებებით გაამაგრონ (თუმცა საკითხავია, სჭირდებათ თუ არა რაიმე მტკიცებულებები პოლიტიკურ ავანტიურისტებს?).

მაშ, რომელი ტერიტორია შევიდა 1774 წელს რუსეთის იმპერიაში და რომელი დოკუმენტების საფუძველზე? ამ კითხვას იოლად სცემს პასუხს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით დასრულებული 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის არქივები. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებულ რუსეთსა და თურქეთს შორის 1774 წლის 10-21 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების მიხედვით რუსეთის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მდინარე ყუბანზე დაიდო. ხელშეკრულების მიხედვით ოსმალეთის იმპერიას ჩამოსცილდა ყირიმის სახანო, რომელსაც დამოუკიდებლობა მიენიჭა, რუსეთს მიუერთდა ზღვის სანაპიროს ნაწილი ქერჩის, იენიკალესა და კინბურნის ციხესიმაგრეებით, აღნიშნული ზავით რუსეთის მფარველობაში შევიდა დიდი და მცირე ყაზარდო, რუსეთის სა-

ვაჭრო გემებს შეუნარჩუნდათ უფლება თავისუფლად ეცურათ შავ ზღვაში და თავისუფლად გაეცლოთ შავი ზღვის სრუტეები, მოლდოვეთსა და ვალახეთს მიენიჭათ ავტონომიური უფლებები და ეს სამთავროები რუსეთის მფარველობაში შევიდნენ (ულიანიცკი გ. ა. „დარდანელი, ბოსფორი და შავი ზღვა XVIII საუკუნეში“, მოსკოვი, 1883; დრუჟინინა ე. ი., ქუჩუკ-კაინარჯის ზავი 1774; მისი მომზადება და დადება).

შესაბამისად, არავითარ ოსეთზე, არც გაერთიანებულსა და არც გაყოფილზე - ხელშეკრულებაში საუბარი არაა. არსებობდა დიდი და მცირე ყაბარდო, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შედიოდა ოსებით დასახლებული მიწების ნაწილი. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ვასწავლოთ რამე ამ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად ზედმეტი ჩანს. მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ გავარკვიოთ, თუ რისი სწავლება შეუძლია „განსწავლულ“ ბორის ჩოჩიევს. რა გაკვეთილის მიცემა შეძლო მან ქართველი ოპონენტისთვის? თუ ოფიციალურ საიტზე განთავსებულ ბორის ელიოზის ძის ბიოგრაფიაში ჩავიხედავთ, მხოლოდ ის გაგვაკვირვებს, თუ სად და როდის დაეუფლა იგი დეტალურ ცოდნას საქართველოსა და ოსი ხალხის ისტორიის შესახებ. ნამცეცა და არაღიარებული „სახელმწიფოს“ „ვიცე-პრემიერმა“ კარიერა საოლქო კომუნალური მეურნეობის მუშისა და კომკავშირის კომიტეტის მდივნობით დაიწყო, შემდეგ იგი ალკკ საოლქო კომიტეტში მუშაობდა, პარალელურად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეუფლებოდა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ კი სსრკ-ს დაშლამდე

პარტიულ სამსახურშია გამწესებული სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის აპარატში. საქმიანობის ჩამოთვლილ სფეროთაგან არც ერთი არ გულისხმობდა, არ მოითხოვდა ისტორიის ცოდნას - მით უფრო საქართველოს ისტორიისას. საერთოდაც, ამგვარი სამუშაო პროფილის ადამიანებს ისტორიის შესწავლისთვის ძალიან მცირე დრო რჩებოდათ. მაგრამ ყველაფერი ხდება! დავუშვათ, რომ ბორის ელიოზის ძე პოულობდა დროს და ისტორიას დამოუკიდებლად ეუფლებოდა, თანაც იმდენად ღრმად და დეტალურად, რომ დღეს შეუძლია სხვებს ასწავლოს. რაში გვანათლებს იგი ჩვენ?

ბატონი ჩოჩიევი სხვების სწავლება-განათლებას ს. რობაქიძის, 1917 წელს გამოცემული საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორის, ციტატით იწყებს, რომლის მიხედვითაც „ოსეთი არ წარმოადგენს საქართველოს შემადგენელ ნამდვილ ნაწილს“. მაგრამ საკითხი თუ რა „ნამდვილ ნაწილზე“ საუბარი და რისი შემადგენელი ნაწილია ის, ძალზე ფილოსოფიურად გამოიყურება დღეს არსებული ფრიად პრობლემების ფონზე. დღეს რთულია სათანადოდ შევაფასოთ ასი წლის წინანდელი, პროვინციული სკოლის სახელმძღვანელოდან ამოღებული, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატა. სამაგიეროდ, თუ ჩავიხედავთ ვ. ალლენის, დ. ლანგის, ან თუნდაც პ. იოსელიანის საქართველოს ისტორიის ფუნდამენტურ ნაშრომებში, ან ზედაპირულად მაინც დავხედავთ 1801 წელს რუსეთთან მიერთებამდე და მიერთების შემდეგ საქართველოს ადმინისტრაციულ რუკას, ჩვენ მასზე საქართველოს გარეთ არსებულ ვერავითარ „სამხრეთ ოსეთს“ ვერ აღმოვაჩინებთ. 1801

წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ისევე როგორც თბილისის გუბერნიის საზღვარი, გადიოდა დაახლოებით იქვე, სადაც 1918 წელს გაიარა დამოუკიდებელი საქართველოს, ხოლო 1921 წელს საბჭოთა საქართველოს საზღვარმა. აქვე გადის ოფიციალურად აღიარებული საქართველოს საზღვარი დღეს. საზღვრის მცირეოდენი ცვლილება აღინიშნებოდა მხოლოდ დვალეთი-თუალთას მიმართულებით, რომლის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ თერგის ოლქში, შემდგომ მთიელთა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა. მაგრამ ამ ტერიტორიაზე თანამედროვე საქართველო პრეტენზიას არც აცხადებს. კარგად ვაცნობიერებთ, რომ წარსულში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები და რუკები ძალიან უშლის ხელს იმათ, ვისაც ახალი წარსულის შექმნა სურს ისტორიის გაყალბებით. ჩვენ იძულებულები ვართ შედეგის კონსტატაცია მოვახდინოთ; თუკი აღნიშნული შრომები და რუკები განადგურდება მთელ რუსეთში, ისინი მსოფლიოს სხვა ადგილებში მაინც გადარჩება.

ამის შემდეგ კი ბატონი ჩოჩიევი წარმოგვიდგენს ერთ ძველთაძველ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ქართველთა წინაპრები სამხრეთ კავკასიაში მესოპოტამიიდან მოვიდნენ. ვერაფერს ვიტყვით, ამ ჰიპოთეზასაც აქვს არსებობის უფლება ისევე, როგორც ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ბალტიურ-გერმანულ-სლავური მოდემის ხალხები ინდოეთიდან არიან მოსულნი. მაგრამ თუ ამას რეალური საფუძველი აქვს, ეს ძალიან დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო და დღეს მას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. ფრიად გვართობს

ჩოჩიევის მიერ 1917 წელს გამოცემული რომელიდაც გა-
ზეთიდან ციტირებული ფრაზა, რომ ახლო აღმო-სავ-
ლეთიდან მოსული ქართველები ალანებმა აზიარეს კუ-
ლტურას, ალანებმა ასწავლეს მათ სამხედრო საქმე. ზე-
მოთქმული ნამდვილად გასართობად წარმოგვიდგება,
რადგანაც თუკი ქართველთა წინაპრები ისტორიამდელ
პერიოდშიც მართლაც მიგრანტები იყვნენ, „ალანებზე“
ლაპარაკი იმ დროს სრულიად არაპროფესიულია
ისტორიული თვალსაზრისით; რადგან იმ დროს, ოსთა
ჰიპოთეტური წინაპრების დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში
ცხოვრობდნენ არა ალანები, არამედ სკვითები და
სარმატები. სკვითურ-სარმატული ტომები (აღსა-
ნიშნავია, რომ დღესაც გაურკვეველია, საიდან არიან
ისინი მოსულნი) ამ დროს, ჩრდილოეთ კავკასიის გარდა,
აკონტროლებდნენ თანამედროვე რუსეთის სამხრეთს და
მთელ უკრაინას (ეს ხომ არ უდევს საფუძვლად იმ
მოსაზრებას, რომ ოსეთს უნდა მიუერთდეს უკრაინის ის
ოლქები, რომლებიც მხარს იანუკოვიჩს უჭერს?). უნდა
აღინიშნოს, რომ სკვითები კი გადადიოდნენ სხვა
ხალხებთან სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ არასდროს
არავითარ ტერიტორიას არ აკონტროლებდნენ კავკასიის
დიდი ქედის სამხრეთით. საერთოდ, მსოფლიოში
ხალხთა გადასახლებები მუდმივად ხდებოდა, მაგრამ
ამა თუ იმ ტერიტორიაზე რომელიმე ტომის ადამიანების
ცხოვრება ყოველთვის არ ნიშნავდა ამ ტომის
გაბატონებას მოცემულ ტერიტორიაზე. ძველქართული
სახელმწიფოები - კოლხეთი და იბერია სამხრეთ
კავკასიაში დაფიქსირებულია ჯერ კიდევ ძველი რომის
ისტორიკოსთა მიერ საზღვრების საკმაოდ ზუსტი
აღწერით ისევე, როგორც სხვა ქართველური

(ქართველთა წინაპრების მონათესავე) ტომების მოსახლეობა მომიჯნავე ტერიტორიებზე, რომლებიც ამ სახელმწიფოში არ შედიოდნენ. არცერთი ძველი ჟამთააღმწერელთაგანი არავითარ ცნობას არ იძლევა თანამედროვე „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ტერიტორიის შესახებ, რომელიც იმ დროს იბერიის ნაწილი იყო, იმ მცირე უბნების გამოკლებით, რომლებიც კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ბატონი ჩოჩიევი აგრძელებს მკითხველის მამობრივად დამოძღვრას, შეახსენებს რა ოსთა (ამჟამად უკვე ალანების, ანუ როგორც მათ ქართველები უწოდებდნენ ოსების) როლს საქართველოს ისტორიის გვიანდელ პერიოდში - ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XVIII საუკუნემდე. ნუ ჩავეძიებით ჩოჩიევის მიერ ჩამოთვლილ იმ მხედართმთავართა და მეომართა ბიოგრაფიების დეტალებს, რომელთა გმირობამაც საქართველოს გაბატონებული სახელმწიფოს პოზიცია დააკავებინა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში XII საუკუნის პირველ მეოთხედამდე, მანამ, სანამ რეგიონში კატასტროფა არ მოხდა მონღოლ-თათართა ლაშქრობის შედეგად. ამ შემოსევის შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ქართველი ერის არსებობა საფრთხის ქვეშ იდგა. საქართველოს ეროვნული გმირების (ისევე როგორც სხვა) ეთნიკური წარმომავლობით სპეკულირება სიმდაბლეთა, ხოლო ყველა 300 არაგველის ოსად გამოცხადება - სიბრძნე. ნათელია, რომ საქართველოს გმირთა შორის არცთუ ცოტა იყო ოსური წარმოშობის ადამიანები, ეს არცაა გასაკვირი, რადგან კავკასიის სამხრეთ ფერდობზე გადმოსახლებული ოსები ისტორიულად საქართველოს სახელ-

მწიფოს ორგანული ნაწილი ხდებოდნენ. საქართველოს გმირთა შორის იყვნენ სხვა წარმოშობის ადამიანებიც – ქურთები, არაბები, ყივჩაღები, თათრები, იტალიელები და სკანდინავიელებიც კი.

გვახსენდება პოლონეთის „მამა-აღმდგენლის“, მარშალ პილსუდსკის ერთ-ერთი გამოსვლა 1920 წელს. ამ სიტყვაში მარშალმა გაიხსენა საკუთარი ხალხის წარსული ბრძოლები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანული, ებრაული, უნგრული, უკრაინული, ლიტვური, თათრული, სომხური და სხვა წარმოშობის ადამიანები, მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა მათგანი პოლონეთის შვილი იყო, მათ უნდა უმადლოდეს იგი თავის არსებობას. განა ეს ფრაზა არ მიესადაგება საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის შვილებს, მათ შორის ოსებსაც, რომელთათვისაც საქართველო სამშობლოდ იქცა, რომლისთვისაც იბრძოდნენ ისინი და სიცოცხლეს სწირავდნენ? მაგრამ ჩვენ უნდა მივუტევოთ ბორის ელიოზის ძეს: მისი ბრალი არ არის, რომ საბჭოთა პერიოდში პარტიულ და კომკავშირულ ფუნქციონერთა მომზადების პროგრამაში არ შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების - პილსუდსკისა და სხვათა გამოსვლები.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტზე: თანამედროვე ოსების წინაპრები, რომლებიც კავკასიის დიდი ქედის სამხრეთით სახლობდნენ, თავიანთ შვილებს საქართველოს დასაცავად აგზავნიდნენ, რათა ეს ქვეყანა გაძლიერებულიყო და განმტკიცებულიყო. რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ამ გმირის შთამომავალთაგანი ასეთი მონდომებით ცდილობს დღეს საქართველოს დანგრევას? ჩვენ, რა თქმა უნდა, არა ვართ

მთის ადათების ბრმად მიმდევარნი, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის ხალხთა შორის (მათ შორის, ოსებში) მიღებულია უფროსების პატივისცემა, მით უფრო საკუთარი წინაპრებისა. ზოგიერთი ოსი ავანტიურისტის ამჟამინდელი ქცევა, ამ მხრივ, არ შეიძლება გაკვირვებას არ იწვევდეს.

შემდეგ ჩოჩიევი აკეთებს კიდევ ერთ დიდ ისტორიულ განცხადებას: „საქართველოსთვის რთულ პერიოდში რუსეთთან შეერთება ნებაყოფლობით მოხდა, სსრკ-ში შესვლაც უბრალო ხალხის სურვილი იყო, თუმცა ახლად გამოჩეკილი „პატრიოტები“ ამას „ანექსიას“ უწოდებენ“. პატივცემულმა ბორის ელიოზის ძე ცოტათი მაინც უნდა გაეცნოს საკუთარი სამშობლოს ისტორიას. ამით რომ ადრე დაკავებულიყო, გაიგებდა, რუსეთის იმპერიამ თუ როგორ უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, თავის საწინააღმდეგოდ როგორ დაუთმო ირანს დასარბევად აღმოსავლეთ საქართველო, შემდეგ კი დასუსტებული სამეფოს ავად გამხდარი მეფითურთ ანექსირებულ იქნა; გაიგებდა, თუ როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას დასავლეთ საქართველოს პატარა სამეფო-სამთავროები იმპერიას; გაიგებდა სახალხო აჯანყებებისა და ციმბირში გასახლებების ამბებს; ბოლოს კი საბჭოთა რუსეთის თავდასხმაზე 1921 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რომელთანაც, სულ ცოტა ხნის წინ ხელი ჰქონდა მოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე; იმ თავგანწირულ ბრძოლებზე, რომელიც გამართეს საქართველოს ჯარმა და მოლაშქრეებმა ყოველი მხრიდან შემოჭრილი წითელ არმიის ნაწილებთან და ქემალისტური თურქეთის ჯარებთან გამართეს. ჩოჩიევმა ზემოჩა-

თვლილთაგან არცერთი არ იცის და ამ შემთხვევაში მისი ისტორიული უცოდინრობის ლიკვიდაცია მაინც ძნელი იქნება.

„სამხრეთ ოსეთელი მინისტრი“ ალტერნატიულ წარსულში ექსკურსიებისას ისეთ ფრაზებს ისვრის, რომლებიც უფრო დიდ გაკვირვებას იწვევს, ვიდრე ისტორიის უბრალოდ გადაწერა. რად ღირს თუნდაც ეს ფრაზა: „აი, ასე წერენ პატივცემულო გიორგი ზურაბის ძევ, ნათელი ქართული გონების ადამიანები; მათ, ქართველებმა, ხომ უკეთ იცოდნენ საქართველოს ისტორია, ვიდრე ჩვენ - არაქართველებმა, მათ ჩვენზე მეტად უყვარდათ საქართველო“. ამის წაკითხვისას უნდა ჩავფიქრდეთ და ვუპასუხოთ კითხვას: ღირდა კი ლანგისა და ალენის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შესწავლა? ორივე მათგანი ხომ ინგლისელი იყო, ჩოჩიევის მსგავსად მათაც ხომ ცუდად ეცოდინებოდათ საქართველოს ისტორია, ვიდრე სამარშრუტო ტაქსის ნებისმიერ თბილისელ მძღოლს ან გორელ მეხინკლეს, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ მეხინკლისა და სამარშრუტო ტაქსის მძღოლის წინაპართა შვიდი თაობა სულ წმინდა სისხლის ქართველები იქნებოდნენ. ისტორიის შესასწავლად ეს ნამდვილად ნოვატორული მიდგომაა.

და აი დასკვნაც: „და ამოვიდა მზე საქართველოსთვის „ჩრდილოეთიდან“ (მაგრამ არა შევარდნაძის დროს), ხალხმა ამოისუნთქა, წელში გაიმართა, ძონძები გადაყარა, კეპი დაიხურა“. ამის კომენტირება მართლაც ძალზე რთულია. რა კეპია ისეთი, რომელიც მთელმა ხალხმა დაიხურა? ეგებ ეს კეპი ის „აეროდრომი“, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში შემოვიდა

კავკასიაში და იმჟამინდელი ინგლისური მოდის გავლენა იყო. მაგრამ რა კავშირი აქვს მას 1801 წელთან?

ძალიან გვსურს გვჯეროდეს, რომ საქართველოსა და მთელი კავკასიის ხალხები შეძლებენ შექმნილ ვითარებაში გარკვევას და არ აჰყვებიან ახალ პროვოკაციებს, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათს მომავალს, მათი შთამომავლების მომავალს, ამ ხალხებისადმი მტრულად განწყობილი უცხო ჯგუფების ვიწრო ინტერესების სასარგებლოდ.

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

თარგმნა *ინგა ლუტიძემ*.

ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, თბ., 2012, გვ. 39-50.

სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია
ვლადიმერ პუტინის ხუთი ტყუილი საქართველოს
შესახებ

ტყუილი N1. „1774 წელს სამხრეთ ოსეთი ცალკე შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“.

ტყუილია წინადადების თითოეული სიტყვა მისი თარიღის ჩათვლით ტყუილია. „სამხრეთ ოსეთი“ ასეთი ტერმინი საერთოდ არ არსებობდა იმ დროს. როდესაც 1783 წელს ერეკლე მეორემ გეორგიევსკის ტრაქტატი გააფორმა რუსეთის იმპერიასთან და 1801 წელს რუსეთის იმპერიამ შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო. რასაც დღეს სამხრეთ ოსეთს უწოდებენ, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორია იყო. ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ ჩნდება რუსეთის იმპერიის დროს მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. 1843 წელს თავად რუსებმა შექმნეს *ოსეთის ოკრუგი* ტფილისის გუბერნიაში და 1859 წელს ისევ გააუქმეს. დღევანდელი ფორმით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წლის აპრილში დაპყრობილ საქართველოში ბოლშევიკებმა შექმნეს.

ტყუილი N2. „აფხაზეთი 1810 წელს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წელს საქართველომ გერმანიის დახმარებით დაიპყრო აფხაზეთი და სასტიკად ექცეოდა მას“.

აფხაზეთის სამთავრო ნამდვილად ცალკე, თავად შერვაშიძეების მეთაურობით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თუმცა ეს მოხდა იმიტომ, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფო იყო დაშლილი. აფხაზეთის ანალოგიურად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს სხვა რეგიონებიც - ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი - შევიდა. მანამდე, აფხაზეთი, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უწყვეტად იყო დაკავშირებული ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ სივრცესთან. რაც შეეხება 1918 წელს, გერმანიის და საქართველოს გაერთიანებულმა შენაერთებმა

კი არ დაიპყრეს აფხაზეთი, არამედ ჩაახშეს ბოლშევიკური აჯანყება, ხოლო იმავე წლის 11 ივნისს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს თანხმობით აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით. ეს ფაქტი საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურად ცნო 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

ტყუილი N3. „1919-1920 წლებში საქართველო უსასტიკესად ექცეოდა სამხრეთ ოსეთს, რაც დღევანდელი ტერმინოლოგიით გენოციდად შეიძლება შეფასდეს“.

